

W



მ. კვიციანიძე

რუსეთის  
სახელგადაცემიერი მოძრაობის  
ისტორიიდან

თბილისი—1957

ჭ. ქ. - ას. ზიზუაძის მიერ  
ქადაგ. 1957 წელს  
27-წელი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



მეცნიერულ-პოპულარული სერია

საქართველოს  
მეცნიერებათა

ო. გვინჩიძე

რ უ ს ე თ ი ს

საზოგადოებრივი მოძრაობის

ისტორიიდან

(ძეგლები ევგრაფი და ჰეტრე გრუსინოვები — ნამჩევამენი)

რა ძლიერია თავისუფლების  
დაუმონავი, ამაყი სული!

რადიშიევი

1

XVIII საუკუნის დამლევს სოციალურმა ძვრებმა აზვირ-  
თებულ ტალღასავით გადაუარა მთელ რუსეთს. ამ პერიოდის  
ისტორიული ვითარება რუსეთში აღინიშნება ფეოდალურ-ბა-  
ტონყმური სისტემის რღვევის დაწყებით და მის წიაღში ბურ-  
ჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვიტ. ვაჭრო-  
ბისა და მრეწველობის განვითარება, შინაგანი და საგარეო  
ბაზრების ზრდა ანგრევს მეურნეობის ფეოდალურ-ბატონ-  
ყმური სისტემის ნატურალურ საფუძვლებს და მას ნაკლებად  
კარჩაკეტილს ხდის.

ვ. ლენინი თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება  
რუსეთში“ აღნიშნავდა, რომ თუ „ბატონყმური მამული უნდა  
ყოფილიყო თვითკმარი, კარჩაკეტილი მთელი, რომელსაც ძა-  
ლიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან“, მა-  
შინ, პირიქით „მემამულეთაგან პურის გასაყიდად წარმოება,  
რაც განსაკუთრებით განვითარდა ბატონყმობის არსებობის  
უკანასკნელ დროს, უკვე ძველი რეჟიმის დაშლის მაუწყებელი  
იყო“<sup>1</sup>.

რუსეთში სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითა-  
რების შედეგად საბატონო მეურნეობა ვაჭრობის სფეროში  
ექცევა. დიდი შემოსავლის მიღებით დაინტერესებული მემამ-  
ულეები ისწრაფვიან გაზარდონ გასაყიდი პურისა თუ სოფ-  
ლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება, რასაც შედე-  
გად მოჰყვა გლეხთა მასების ექსპლოატაციის გაძლიერება, ბე-  
გარისა და ღალის ზრდა. მაგრამ აუტანელ მდგომარეობაში  
ჩაყენებული გლეხობა ქედმოხრილი როდი ხვდებოდა თავის

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 207—208.

ხვედრს. ისინი გამოთქვამდნენ სასტიკ პროტესტს ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ, რაც ხშირად ამბოხებების სახით ვლინდებოდა. „რუსეთის სინამდვილეში ისმება და გადაჭრას თხოულობს ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის ეპოქის ძირითადი საკითხი — საკითხი ბატონყმობისა“<sup>1</sup>. საკითხი გლახთა განთავისუფლებისა და მიწის შესახებ იქცა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ცენტრალურ პრობლემად<sup>2</sup>. „რუსეთის საუკეთესო ადამიანები, — წერდა მ. კალინინი, — მთელ თავის ძალ-ღონეს, თვით სიცოცხლეს სწირავდნენ, რომ გლახებისათვის დახმარება გაეწიათ განთავისუფლებულიყვნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. სტეფანე რაზინის, ემელიანე პუგაჩოვის აჯანყებებმა ჩააფიქრა თავადაზნაურული კლასის ყველაზე განათლებული მოაზროვნენი, წააქეზა ისინი კრიტიკულად შეეფასებინათ გლახთა მდგომარეობა და მემამულეთათვის თვითნებობა“<sup>3</sup>.

ამრიგად, დაძაბული კლასობრივი ბრძოლა და საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია თავის გამოხატულებას ნახულობს იდეოლოგიურ ფრონტზეც. XVIII საუკუნის დამლევს რუსეთში იღვიძებს დემოკრატიული აზრი და სასტიკად ილაშქრებს აბსოლუტიზმისა და ბატონყმური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ეს ის პერიოდია, როდესაც, როგორც ვ. ლენინი წერდა, რუსეთში ისახება „განმათავისუფლებელი მოძრაობა“ პროგრესულად განწყობილ თავადაზნაურობის იმ წრეში, რომელმაც „წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები“ — იმ თაობის წარმომადგენლები, „რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ“<sup>4</sup>.

XVIII საუკუნის დამლევს რუსეთში აგრეთვე აღინიშნება მმართველი წრეების ასე ვთქვათ „ლიბერალიზმის თამაშით“.

<sup>1</sup> Вопросы истории, 1947, № 12, стр. 80.

<sup>2</sup> Избранные произведения русских мыслителей второй половины XVIII века, Госполитиздат, 1952, стр. 13.

<sup>3</sup> მ. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, თბილისი, 1953, გვ. 293.

<sup>4</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 18; ტ. 20, გვ. 292; ტ. 21, გვ. 111.

ეკატერინე II-მ, რომელიც 34 წლის განმავლობაში რუსო-ტურად მართავდა სახელმწიფოს, თავისი თავი გამოაცხადა „ვოლტერის მოსწავლედ“, „განათლებულ დედოფლად“ და „უბადლო რესპუბლიკელად“. იგი ეწევა მიწერ-მოწერას ვოლტერთან, დალამბერთან, დიდროსთან, გრიმთან და სხვა განმანათლებლებთან. „მაგრამ ყოველივე ეს ხელოვნური თამაში იყო ლიბერალიზმისა, წამოწყებული გარეგნული რეკლამისათვის, პოპულარობისათვის, თავისი თვითმპყრობელური ძალაუფლების განსამტკიცებლად. ასე, მაგალითად, უწოდებდა რა თავის თავს „უბადლო რესპუბლიკანელს“, იგი ამავე დროს აცხადებდა: „რუსეთის იმპერია იმდენად დიდია, რომ თვითმპყრობელი მეფის გარდა სხვა ფორმა მმართველობისა მისთვის საზიანო იქნება“<sup>1</sup>. მაგრამ „განათლებული დედოფლისა“ და „უბადლო რესპუბლიკანელის“ როლის გათამაშების დროს ეკატერინე II წააწყდა იმ ფაქტს, რომ რუსეთში იღვიძებდა დემოკრატიული აზრი და რომ ლიბერალური იდეები ღრმად იდგამდნენ ფესვებს რუსეთის საზოგადოების ფართო ფენაში. განათლებული აბსოლუტიზმის იდეოლოგიამ ეკატერინე II-ის სახით რუსეთში აღმოცენებული დემოკრატიული აზრის პირველ წარმომადგენლებთან შეჯახების დროს სრული კრაზი განიცადა. ამ მარცხის შემდეგ ეკატერინე II იხსნის „ლიბერალიზმის“ ნიღაბს და აშკარა რეაქციის გზას ადგება. პეტერბურგიდან აძევებენ რუსული რევოლუციური აზრის ფუძემდებელს ა. რადიშიჩევს. კრძალავენ მის ცნობილ ნაწარმოებებს „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ და ოდა „თავისუფლებას“, რომლებიც წარმოადგენდნენ რუსეთის მოწინავე საზოგადოების ანტიბატონყმური და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ შეხედულებათა ფორმირების უმნიშვნელოვანეს იდეურ წყაროს. იწყება პროგრესულ მოღვაწეთა—ნოვიკოვის, კრეჩეტოვის და სხვათა—დევნა, რაც რუსეთის საზოგადოებაში მღელვარებისა და პროტესტის მძლავრ

<sup>1</sup> М. Горбунов, Философские и общественно-политические взгляды А. Н. Радищева, Москва, 1949, стр. 35.

ტალღას იწვევს. ხოლო ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთის სამეფო ტახტზე პავლე I-ის ასვლა და მისი რეაქციული პოლიტიკა, რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვეჩვენება ლაპარაკი, კიდევ უფრო ამძაფრებს ატმოსფეროს და ანტირეაქციულ ბანაკში პროგრესულად განწყობილი თავადაზნაურობის კიდევ უფრო მრავალრიცხოვან რიგებს რაზმავს.

საბჭოთა მკვლევარი ტ. სნიტკო 1952 წელს ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი“ წერდა: „XVIII საუკუნის დამლევის საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში ძირითადადში ხასიათდება რადიშიჩევისა და ნოვიკოვის მოღვაწეობით. რასაკვირველია, ისინი წარმოდგენდნენ ამ მოძრაობის ცენტრალურ ფიგურებს, მაგრამ იმ პერიოდის მოწინავე თავადაზნაურობის უფრო ფართო მოძრაობა, რომელსაც, ეჭვს გარეშეა, ჰქონდა ადგილი, ჯერ კიდევ მთლიანად არაა გაშუქებული... არაა შესწავლილი სიკვდილით დასჯილ პოლკოვნიკ გრუზინოვის საქმე...“<sup>1</sup>. რატომ ახსენებს ტ. სნიტკო XVIII ს. დამლევის რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის პოლკოვნიკ ევგრაფ გრუზინოვს და რატომ წერს, რომ „არაა შესწავლილი სიკვდილით დასჯილ პოლკოვნიკ გრუზინოვის საქმე?“ საქმე შემდეგში იყო.

1800 წლის 5-სექტემბერს<sup>2</sup> რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის ბრძანებითა და სპეციალური სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით დონზე, ქალაქ ჩერკასკში, ქალაქის მთავარ მოედანზე, მათრახების ცემით მოკლეს გვარდიის პოლკოვნიკი ევგრაფ იოსების ძე გრუზინოვი, ხოლო 27 ოქტომბერს — მისი უმცროსი ძმა გვარდიის პოლპოლკოვნიკი პეტრე. იოსების ძე გრუზინოვი. 27 სექტემბერს ევგრაფ გრუზინოვის სიკვდილით დასჯიდან ოცდაორი დღის შემდეგ ამავე მოედანზე ნაჯახით თავები მოჰკვეთეს გრუზინოვების ბიძას პოლპოლკოვნიკ აფანასიევს და კაზაკებს კასმანინს, პოპოვს და კოლესნიკოვს. რა ედებოდათ ბრალად ძმებ გრუ-

<sup>1</sup> Вопросы истории, 1952, № 9, стр. 120—121.

<sup>2</sup> დათარიღება ძველი სტილითაა.

ზინოვებს და რატომ დაისაჯენ ისინი ასე სასტიკად? ეს კითხვები დიდხანს გაურკვეველი და ღრმა საიდუმლოებით იყო მოცული; მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს გახდა ზოგიერთი რამ ცნობილი გრუზინოვთა შესახებ. ძმები გრუზინოვების სიკვდილით დასჯის თითქმის ასი წლის შემდეგ გამოქვეყნდა იმდროინდელი რუსეთის პრესაში ზოგიერთი ცნობა (რასაკვირველია, არა სრული და ამომწურავი) მათი საქმის შესახებ<sup>1</sup> (მაგ. «Русская старина», 1873, «Русская старина», 1878, «Русское обозрение», 1896, Н. Шилдер, Император Павел I, 1901, «История л. гв. казачьего е. в. полка 1775—1813 г.», 1913).

1878 წლის ქურნალ „რუსკაია სტარინაში“ გამოქვეყნებული მასალები ეკუთვნის XIX საუკუნის დამლევის სახელმწიფო მოღვაწესა და ისტორიკოსს ა. ბ. ლობანოვ-როსტოვსკის (მომავალში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი). ცხადია თავისი წერილის გამოქვეყნების დროს ლობანოვ-როსტოვსკის ხელთ ჰქონდა ისეთი საიდუმლო დოკუმენტები გრუზინოვთა საქმის შესახებ, რომლებიც ყველასათვის მისაწვდომი არ იყო. შემდეგში კი გრუზინოვთა საქმის ყოველგვარი კვალის მოსასპობად გავრცელებულ იქნა ხმა, რომ ეს დოკუმენტები ვითომდა „დაიწვა“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ჩვენ მიერ მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში ნახული მასალები ძირითადადში წარმოადგენს იმ საიდუმ-

<sup>1</sup> გ რ უ ზ ი ნ ო ვ თ ა საქმით, აგრეთვე, დაინტერესებულა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ნიკოლაევი. მანვე მოგვაცვდინა ზოგიერთი ცნობა გრუზინოვთა შესახებ, რომელმაც გარკვეული დახმარება გაგვიწია ჩვენს მუშაობაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ პროფ. ნიკოლაევს თავის წერილში ზოგიერთი საკითხი არა სწორად აქვს გაშუქებული (მაგ. ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების წინაპარის აზნაურ რომან ნამჩევადის საქართველოდან დონზე წასვლა, მას არასწორად აქვს დათარიღებული; რომან ნამჩევადის საქართველოდან გაქცევის მიზეზს ხედავს რომანისა და ერთ-ერთ ქართველ მთავარს შორის მომხდარ პირად უთანხმოებასა და შეჯახებაში. ევგრაფ გრუზინოვის პეტერბურგიდან ჩერკასკში გაძევებას აწერს პავლე I-ის სამეფო კარზე არსებულ ინტრიგას და სხვ.).

ლო დოკუმენტებს, რომლებითაც ლობანოვ-როსტოვსკი საზღვებლობდა!

XIX საუკუნის დამლევს რუსეთის პრესაში იყო ცდამსახურებით დაემახინჯებინათ და არასწორ ასპექტში წარმოედგინათ გრუზინოვთა სახეები. ასეთ მაგალითს ჩვენ ვხედავთ ა. კარასევის მიერ ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“ დაბეჭდილ წერილში და აგრეთვე ამავე ავტორის მიერ ჟურნალ „რუსკოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ ისტორიულ მოთხრობაში. თუმცა „რუსკოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი ნაწარმოები მხატვრულიტერატურულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ავტორი მასში იყენებს ისტორიულ წყაროებს და დოკუმენტებზე დაყრდნობით ძირითადად იძლევა საკითხის არასწორ ინტერპრეტაციას, ამიტომაც, ჩვენ შემდგომში ნაწილობრივ შევეხებით მას.

საერთოდ, XIX საუკუნის რუსეთის პრესაში გრუზინოვთა შესახებ გამოქვეყნებული მცირერიცხოვანი მასალების მთავარი მიზანია წარმოგვიდგინოს ძმები გრუზინოვები როგორც „მსხვერპლნი“ პავლე I-ის კარზე არსებული ინტრიგისა, ვითომცდა პავლე I-ის მტრებმა განზრახ ჩამოაგდეს განხეთქილებდა იმპერატორსა და მის „ერთგულ ქვეშევრდომებს“ — გრუზინოვებს შორის და ბოლოს მიაღწიეს კიდეც იმას, რომ გრუზინოვები განდევნეს პეტერბურგიდან ჩერკასკში და იქ სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ როგორც ისტორიოგრაფიულ კურიოზზე.

რომ ნამდვილად დაგვედგინა ძმები გრუზინოვების პეტერბურგიდან ჩერკასკში განდევნისა და იქ მათი დასჯის მიზეზი, რომ ამ დავიწყებულ და ისტორიულად განზრახ „იმპერატორის ერთგულქვეშევრდომისობით“ შელამაზებული ადამიანებისათვის თავიანთი ნამდვილი და ღირსეუ-

---

1 სანხლოდორ ლობანოვ-როსტოვსკის მიერ ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“ გამოქვეყნებული წერილი, წარმოადგენს გრუზინოვების საქმის გამარჩევი სამხედრო სასამართლოს საქმეებიდან ამოღებულ დოკუმენტთა იმ კრებულს, რომელიც ამჟამად ინახება ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 1345, оп. 98, № 525.).



ლი ადვილი მიგვეუთვნებინა საჭირო გახდა გაცნობილით  
საიდუმლო მასალებს, რომლებიც, ჩვენის აზრით, მოსკოვისა  
და ლენინგრადის არქივებში უნდა ყოფილიყო. და მართლაც  
1953 წელს ჩვენი მოსკოვისა და ლენინგრადში ყოფნისა და იმ  
არქივებში მუშაობის დროს ნახულ იქნა სამი საქმე გრუზი-  
ნოვებთან დაკავშირებით. პირველი საქმე ვნახეთ არქივში:  
«Центральный Государственный Архив Древних Актов»  
(ЦГАДА)» ф. Госархив, разряд VII, д. № 3501 გენე-  
რალ-პროკურორის პ. ობოლიანინოვის საქმეებში, ნაწილობ-  
რივ ნაწერი მ. სპერანსკის — როგორც გენერალ-პროკურორის  
კანცელარიის უფროსის მიერ. მეორე — Центральный Госу-  
дарственный Военно-Исторический Архив (ЦГВИА) ф. 8,  
д. № 845 და მესამე — Центральный Государственный Ис-  
торический Архив в Ленинграде (ЦГИАЛ) ф. 1345,  
оп. 98, № 525.

ცნობილია, რომ არქივებში ინახება მრავალი ცხოვანი მა-  
სალები, რომლებიც ასახავენ მრავალ სასამართლო პოლიტი-  
კურ პროცესს, მიმართულს იმ პროგრესულ მოღვაწეთა წინა-  
აღმდეგ, რომლებიც ბატონყმური სისტემისა და თვითმპყრო-  
ბელობის დასამხობად იღწვოდნენ.

ამ სასამართლო პოლიტიკური პროცესების შესწავლა  
ჩვენს წინაშე შლის ახალ, დღემდე უცნობ ფურცლებს რუ-  
სეთში XVIII საუკუნის დამლევეს საზოგადოებრივი მოძრაო-  
ბის ისტორიიდან. აქ უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში  
გვაქვს ძმები გრუზინოვების — გვარდიის პოლკოვნიკის ევ-  
გრაფ იოსების ძე გრუზინოვისა და გვარდიის პოდპოლკოვნიკ  
პეტრე იოსების ძე გრუზინოვის საქმე, რომლის გაშუქებასაც  
შევეცდებით ჩვენ მიერ მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებ-  
ში მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით.

## 2.

ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები წარმოშობით ქართვე-  
ლები იყვნენ. საგვარეულო არქივი, რომელიც ინახება გრუზი-  
ნოვთა შთამომავლის პეტრე ევგრაფის ძე გრუზინოვის<sup>1</sup> ოჯახ-

<sup>1</sup> პეტრე ევგრაფის ძე გრუზინოვი აშეამად მოსკოვში ცხოვრობს, 79  
წლის მოხუცია. მის კვალს შემთხვევით მივაგენი. მოსკოვში ყოფნის დროს,

ში, საკმაო ცნობებს იძლევა თვით გვარის საღატრობისა და თავგადასავლის შესახებ.

გრუზინოვთა საგვარეულო არქივში ნათქვამია: „ქვეყანა, სადაც ძველი ბერძნები იაზონის მეთაურობით ეძებდნენ რქაროს საწმისს და მას კოლხიდას უწოდებდნენ, დღევანდელი საქართველო, ჩვენ წინაპართა სამშობლო იყო. ძლიერი რუსეთის იმპერიის ერთმორწმუნე საქართველო, — ვკითხულობთ იქვე, — დაყოფილი რიგ მცირე სამეფოებად და სამთავროებად, უხვად იყო დაჯილდოებული ბუნების მიერ და წარმოადგენდა გზაჯვარედინს, რომელზედაც გადიოდა აღმოსავლეთიდან რუსეთისაკენ მიმავალი ქარავნები. სიმშვიდე და კეთილდღეობა არ ღირსებია საქართველოს. დარბეული მონღოლები-საგან, აწიოკებული თურქებისა და სპარსეთის შაჰების მიერ, იგი სისხლიდან იცლებოდა აგრეთვე ქართველ მთავართა შორის ატეხილი შინაბრძოლებითაც. ზოგიერთი ამ მთავართაგანი თურქეთისა და სპარსეთის ორიენტაციისა იყო. მათ არ გააჩნდათ არც კეთილშობილება, არც სიყვარული თავისი ქვეშევრდომებისადმი და არც სიწმინდე ფიცისა. დაახლოებით 1728 წელს აზნაური რომან ნამჩევაცხე ერთ-ერთი ასეთი ქართველი

როდესაც არქივში ვავლენდი მასალებს გრუზინოვთა შესახებ, ფიქრად მომივიდა, ხომ არ ცხოვრობდა მოსკოვში ვინმე გრუზინოვი, რომელიც ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების გვარის გამგრძელებელი იქნებოდა. შევეკითხე ცნობათა ბიუროს. ბიუროდან მაცნობეს, რომ მოსკოვში მხოლოდ ორი მოქალაქე ცხოვრობდა გრუზინოვის გვარისა. ამათგან ჩემი ყურადღება მიიპყრო პეტრე ევგრაფის ძე გრუზინოვმა, რომლის სახელი და მამის სახელი ემთხვეოდა იმ გრუზინოვთა სახელებს, რომელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა ჩემს მიზანს წარმოადგენდა. და არც შევმცდარვაროდე, როდესაც პირადად გავიცანი პეტრე ევგრაფის ძე გრუზინოვი, მან მითხრა, რომ როგორც მას, ისე მამამისს ეს სახელები მათი წინაპრების ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების საპატივცემლოდ ერქვათ. ამრიგად, პირადად ვნახე გრუზინოვთა შთამომავალი პეტრე გრუზინოვი — საშუალო ტანის მოხუცი, რომელსაც ქართული კეხიანი ცხვირი და შავი, ცოცხალი თვალები აქვს. საუბარში გამოირკვა, რომ პეტრე გრუზინოვმა, როგორც მამა-პაპათა გადმოცემით, ისე საგვარეულო არქივიდან, რომელიც მასთან ინახება, იცოდა თავისი გვარის საღატრობისა და თავგადასავლის ამბები. იცოდა, რომ მისი წინაპრები საქართველოდან იყვნენ წამოსული. იგი შვილისშვილის შვილი ყოფილა ევგრაფ გრუზინოვის ძმისა (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტრე

მთავრის კარზე, თუ ვინ იყო იგი, არაა ცნობილი, განსაკუთრებული წყალობით სარგებლობდა. მაგრამ საკუთარ ბედნიერებას მან თავისი ქვეყნის კეთილდღეობა არჩია, რაც მისი აზრით შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ იქნებოდა, რომელიც ამდროს გაძლიერებული პეტრე I-ის მიერ გამარჯვებას გამარჯვებაზე იპოვებდა ურჯულო თათრებთან ბრძოლაში. და მან გადასწყვიტა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობდა რუსეთს საქართველოში შემოსასვლელად. აზნაურმა რომანმა მთავრის კარზე თავადაზნაურებში მრავალი მომხრე ნახა. მაგრამ მათი შეთქმულება გაიხსნა. რომან ნამჩევაძეს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა და იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო საქართველოდან და თავი დონის თავისუფალ კაზაკთა შორის შეეფარებინა.

გრუზინოვს აღარ ახსოვდა სახელი თავისი პაპის მამისა. და რადგანაც ევგრაფ გრუზინოვის ოთხი ძმიდან არც თვითონ ევგრაფს და არც დანარჩენ ორს — პეტრესა და ნიკოლოზს შთამომავლობა არ ყავდათ, მათ არ შეურთავთ ცოლები, ცხადია, რომ პეტრე გრუზინოვი შთამომავალი უნდა ყოფილიყო დანარჩენი ორი ძმიდან ერთ-ერთისა ან რომან გრუზინოვისა, ან ათანასე გრუზინოვისა (ნახეთ აქვე მოყვანილი გრუზინოვთა გვარის გენეალოგია).

პეტრე გრუზინოვმა მიჩვენა გრუზინოვთა საგვარეულო არქივი, რომელიც წარმოადგენს მოგონებებს დღიდან გრუზინოვთა წამოსვლისა საქართველოდან. თუ რომელი გრუზინოვის მიერაა დაწერილი ეს მოგონებები ან როდის, გაურკვეველი რჩება, რადგან მოგონებებს არავინ არ აწერს ხელს და არც თარიღია აღნიშნული მისი დაწერისა. მოგონებების წაკითხვის შემდეგ ცნობილი ხდება მხოლოდ ის, რომ მისი ავტორი შვილისშვილი ყოფილა საქართველოდან წასული რომან გრუზინოვის ერთ-ერთი შვილისა ან იოსების, ან მიხეილის, რადგან თვით ავტორი მოგონებებისა წერს „ცოტა ხნის წინ პაპა ჩვენი ილია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ დარჩა თუ არა მას შთამომავლობა ეს მე არ ვიცი“.

პეტრე გრუზინოვმა აგრეთვე მაცნობა, რომ მათ ოჯახში გარდა საგვარეულო არქივისა, ინახებოდა საგვარეულო ბეჭედი, სიგელი დაწერილი ქართულ ენაზე (მაგრამ რა ეწერა ამ სიგელში მან არ იცოდა, რადგან არ ფლობს ქართულ ენას) და ხმალი, რომელსაც თვით ევგრაფ გრუზინოვი იტარებდა. სამწუხაროდ, ყველა ეს ნივთი დაკარგულა, როდესაც პეტრე გრუზინოვის ოჯახი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან მოსკოვს გადმოსულა.

დონის მიწები, დასახლებული კაზაკებით, განთქმული იყო სიუხვითა და თავისი სოფლების სიმდიდრით, რომლებიც წარმოადგენდნენ საიმედო თავშესაფარს ყველა კუთხიდან გამოქცეულთათვის, რადგანაც ჯერ კიდევ უძველეს დროიდან, როდესაც უცხო მხარიდან გამოქცეული ხალხი დონზე თავშესაფარს ეძებდა, კაზაკები არ ეკითხებოდნენ ახლად მოსულებს მათ ვინაობასა და წარმოშობას, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს საკუთარი მეურნეობის შესაქმნელად და იღებდნენ თავიანთ საზოგადოების წევრად. კაზაკთა მთავარ ქალაქში, ჩერკასკში, დასახლდა რომან ნამჩევაძე და შეირთო ცოლი. მას შეეძინა სამი ვაჟიშვილი: იოსები, მიხეილი და ილია, რომელთაც გრუზინოვების გვარი მიიღეს<sup>1</sup>.

გრუზინოვთა საგვარეულო არქივიდან ჩვენ მიერ ამ ციტირებულ ადგილთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არსებული საერთო სიტუაცია, რომელიც რომან ნამჩევაძის რუსეთში გაქცევის პერიოდს ემთხვევა, ამ საბუთში ძირითადადში საკმაოდ სწორად არის ასახული. მართლაც, XVII საუკ. დამლევს და XVIII საუკ. დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ცალკეულ სამთავროებს შორის გამუდმებული ფეოდალური ომები წარმოებდა. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ეს პერიოდი დასავლეთ საქართველოში თურქთა გავლენის გაძლიერებით აღინიშნება. „ოსმალთა გაბატონებას, თვით ფეოდალები უწყობდნენ ხელს, — ვკითხულობთ საქართველოს ისტორიაში — XVII საუკუნის სიგრძეზე ოსმალთა ჯარი არა ერთხელ შემოსულა დასავლეთ საქართველოში მთავრების ან სხვა თავადების ხელის შეწყობით. მეზობლის მიერ მომძღვრებული მთავრის ან თავადის მოწვევით თურქები გადმოდიოდნენ დასავლეთ საქართველოში და საშინელი აოხრება-დარბევით „წესრიგს“ აღადგენდნენ ხოლმე... მთელი დასავლეთი საქართველო აშლილობამ მოიცვა... ქვეყანა თავადების საპარპაშოდ იქცა... მივინვარებდა გამანადგურებელი ტყვის-სყიდვა“.

<sup>1</sup> Семейный архив Грузиновых.

აქედან გამომდინარე, ვასაგები ხდება, რომ, როდესაც გრუზინოვთა საგვარეულო არქივში ჩვენ ვკითხულობთ „ქათველ თავადთა შორის ატეხილ შინაბრძოლებზე“ და შროგიერთა შორის მათგანის „თურქულ ორიენტაციაზე“, აქ ლაპარაკია რომელიმე რიოდში საქართველოში ცალკეულ სამეფო-სამთავროებს შორის წარმოებულ ფეოდალურ ბრძოლებზე და სწორედ იმ „თურქულ ორიენტაციის მქონე მთავრებზე“, რომელთა წყალობით არა ერთხელ შემოსულან საქართველოში თურქთა ჯარები და ცეცხლისა და მახვილისათვის მიუცაით საქართველოს მიწა-წყალი. ხოლო როდესაც გრუზინოვთა საგვარეულო არქივი მოგვითხრობს ზოგიერთ თავადზე, რომელთაც „არ გააჩნდა არც კეთილშობილება, არც სიყვარული თავისი ქვეშევრდომებისადმი და არც სიწმინდე ფიცისა“, ამ სიტყვებში, ეჭვგარეშეა, ნაგულისხმევია თავადების ის „ველური საქმე“, რაც დასავლეთ საქართველოში არსებულ „ტყვის-სყიდვაში“ გამოიხატებოდა.

თუმცა ყოველთვის როდი შეიძლება გრუზინოვთა საგვარეულო არქივში ასახული ყოველი ფაქტი სათანადო ანალიზის გარეშე მივიღოთ როგორც ისტორიული სინამდვილე. მაგალითად, როდესაც ამ საბუთში ლაპარაკია რომან ნამჩევაძეზე, რომელიც შეთქმულებას აწყობს „თურქული ორიენტაციის მქონე მთავრის კარზე“ და თავის გარშემო იკრებს თანამოაზრეებს, რასაკვირველია, ყოველივე ამის სინამდვილედ აღიარება, მართო გრუზინოვთა საგვარეულო არქივზე დაყრდნობით, არ იქნებოდა სარწმუნო. თუმცა ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ ამბავს, მოეწყო თუ არა რომან ნამჩევაძის მიერ შეთქმულება მთავრის კარზე, არამედ იმ მოტივს, რომელიც საფუძვლად ედება გრუზინოვთა საგვარეულო არქივში შეთქმულების მოწყობას და თვით იმ ფაქტს, რომ აზნაური რომან ნამჩევაძე XVIII ს. დასაწყისში ტოვებს „თურქული ორიენტაციის მქონე მთავრის კარს“, საერთოდ საქართველოს ტერიტორიას და რუსეთში გარბის. რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული რომან ნამჩევაძის საქართველოდან რუსეთში გაქცევა? თუ დავეყრდნობით პროფ. ნიკოლაევის სიტ-

შვებს, გამოდის რომ რომან ნამჩევადის რუსეთში გადახვეწა რომანსა და მის მთავარს შორის მომხდარი პირადი უთანხმოებით იყო გამოწვეული. მაგრამ თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ ისმის კითხვა: რამ აიძულა აზნაური რომან ნამჩევადეს საშუალოდ აყრილიყო სამშობლო მიწა-წყლიდან და შორეულ რუსეთში დასახლებულიყო, მაშინ როდესაც რომანს, დავუშვათ, დევნილს მისი მთავრის მიერ, ადვილად შეეძლო შეეფარებინა თავი საქართველოს სხვა კუთხეში რომელიმე მეფის ან მთავრის კარისათვის. თუ უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ რომან ნამჩევადის „თურქული ორიენტაციის მქონე მთავრის“ კარიდან წასვლა და საერთოდ საქართველოდან გადახვეწა გამოწვეული იყო არა მათ შორის მომხდარი პირადი უთანხმოებით, არამედ პოლიტიკური მიზეზით, კერძოდ, რომან ნამჩევადის რუსული ორიენტაციით, როგორც ეს გრუზინოვთა საგვარეულო არქივშია ნათქვამი. რასაკვირველია, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ რომან ნამჩევადის სამშობლოდან გაქცევის პერიოდში საქართველოში შექმნილ სიტუაციას, როდესაც მთელ ქვეყანაში თურქთა ბატონობა დღითიდღე ძლიერდება, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ აღარ ედგომებოდა შაჰის ირანისა და სულთნის თურქეთის მარწუხებში მოქცეულ საქართველოში და „თურქული ორიენტაციის მქონე“ მთავრის კარზე რომან ნამჩევადეს, — ადამიანს, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობას მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ ხედავდა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საერთოდ საქართველოში რუსეთზე ორიენტაცია, რასაც ღრმა ისტორიული ფესვები ჰქონდა, XVIII ს. დასაწყისში განსაკუთრებით ძლიერდება. გარდა ამისა, რომან ნამჩევადეს ალბათ თვალწინ ედგა ვახტანგ VI-ის მაგალითი, რომელიც განაწამებ საქართველოს ხსნას ჩრდილოეთიდან მოელოდა და ამ მისიით იგი 1724 წელს რაჭის გზით „ერთმორწმუნე“ რუსეთს გაემგზავრა. შესაძლოა, რომან ნამჩევადეც გაჰყვა ვახტანგ VI-ის კვალს, რადგან ქართველ ემიგრანტთა პირველი ნაკადის შემდეგ, რო-

მელიც ვახტანგს 1724 წელს გადაჰყვა რუსეთში, ქართველები მომდევნო წლებშიაც მიეშურებოდნენ რუსეთს.

ამრიგად, საქართველოდან გადმოხვეწილი რომან ნამჩევაძე ფეხს იკიდებს წყნარი დონის მიწებზე და მისი შთამომავლობა, რომელიც შემდგომში გრუზინოვთა გვარს ატარებს, თავის მეორე სამშობლოს რუსეთის მიწა-წყალზე პოულობს.

რომან ნამჩევაძის უფროსი ვაჟი — იოსებ გრუზინოვი „გამოირჩეოდა ჭკუითა და განათლებით. მან იცოდა ქართული, რუსული, თურქული ენები და იცნობდა მათ ისტორიას“<sup>1</sup>. ეკატერინე II-ის მეფობის დროს იოსებ გრუზინოვი წარჩინებით მონაწილეობს მრავალ ბრძოლაში და ღებულობს პოდპოლკოვნიკის ჩინს. ჩერკასკში იოსებ გრუზინოვი ცოლად ირთავს კაზაკის ქალს აფანასიევას, რომელთანაც მას ეყოლა ზუთი ვაჟიშვილი — ევგრაფი, პეტრე, რომანი, ათანასე და ნიკოლოზი.

ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ ჩერკასკში დასახლებულ გრუზინოვთა გვარის გენეალოგიას, რომლის ფუძემდებელიც რომან ნამჩევაძე იყო<sup>2</sup> (გვ. 16).

იოსებ გრუზინოვის უფროსი ვაჟიშვილი ევგრაფ იოსების ძე გრუზინოვი დაიბადა ჩერკასკში 1770 წელს. 16 წლისა იგი შედის სამხედრო სამსახურში და ორი წლის შემდეგ კაზაკთა ატამანთა პოლკის ასისტავია. „წარმოსადეგი, ტანადი, შესახედავი, გოლიათური ძალღონის პატრონი და მოხერხებულის“<sup>3</sup> იგი თავის მეზობელ ამხანაგებში დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა.

1788 წელს ჩერკასკში ჩამოყალიბებულ იქნა დონელ კაზაკთა რაზმი, რომელიც ასისტავ გრუზინოვის მეთაურობით გაგზავნეს გატჩინას, სადაც ამ დროს იმყოფებოდა რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის მემკვიდრე პავლე. დონიდან ჩა-


<sup>1</sup> Семейный архив Грузиновых.

<sup>2</sup> გრუზინოვთა გვარის გენეალოგია ჩვენ მიერ შედგენილია მოსკოვსა და ლენინგრადში დატულ საარქივო მასალებზე და გრუზინოვთა საგვარეულო არქივზე დაყრდნობით.

<sup>3</sup> История л. гв. казачьего е. в. полка 1885--1813 гг., С.-П., 1913.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა





მოსულ კაზაკთა ესკადრონი შეუერთეს გატჩინოში ჩამოყალიბებულ რაზმს<sup>1</sup>.

მაგრამ, ჩანს, ევგრაფ გრუზინოვი დიდხანს არ დარჩენილა გატჩინაში, რადგან უკვე იმავე წელს ჩვენ მას მოქმედ არმიასი ვხედავთ. ამ პერიოდში იწყება რუსეთ-შვედეთის ომი (1788—1790 წწ.). შვედეთის მეფე გუსტავ III იმედოვნებდა, რომ სამხრეთში გაჩაღებულ ომში ჩაბმული რუსეთი (მეორე რუსეთ-თურქეთის ომი 1787—1791 წწ.) ვერ შესძლებდა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას. მან ორანიენბაუმთან გადმოსხა 20-ათასიანი დესანტი და განზრახული ჰქონდა ერთი დარტყმით აეღო პეტერბურგი. დაიწყო რუსეთის ჯარების სასწრაფო კონცენტრაცია დედაქალაქთან. რუსეთის არმიის ავანგარდში იბრძვის ევგრაფ გრუზინოვი; იგი მეთაურობს კაზაკთა ესკადრონს. ამ ლაშქრობის შედეგები ცნობილია. რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად შვედები იძულებულნი გახდნენ უწესრიგოდ დაეხიათ უკან. „მრავალი მათგანი ევგრაფ გრუზინოვმა მისთვის ჩვეული სისწრაფითა და მოხერხებით მოსპო ან ტყვედ

1 1783 წელს ეკატერინე II-მ აჩუქა თავის მემკვიდრეს პავლე I-ს შესანიშნავი ადგილ-სამყოფი გატჩინა. დედასა და შვილს შორის არსებული ანტაგონიზმის გამო, პავლე ჩამოშორებულ იქნა ეკატერინე II-ის სამეფო კარს და მისი რეზიდენცია ამიერიდან ხდება გატჩინა. იქმნება, ასე ვთქვათ, ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სამეფო კარი „სახელმწიფო სახელმწიფოში“ (Н. К. Шильдер, Император Александр I, С.-П., 1904, стр. 93) პავლე გატჩინაში აყალიბებს სამხედრო რაზმს, რომლის რაოდენობა სწრაფად იზრდება. ეს რაზმი 1796 წლისათვის უკვე შედგებოდა ფეხოსანთა ჯარის ექვსი ბატალიონისაგან, ეგერთა როტისაგან, ოთხი საკავალერიო პოლკისაგან (დრაგუნთა, ჰუსართა, კაზაკთა და ჟანდარმთა) და პატარა საზღვაო ფლოტისაგან. პავლეს მიერ გატჩინაში ჩამოყალიბებულ „არმიის“ სამხედრო წესდებებს საფუძვლად დაედო ფრიდრიხ II-ის ინსტრუქციები და რეორგანიზებულ იქნა პრუსიულ ყაიდაზე. „ორგანიზაცია, ეკიპიროვკა და გაწვრთნა გატჩინელებისა — წერს ნ. შილდერი — სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა იმ წესისა, რომელიც რუსეთის არმიასი არსებობდა. ეს, ასე ვთქვათ, პროტესტი იყო სამხედრო სისტემისა, რომელიც არსებობდა რუსეთში ეკატერინე II-ის დროს... ამრიგად, — ვკითხულობთ იქვე — რუსეთის არმიის შორის აღმოცენდა განცალკევებული ჯარის ნაწილი, რომელიც პრუსიულ

წამოიყვანა“<sup>1</sup>. ამ ლაშქრობაში გამოჩენილი სიმამაცისათვის ევგრაფ გრუზინოვს წმინდა ანას ორდენი ებოძა.

რუსეთ-შვედეთის ომის დამთავრების შემდეგ ევგრაფ გრუზინოვი 1794 წელს მონაწილეობს პოლონეთის კამპანიაში, სუვოროვის მიერ ვარშავის (კერძოდ პრავის — ვარშავის გარეუბანი) აღების დროს. ამავე კამპანიაში ჩვენ ვხედავთ ევგრაფის უმცროს ძმასაც — პეტრე გრუზინოვს<sup>2</sup>, რომელსაც უკვე ჰქონდა მოხვეჭილი სახელი ბრძოლის ველზე და დაჯილდოებული იყო 1788 წელს ოჩაკოვის აღებაში გამოჩენილი სიმამაცისათვის წმინდა გიორგის ჯვრით (თუმცა იგი ამ დროისათვის მხოლოდ 17 წლისა იყო) და ოქროს ხმლით ცნობილ რომნიკის ბრძოლისათვის. ჩვენთვის ცნობილი არაა თუ რა პოსტებზე იმყოფებოდნენ ამ დროს ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები. მაგრამ 1795 წელს ფელდმარშალ სალტიკოვის მიერ გამოცემული ბრძანებიდან ჩანს, რომ ევგრაფი გრუზინოვი ამ ბრძოლებში წარმატებით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს

---

ყაიდაზე იყო ორგანიზებული და წარმოადგენდა ცოცხალ კარიკატურას უკვე დრომოკმული, ფრიდრიხული წესრიგისა“ (Н. К. Шильдер, Император Александр I, С.-П., 1904, стр. 93). მაგრამ არა მხოლოდ „არმია“, არამედ მთელი ცხოვრება გატჩინაში პრუსიულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. აი რას წერდა ერთ-ერთი თანამედროვე: „როგორც კი შეხვიდოდით გატჩინაში, თავს ისე იგრძნობდით, თითქოს რომელიღაც პრუსიულ სამფლობელოში მოხვედით. მის უმაღლესობას (ე. ი. პავლე I — ო. გ.) ყველგან დამყარებული ჰქონდა ისეთი წესრიგი, როგორც არსებობდა პოცდამში ფრიდრიხ II-ის მეფობის დროს“ (Жизнь А. С. Пишечича, им самим описанная, 1784 — 1805, М., 1885, стр. 215).

<sup>1</sup> Семейный архив Грузиновых.

<sup>2</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუვოროვის მიერ ვარშავის აღებაში, როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ პეტრე ბაგრატიონი და პოლკოვნიკი ა. მ. კახოვსკი. ეს უკანასკნელი 1798 წელს პავლე I-ის მიერ აზოვიდან განდევნილი, სათავეში ჩაუდგა ე. წ. „სმოლენსკის ორგანიზაციას“ — სმოლენსკში შექმნილ კონსპირატიულ „თავისუფლად მოაზროვნე“ იაკობინელთა „ჯგუფს“, რომელიც მიზნად ისახავდა პავლე I-ის ტახტიდან ჩამოგდებას და სახელმწიფო წყობილების რეორგანიზაციას. 1799 წელს ეს ორგანიზაცია გამოაშკარავებულ იქნა, ხოლო მისი წევრები შლისელბურგის ციხეში ჩაპყარეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ვარშავასთან წარმოებული

და სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა, იღებს პოდპოლკოვნიკობას<sup>1</sup>.

1796 წელს ევგრაფ გრუზინოვი გამოწვეულ იქნა მოქმედ არმიიდან და მას დაევალა კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის დაკომპლექტება, რომლის მეთაურადაც მას ნიშნავენ. „პოლკის ჩამოყალიბების საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღოდა, — ვკითხულობთ ჩვენ კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის ისტორიაში, — 1797 წელს 10 აპრილს ევგრაფ გრუზინოვი იღებს პოლკოვნიკის ჩინს. კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის მეორე ესკადრონი, რომლის შეფადაც იგი იყო, ატარებდა ევგრაფ გრუზინოვის სახელს“<sup>2</sup>.

პოლკის ოფიცერთა შორის იყვნენ აგრეთვე ევგრაფ გრუზინოვის უმცროსი ძმებიც: პოდპოლკოვნიკი პეტრე გრუზინოვი და როტმისტრი რომან გრუზინოვი. უმოკლეს ხანაში ევგრაფ გრუზინოვმა ჩამოიყვანა ჩერკასკიდან მესამე თავისი ძმა ათანასე და ჩარიცხა პორუჩიკად თავის პოლკში.

### 3.

ინტერესს არ იქნება მოკლებული თუ ჩვენ აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას იმ ქართველ მეომართა შესახებ, რომლებიც ევგრაფ გრუზინოვის სამხედრო მოღვაწეობის პერიოდში, თუ უფრო მოგვიანებით, რუსეთის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ და თავისი მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ რუსეთის საზოგადო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცნობები რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ

---

ბრძოლების დროს ძმები გრუზინოვები უშუალო კონტაქტში იყვნენ პ. ბაგრატიონთან, აგრეთვე პოლკოვნიკ კახოვსკისთან და დანარჩენ „თავისუფლად მოაზროვნე“ ოფიცრებთან. თუმცა ამის შესახებ საბუთებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ პეტრე გრუზინოვის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან, რომ მან „საზოგადოების აღმაშფოთებელი და უმაღლესი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოსაზრებანი მოისმინა ვარშავასთან არმიაში ყოფნის დროს, ხოლო ვისგან, მას უკვე აღარ ახსოვდა“ ჩანს, რომ ძმებ გრუზინოვებს უკვე 1794 წლიდან კავშირი აქვთ „არსებული წყობილებით უკმაყოფილო ოფიცერთა“ ჯგუფთან.

<sup>1</sup> ШГАДА ф. Госархив, раздел VII, д. № 3501, л. 31.

<sup>2</sup> История л. гв. казачьего е. в. полка. 1775—1813 гг., С.-П., 1913.

ქართველ მეომართა შესახებ ჩვენ ამოვკრიფეთ 1915 წ. ქურნ. „განათლებაში“ გამოქვეყნებულ ს. ცომაიას წერილიდან „ქართველები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში“. მასში ნათქვამია: სია იმ ქართველებისა, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის სამამულო ომში დაცული ყოფილა ხელნაწერში № 11 მ. საბინინის ხელნაწერთა კოლექციიდან. შინაარსი ხელნაწერისა შეადგენს „ნაპოლეონის ლაშქრობის რუსეთსა ზედა და მისი ლტოლვის ისტორიას“. საქართველოს მეფის გიორგი XII-ის მემკვიდრის ბაგრატის თხოვნით, რომელიც თავის ძმებთან ერთად იოანესთან და მიხეილთან 1801 წლიდან რუსეთს იმყოფებოდა, ეს ხელნაწერი რუსულიდან ქართულ ენაზე უთარგმნია 1832 წელს „პეტერბურგში“ „ინასტრანის კოლეჯის პრეოდჩიკს იოანე რამანიჩს ბაზლიძეს“. იოანე ბაზლიძე „პრეოდჩიკად“ ყოფილა ცნობილ „ინასტრანის კოლეჯის პრეოდჩიკის უფალ ნაროდნი სოვეტნიკის და კავალერიის გოდერძი ფილაროვის“ შემდეგ.

სია ქართველ მეომართა თვით საქართველოს მეფის, გიორგი XII მემკვიდრის ბაგრატის საკუთარი ხელით არის ნაწერი და მოთავსებულია ხელნაწერის ბოლოში.

### „ს ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ე ო მ ა რ თ ა“

რომელნიცა ქართუშლნი დაესწრენ ბრძოლასა ამას შა რუსთა და ფრანცუცთასა (და იმარხურებოდნენ მხედრობათა შა რუსეთისასა); და აღებასა ღიდისა მოსკოვისასა. წელსა 1812-სა და თუშსა სეკტენბერსა. — 2-სა. დღესა ორშაბათსა. ამათნი სახელნი ამის ქუშმით აღიწერების.

1. საქართუშლოს მეფის გიორგის ძე ილია ესე დაესწრა ღიდსა ბრძოლაში ბოროდნას და აღმოჩნდა სახელოვნად. ახალი ღვარდიის იეგირის პოლკში იყო აფცრად.

2. იმერთა მეფის დავითის ძე კონსტანტინე იყო ლეიბ ყაზახისა პოლკში კაპიტნად და მისის იმპერატორების ღიდებულების ფლიგილ ატუტანტად. ესეცა დაესწრა ამა ბრძოლაში და აღმოჩნდა სახელოვნად.

3. თავადი პეტრე ძე იოვანესი ბაგრატიონი ღიანარღო შეფი. და მრავალსა ადგილსა სახელოვნად ძლევა შემოსილი. მოიკლა ფრანცუცთაგან ბოროდინისა ბრძოლასა შ<sup>ა</sup> სამათ გურს ახლა რუსნი უწოდებენ კნიაზ საქართვლო-სად. (ესე იგი გრუზინსკიედ).

ღიანარღ-მაიორი პავლე სერგის ძე ძუჭლათ ბიბილური. და ახლად წოდებული ლაშქაროვად. დაკოდით ორისავე თუ-ლით. დაბრმავდა ბოროდინის ბრძოლაში.

4. თავადი პეტრე იაკობის ძე შანჭვოზიანი მოიკლა ამავე ბრძოლასა შ<sup>ა</sup> კაპიტნად ღვარდიისა<sup>2</sup>.

5. თავადი რევაზ იოვანეს ძე და ძმა პეტრესი ბაგრატიონი. ესე იყო პოლკოვნიკად.

6. თავადი ევსტატი ძე თეიმურაზისა ჯავახიშვილი აფიც-რად პავლოგრადცკის გუსრის პოლკში.

7. თავადი დავით აბი-მელიქოვი ლეიბ გუარდიის გურსკის პოლკოვნიკი.

8. ამისივე ძმა პეტრე. ამავე პოლკში.

9. ამისივე ძმა ალექსანდრე. ამავე პოლკში.

10. ამავე პოლკში თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე ძე გარ-სევანისა<sup>3</sup>.

11. თავადი ღიანარღი არტილერიისა იაშვილი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ცნობილი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი.

<sup>2</sup> ქართველებთან ერთად სიაში ბაგრატი უჩვენებს თორმეტამდე სომეხს (იხ. №№ 4, 7—9, 20, 23, 34, 37, 41—43).

<sup>3</sup> ცნობილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

<sup>4</sup> ბაგრატის სიაში აღნიშნულ არტილერიის გენერალ იაშვილთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს გენერალი იაშვილი ს. ცომაიას შეცდო-მით ჰგონია ის იაშვილი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო 1801 წ. 11 მარტის პავლე I-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. კერძოდ, გვარ-დიის არტილერიის მეთაური ვლადიმერ მიხეილის-ძე იაშვილი. სინამდვი-ლეში, კი, 1812 წლის სამამულო ომში აქტიური მონაწილეობა მიიღო არა ვლადიმერ იაშვილმა, არამედ მისმა უმცროსმა ძმამ ლევან მიხეილის ძე იაშ-ვილმა — პირველი არმიის არტილერიის უფროსმა და არტილერიის გენე-რალმა.

მოგვყავს ცნობა ძმები იაშვილების შესახებ.

12. თავადი ღიანარლი სფირიდონ ჯავახიშვილი მოკლდა, ამ დროსა სნეულებითა ქალაქსა ვეგერს.

13. თავადი ფლორე ჩოლოყაშვილი ძე დურმიშხანისა.

14. თავადნი 2 ძმანი თარხნის ტეტისა შვილები იორამ და ნიკოლოზ.

15. თავადი ამირეჯიბი. ასპან ძე ქაიხოსროსი ფ დ მამაცი ყმაწვილი. მოკლა.

ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი დაბადებულა 1764 წელს. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი, თავის უმცროს ძმასთან ერთად, წამოუყვანიათ საქართველოდან რუსეთში და განუწყესებიათ სამხედრო სამსახურში. 1800 წელს გვარდიის არტილერიის კაპიტანი ვლადიმერ იაშვილი პოლკოვნიკის ჩინით გადაჰყავთ კავალერიაში, ხოლო ხანმოკლე პერიოდის შემდეგ იგი უკვე გვარდიის არტილერიის მეთაურია. 1801 წელს ვლადიმერ იაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს პავლე I-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. ცნობილია, რომ ამ შეთქმულებას საფუძვლად ედო პავლე I-ის ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა, რომელშიაც გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მქონე „უკმაყოფილონი“. მაგალითად, შეთქმულთა ბანაკში შედიოდნენ:

1. რესპუბლიკური მმართველობის მომხრეები (იზმაილოვსკი პოლკის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ბიბიკოვი, რომელიც მოითხოვდა მთელი სამეფო საგვარეულოს მოსპობას).

2. კონსტიტუციონალისტები, რომლებიც მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის შეზღუდვას და რუსეთის მონარქიის რეორგანიზაციას (ნ. პანინი, პ. პალენი, პ. ზუბოვი).

3. აბსოლუტური მონარქიის მომხრენი, რომლებიც მხოლოდ თვითმპყრობელი მეფეს შეეცვლას მოითხოვდნენ, რაც მათი პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობდა (Вопросы истории, 1952, № 9, стр. 121).

რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა ვლადიმერ იაშვილი? თუ დაეუჭერებთ «Русский биографический словарь»-ს ვლადიმერ იაშვილის მონაწილეობა პავლე I-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში პირადი ანგარიშით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ვითომდა იმპერატორ პავლე I-ს შეურაცხყოფა მიუყენებია იაშვილისათვის და ამიტომაც პავლესათვის სამაგიეროს გადასახდელად მას მონაწილეობა მიუღია 1801 წლის 11 მარტის გადატრიალებაში (Русский биографический словарь, 1913, стр. 210).

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვლადიმერ იაშვილის შეთქმულებაში მონაწილეობა არა მარტო პირადი ანგარიშით იყო გამოწვეული, არამედ მისი პოლიტიკური შეხედულებებითაც. თუმცა ჩვენთვის ძნელი იქნება გადაჭრით

16. თავადი მაჩაბელი ბორტის შვილი თეიმურაზ.

17. საქართველოს სამეფოს კარის დეკანოზის ონისიმეს ძე ზაქარია გუარად იოსელიანი. ფ'დ მამაცი და სახელოვნად გამოჩენილი.


იმის თქმა, თუ რა პოლიტიკური შეხედულებები ამოქმედებდა ვლადიმერ იაშვილს 1801 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისას. მაგრამ ზოგერთი ფაქტი ვლადიმერ იაშვილის ცხოვრებიდან შესაძლებლობას იძლევა ნაწილობრივ შეუქი მოვფინოთ ამ საკითხს. მაგალითად: 1801 წლის ადრატ-რიალების შემდეგ, როდესაც რუსეთის სამეფო ტახტზე ავიდა ალექსანდრე I, მისთვის ვლადიმერ იაშვილს, „გამომწვევი ხასიათის წერილი“ გაუგზავნია. (Русский биографический словарь, 1913, стр. 210). რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ვლადიმერ იაშვილის მიერ ალექსანდრე I-ის სახელზე „გამომწვევი ხასიათის წერილის“ დაწერა? გავიხსენოთ თუ როგორი იყო სიტუაცია 1801 წ. 11 მარტის გადატრიალების შემდეგ.

ტახტზე ასვლის შემდეგ „ახალგაზრდა მეფემ (ნაგულისხმებია ალექსანდრე I — ო. გ.) — წერს ტ. სნიტკო — რომელიც ადრე პირდებოდა არა მარტო კონსტიტუციას, არამედ თვით რესპუბლიკასაც კი, მაშინვე მონარქისტების მხარე დაიჭირა. კონსტიტუციონალისტები და ისინი, ვინც რესპუბლიკაზე ოცნებობდა იძულებული გახდნენ ხმა ჩაეკმინდათ“... „1801 წელს გრაფ ნიკიტა პეტრეს ძე პანინს და გრაფ პალენს სურდათ კონსტიტუციის დამყარება — წერდა ამ პერიოდთან დაკავშირებით ნიკიტა მურავიოვი, დეკაბრისტი. — ის შეთქმულები, რომლებსაც მხოლოდ მეფის გამოცვლა სურდათ და მის წინააღმდეგ ხელი აიღეს, დაჯილდოებულ იქნენ, ხოლო ისინი, ვინც მტკიცე წყობილებას ეძებდა, — სამუდამოდ განდევნილ იქნენ“ (Вопросы истории, 1952 г., стр. 122). ალბათ ამიტომ იყო რომ კონსტიტუციონალისტებს, რომლებიც იმედებს ამყარებდნენ 1801 წლის შეთქმულებაზე, ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლამ იმედები გაუცრუა. ალბათ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იაშვილმა „გამომწვევი ხასიათის წერილი“ გაუგზავნა ალექსანდრე I. საიდან ვასკენით იმას, რომ ვლადიმერ იაშვილი იზიარებდა კონსტიტუციონალისტების გეგმებს და რომ მას 1801 წ. შეთქმულებაში მონაწილეობა მიუღია არა როგორც მხოლოდ „ახალი მეფის მომხრეს“. ვლადიმერ იაშვილს რომ მონაწილეობა მიეღო 1801 წლის შეთქმულებაში, როგორც მხოლოდ „ახალი მეფის მომხრეს“, ცხადია, იგი, როგორც აღნიშნავდა ნ. მურავიოვი, — დაჯილდოებული უნდა ყოფილიყო ახალი იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიერ. მაგრამ, ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ვლადიმერ იაშვილს დაჯილდოე-

18. ქართუჭლიშვილი ზაქარია ძე იოსებისი.

19. ლალიხანისშვილი. თელავის კარის შიოს მღვდლის შვილი იოროთე. მოკუდა სნეულობითა.

20. გაბაშვილი იოსებ.



ბის მაგივრად აქვეებენ სოფელში და უკრძალავენ საერთოდ მოსკოვსა და პეტერბურგში გამოჩენას (Русский биографический словарь, 1913, стр. 210). სწორედ ასეთივე ბედი ეწვიათ კონსტიტუციონალისტებს ნ. პანინს, პ. პალენს, პ. ზუბოვს. ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ისინი გაძევებულ იქმნენ პეტერბურგიდან (Е. Шумигорский, Император Павел I, С.-П., 1907, стр. 213—214)

ვლადიმერ იაშვილის კონსტიტუციონალისტებთან ახლო კავშირზე მოწმობს აგრეთვე შემდეგი ფაქტი: „დილის 10 საათზე მე შევედი ზამთრის სასახლეში—წერდა დე-სანგლენი (აქ ლაპარაკია 1801 წ. 11 მარტის გადატრიალების მეორე დღეს მომხდარ ამბებზე — ო. გ.). აქ ყველა დარბაზი სავსე იყო სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებით... პირველ დარბაზში თავის სიხარულს გამოხატავდა რამოდენიმე ოფიცერი... მე შევედი მეორე ოთახში. აქ ბუხართან ისხდნენ გრაფი ზუბოვი და მის წინ თავადი იაშვილი. მათ გარშემო იდგნენ ზოგიერთი იმათგანი, რომლებიც წინააღმდეგ მე ვნახე გრაფ პალენთან. ზუბოვმა ხმამაღლა უთხრა იაშვილს: „ძნელი საქმე კი იყო!“ (იგულისხმება 1801 წ. 11 მარტს პავლე I-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება — ო. გ.). (Е. Шумигорский, Император Павел I, С.-П., 1907, стр. 211—212).


1801 წ. 11 მარტის შეთქმულების შემდეგ, როდესაც რუსეთის სამეფო ტახტზე ავიდა ალექსანდრე I, როგორც უკვე ნათქვამი იყო ვლადიმერ იაშვილი განდევნილ იქნა პეტერბურგიდან. ამის შემდეგ იგი ძირითადად ცხოვრობდა სოფ. მურომცოვოში, კალუგის გუბერნიაში. მხოლოდ 1812 წელს გენერალ-ფელდმარშალ კუტუზოვს დაუვალავია ვლადიმერ იაშვილისათვის რაზმის ჩამოყალიბება, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო 1812 წლის სამამულო ომში. ამის შესახებ შემდეგი ცნობა არსებობს: „1812 წელს მას (ე. ი. ვლადიმერ იაშვილს — ო. გ.) დაავალა გენერალ-ფელდმარშალმა კუტუზოვმა რაზმის ჩამოყალიბება. როდესაც ეს ამბავი შეიტყო ფელდმარშალის ერთ-ერთი პატაქიდან ალექსანდრე I-მა, მან საყვედური გამოუცხადა კუტუზოვს იმისათვის, რომ მან სამსახურში გააწვია მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი იაშვილი. მალე ამის შემდეგ კუტუზოვმა ურაპორტა იმპერატორს, რომ იაშვილი დაბრუნებულია თავის სოფელშიო“. (Русский, биографический словарь, 1913, стр. 216).

ვლადიმერ იაშვილი გარდაიცვალა სოფ. მურომცოვოში 1815 წ. 20 ივლისს.



თავადი ბებუთოვი დავით ძე იოსებ მიშკარბაშისა.

თავადი ტუსიშვილი ალექსი ძე იოვანესი. კახი.



21. სიღამონი ქსნის ხეველი ჭურთელი ოსი.
22. ფეტვიაშვილი ეგნატე ივანეს ძე.
23. არღუთაშვილი მოსე ძე შოშიასი.
24. გორელი თაყინაშვილი ივანე.
25. გორელი ზაალ ალაბაპაშვილი. მოკლეს.
26. ლეკ ჰყოფილი — მოსე მირიანის ძე. მოკლეს.
27. ლეკ ჰყოფილი მოსე გაბრიელის ძე. მოკლეს.
28. იმერელი ღაღანის ძე რომანოზ.
29. ბეჟან გამყრელიძე.
30. სვიმონიკა რაჭტყლი.
31. მეგრელი გამსახურია.
32. გრიგოლ კაპანაძე.
33. იოსებ ჩიკორის ძე.

ლევან მიხეილის ძე იაშვილი დაბადებულა 1768 წელს. ჯერ კიდევ შტირეწლოვანი, თავის უფროს ძმასთან ერთად, წამოუყვანიათ საქართველოდან რუსეთს. 1784 წელს იგი განუწყესებიათ არტილერიის კადეტთა კარბუსში. 1787 წ. ლევან იაშვილი მონაწილეობას იღებს მეორე რუსეთ-თურქეთის ომში. ოჩაკოვის აღების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის იგი იღებს პორუჩიკის ჩინს. შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ პოლონეთის კამპანიაში. 1794 წელს ვარშავის გარეუბნის პრადის აღების დროს მან თავი გამოიჩინა მამაცობით, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვრით. 1805 წელს სახელოვნად იბრძვის ავსტრიაში ფრანგების წინააღმდეგ. ჰეილბერგის ბრძოლისათვის იგი ჯილდოვდება მესამე ხარისხის გიორგის ჯვრით, ხოლო პრეისიზ-ვილაუსა და გუტშტატის ბრძოლებისათვის ორჯერ ოქროს იარაღით. 1808 წლისათვის ლევან იაშვილი უკვე გენერალ-მაიორია. 1812 წლის სამამულო ომში იგი მტერთან წარმატებით ბრძოლებისათვის იღებს გენერალ-ლეიტენანტის ჩინს. 1813 წელს ინიშნება მთავარი მოქმედი არმიის არტილერიის უფროსად და იმყოფება ლაშქრობაში პრუსიასა და საქსონიაში. ლუცერნის ბრძოლისათვის ჯილდოვდება ალექსანდრე ნეველის ორდენით. 1814 წელს რუსის ჯართან ერთად შედის პარიზში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ 1816 წელს ლევან იაშვილს ნიშნავენ I არმიის არტილერიის უფროსად. 1819 წელს იგი იღებს არტილერიის გენერლის ჩინს; ხოლო 1832 წ. იგი რუსეთის სამხედრო საბჭოს წევრია. 1833 წ. ლევან იაშვილს აჯილდოებენ უმაღლესი ორდენით — ანდრია პირველწოდებულის ორდენით.

ლევან იაშვილი გარდაიცვალა 1836 წელს.

34. ალა აფრიამოვი.—ძმა სოლომანასი.

35. ორნი ძმანი კუანჭახაძენი, ძენი ბერუასანნი.

36. ფანიაშვილი.

37. თომა მაღაქელაშვილი, რომელსაცა ახლა ეწოდებოდა გუარად შალბათოვ.

ყიზლარელნი. 38. ხმალაძე. იმერელი ანდრია გოგლაშვილი.

39. თულაშვილი.

40. ბეჟანოვი. — ბაზლიძე ალექსი მოიკლა.

ყარაბაღის სამფლობელოდამ.

41. დიანარლ მადათოვი ფ დ მამაცი.

42. მელიქ ისაიაშვილი პეტრუსა.


43. ერევნელი ვარჟაპეტაშვილი.

ხრესენი რომელნიცა აღვჰსწერენით იყვნენ სხუათა და სხუათა პოლკთა შრა, რუსეთის მხედრებისათა ვრა ღვარდიასა შრა, ეგრეთჲც არმიათა შრა, და ყოველმან ამა ძლიერთა ბრძოლათა შრა განგრძელებულთა ნ-ს თჲც დღე და ღამე ფ დ სახელოვნად აღმოჩნდნენ. ვრა შუჭნის ქართჲშლთა მამაცობას. რომელნიმე დაიკოდნენ და რომელნიმე მოსწყდნენ. ხ ტყჲშდ ამა ბოძოლასა შრა არავინ შეპყრობილ არს სიმხნითა თვისითა. საუკუნოდ ჰყოს ღ თნ ჰხსენება ამათი. ამინ. მე მეფის გიორგის ძემ ბაგრატ აღვსწერე—რათა არა დავიწყებულ იყოს სახელნი მათნი.

ხრესე რაჲცა ამა ისტორიასა შრა არს მოხსენებული მე ვარ დამსწრე ამისი თვით მოსკოვსა შრა. რომელიცა განვედ მე სეკდებრის 1-სა მოსკოვით და წარველ ნიჲნა ნეოგოროდის ქალაქსა შრა.—ხ მოსკოვი აღებულ იქმნა ფრანცუტთაგან. სეკდებრის ორსა დღესა ორშაბათსა. შ დ შუადღისა. — წელსა 1812-სა.

მეფის ძე ბაგრატი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „განათლება“, 1915, იანვარი.



მაგრამ ბაგრატის მიერ შედგენილი ქართველ მეომართა სია, რასაკვირველია, სრული არ არის. ამ სიაში დასახელებულ ქართველ მეომართა გარდა, 1812 წლის სამამულო ომში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე სხვა ქართველ მეომრებსაც. ესენი იყვნენ: კაპიტანი პეტრე იაკობის ძე ბაგრატიონი, მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი, გენერალ-მაიორი სიმონ გიორგის ძე გამგებლიშვილი, დადიანი-მინგრელსკი, ლეიბ-გვარდიის ულანის პოლკის პორუჩიკი ერისთავი, პოდპოლკოვნიკი მაქაყარიძე, გენერალ-ლეიტენანტი ივანე დავითის ძე ფანჩულიძე, მისი ძმა სიმონ დავითის ძე ფანჩულიძე, გენერალ-მაიორი ანტონ სტეფანეს ძე შალიკაშვილი და სხვ.

შესაძლებელია, რომ ჩვენ მიერ აქ დასახელებულ რუსეთის სამსახურში მყოფ ქართველ მეომართაგან მრავალი პირადად იცნობდა როგორც ევგრაფ, ისე პეტრე გრუზინოვებს, რადგან ბევრმა ამათგანმა თავი ისახელა სწორედ იმ ბრძოლებში, რომლებშიაც წარმატებით მონაწილეობდნენ ძმები გრუზინოვები. ასე, მაგ., ოჩაკოვთან და ვარშავასთან იბრძოდნენ: ცნობილი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, გენერალ-მაიორი სიმონ გამგებლიშვილი, არტილერიის გენერალი ლევან იაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე ფანჩულიძე და მისი ძმა სიმონ ფანჩულიძე, გენერალ-მაიორი ანტონ შალიკაშვილი და სხვ.

4.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, 1796 წლისათვის ევგრაფ გრუზინოვი გამოძახებულ იქნა არმიიდან და მას დაევალა ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის დაკომპლექტება.

ეს პერიოდი ემთხვევა ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის სამეფო ტახტზე პავლე I-ის ასვლას. იწყება ხანა, როგორც წერდა ზოგიერთი ისტორიკოსი, ბოდვისა და

<sup>1</sup> იხ. ტ. რუხაძე, ქართველები რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში, თბილისი, 1942.

ქალისა<sup>1</sup>, მეფობა ძალმომრეობისა და შიშისა<sup>2</sup>. ამიერიდან ე. წ. „გატჩინური წესები“ სანიმუშო მაგალითი ხდება რუსეთის იმპერიის მმართველობისათვის<sup>3</sup>.

ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით ორიოდ სიტყვით შევჩერდეთ ამ პერიოდზე, კერძოდ, პავლე I-ის საშინაო პოლიტიკის იმ მხარეებზე და ღონისძიებებზე, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ მღელვარების ტალღა გამოიწვია რუსეთის პროგრესულ საზოგადოებაში.

კორონაციის შემდეგ პავლე I-ს, რომელიც თავის თავს სამხედრო საქმის უბადლო მცოდნედ თვლიდა, არმიაში ე. წ. „გატჩინური წესები“ შეაქვს. სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები და სამხედრო ხელოვნება პეტრე I-ის, რუმიანცევის და სუვოროვისა, უარყოფილ იქნა პრუსიულ-ფრიდრიხული სამხედრო მუშტრის თაყვანისმცემლის მიერ<sup>4</sup>. არმიის გარდაქმნას პავლე I იწყებს რუსეთის არმიაში 1760 წლის მოძველებული პრუსიული სამხედრო წესდების და ფრიდრიხული მუნდირის შემოტანით.

მექანიკური გადმოტანა ყოველივე პრუსიულისა, დაწყებული სამხედრო მუშტრით და დამთავრებული ეკიპიროვკით: მაღალყელიანი ჩექმები, მაღალსახელოიანი ხელთათმანები, მაღალი სამკუთხა შლიაპები, გაპუდრული კულულები და ნაწინავები რუსეთის არმიის საუკეთესო წარმომადგენელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა და უპირველეს ყოვლისა, სუვოროვისა. „ადვილი გასაგებია სუვოროვის გულისწყრომა, — წერს ე. შუმიგორსკი, — როდესაც მან დაინახა თავისი დევ-გმირები ასეთ მოუხერხებელ სამოსელში გამოწყობილი, რომელთაც ყველა გატჩინულ ეკზერციცებს ასრულებინებდნენ“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Н. К. Шильдер, Император Александр I, С.-П., 1904, стр. 144.

<sup>2</sup> Воспоминания Ф. П. Лубяновского, 1772—1834, Москва, 1828, стр. 91.

<sup>3</sup> Н. К. Шильдер, Император Александр I, С.-П., 1904, стр. 144.

<sup>4</sup> Шумигорский, Император Павел I, С.-П., 1907, стр. 90.

<sup>5</sup> იქვე.

სუფოროვი თავის წერილში „აზრთა ქარბუქი“ წერდა: „რუსები პრუსიელებს ყოველთვის ამარცხებდნენ, აქედან რა არის გადმოსაღები?“ „პუდრი განა დენთია? კულულები განა ზარბაზნებია? ნაწნავი განა მახვილია? მე გერმანელი ვარ, რუსი ვარ!“<sup>1</sup>.

სამხედრო ნაწილების ნამდვილი წვრთნის მაგიერ, ოფიცრები იძულებული იყვნენ მთელი თავიანთი დრო დაუმთავრებელ ვახტ-პარადებში გაეტარებინათ. მთელი თავისი მეფობის პერიოდში პავლე I-ს არც ერთი ვახტ-პარადი არ გაუცდენია და ხშირად თვითონვე ხელმძღვანელობდა მას. „ვახტ-პარადი, — წერდა შუმიგორსკი, — გადაიქცა რაღაც საზეიმო წესად: წარმოადგენდა ნამდვილ თეატრს, სადაც რუსეთის იმპერატორი წვრილმან და დესპოტი პედანტის როლს ასრულებდა“<sup>2</sup>.

ბუნებრივია, რომ ასეთი ვითარება ოფიცერთა გარკვეულ წრეში უკმაყოფილებას ბადებდა, რაც კიდევ უფრო იმით მძაფრდებოდა, რომ პავლე I-ის მეფობის დროს არც ერთი პარადის მონაწილე არ იყო დარწმუნებული, თუ რით დამთავრდებოდა მისთვის ესა თუ ის ვახტ-პარადი. ოფიცრები პარადზე საკმაო თანხისა და საცვლების მარაგით მიდიოდნენ<sup>3</sup>, რადგან პირდაპირ პარადიდან, მათ, შესაძლებელია, თავი ციმბირში ამოეყოთ.

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ის სასტიკი პოლიციური რეჟიმი, რომელიც პავლე I-ს დამყარებული ჰქონდა რუსეთში საფრანგეთის რევოლუციის გავლენის შიშით.

პავლე I-ის მიერ, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკის პროგრამად დასახულ იქნა „წინააღმდეგობის გაწევა ყოველგვარი საშუალებების გამოყენებით მძვინვარე საფრანგეთის რესპუბლიკისათვის, რომელიც მთელ ევროპას კანონის,

<sup>1</sup> Г. А. Новицкий, История СССР (XVIII век.), Москва, 1950, стр. 120.

<sup>2</sup> С. Шумигорский, Император Павел I, С.-П., 1907, стр. 123.

<sup>3</sup> Русский архив, 1869, стр. 1903.

უფლებისა და კეთილზნობის სრული მოსპობით ემუქრებოდა“<sup>1</sup>. პავლე I-ის „უპრინციპო და არათანმიმდევრულ პოლიტიკაში“,—წერდა ა. პიპინი—მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი და გასაგები. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა „რუსეთში რევოლუციურ იდეების დევნას“, „დევნას იაკობინელობისა“<sup>2</sup>.

რუსეთიდან აძევებდნენ ყველა უცხოელს, რომელზედაც მცირეოდენი ეჭვი მაინც ჰქონდათ მიტანილი. აკრძალეს უცხოეთიდან შემოტანა წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, მუსიკალური ნაწარმოებებისაც კი. ხოლო თვით რუსეთში მათზე სასტიკი საერო და სასულიერო ცენზურა დააწესეს. დახურეს ყველა კერძო სტამბა. რუსებს აეკრძალათ საზღვარგარეთ გამგზავრება, ხოლო უცხოელებს რუსეთში ჩამოსვლის უფლებას აძლევდნენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისიც მხოლოდ თვით იმპერატორის ნებართვით. მას შემდეგ რაც დასავლეთში გავრცელდა „ბოროტმოქმედი საფრანგეთის“ რევოლუციური იდეები, პავლე I-მა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება ევროპის უნივერსიტეტებსა და სკოლებს. იმის შიშით, რომ მისი ქვეშევრდომები „არ დაავადებულიყვნენ მემამბოხე სულისკვეთებით“, მან აუკრძალა რუსეთის ახალგაზრდობას სასწავლებლად საზღვარგარეთ გამგზავრება. ისინი კი, ვინც იმდროისათვის საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ, სასწრაფოდ გამოიწვიეს რუსეთში. პავლეს ბრძანებით ხსნიდნენ პირად ბარათებს, სასტიკად კრძალავდნენ რაიმე საზოგადოებების დაარსებას. ერთი სიტყვით დაწესდა ისეთი მეთვალყურეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებაზე, რომ „პირველი საფრთხის მოლოდინში პარალიზებული ყოფილიყო რევო-

<sup>1</sup> Н. Шильдер, Император Павел I, С.-П., 1901, стр. 339.

<sup>2</sup> А. Пыпин, Общественное движение в России при Александре I, С.-П., 1900, стр. 53.

ლუციური იდეების ყოველგვარი ჩანასახი<sup>1</sup>. პავლე I-ის შიში და ზიზღი საფრანგეთის რევოლუციისადმი იქამდესაც კი მივიდა, რომ მან აკრძალა მრგვალი შლიაპების, ფრაკებისა და ყილეტების ტარება, რადგანაც ყოველივე ეს „იყო მოღვაწე რევოლუციური საფრანგეთისა“. ან როგორ აღწერს ერთ-ერთი ისტორიკოსი პავლე I-ის ამ კომიზმით სავსე ღონისძიებას, რომელიც პეტერბურგის მაშინდელმა გენერალ-გუბერნატორმა ნ. არხაროვმა დიდის გულმოდგინებით შეასრულა: „პავლე I-ის ტახტზე ასვლის მეორე დღესვე ორასამდე ჯარისკაცი და დრაგუნი, დაყოფილნი სამ თუ ოთხ პარტიად, ბრძანების შესასრულებლად დარბოდნენ ქუჩებში, გამვლელებს თავიდან გლეჯდნენ მრგვალ შლიაპებს და ნაკუწნაკუწ აქცევდნენ. ფრაკებს საყელოებს ახევენ... კამპანია სწრაფად და გამარჯვებით დამთავრდა: დღის 12 საათისათვის უკვე ვეღარ ნახავდით მრგვალ შლიაპებს, ფრაკებსა და ყილეტებს და ათასობით მცხოვრები პეტერბურგისა უქუდებოდ, შემოხეული ტანსაცმელით, ნახევრად შიშველნი მიჩანჩალებდნენ ბინებისაკენ“<sup>2</sup>.

1798 წლის 5 მაისის ბრძანებით ფაბრიკანტებს აეკრძალათ სამფერიანი ლენტის გამოშვება. თვით რუსული ენის ლექსიკაც ვერ გადაურჩა პავლე I-ის „გარდაქმნებს“. სიტყვა „მოქალაქე“ შეიცვალა სიტყვით „მცხოვრები“, სიტყვა „დარაჯი“ — „ყარაულით“, სიტყვა „სამშობლო“ — „სახელმწიფოთი“, ხოლო სიტყვა „საზოგადოების“ ხმარება საერთოდ აიკრძალა. ჯერ კიდევ პავლე I-ის ტახტის მემკვიდრედ ყოფნის დროს როსტოპჩინი წერდა ვორონცოვს—„უფლისწულს ყველგან რევოლუცია ელანდება“<sup>3</sup>. ყოველივე ის, რაც ოდნავ აგონებდა საფრანგეთის რევოლუციას, პავლეში ერთდროულად გააფთრებასა და შიშს იწვევდა. იგი ისე ძლიერად იყო გამსჭვალული რევოლუციისადმი სიძულვილით, რომ საკმარისი

<sup>1</sup> М. К л о ч к о в, Очерки правительственной деятельности времени Павла I, Петроград, 1916, стр. 125, 135.

<sup>2</sup> Е. Ш у м и г о р с к и й, Император Павел I, С.-П., 1907, стр. 93.

<sup>3</sup> Н. Ш и л ь д е р, Император Александр I, С.-П., 1904, стр. 102.

იყო მხოლოდ ერთი რომელიმე სიტყვის წარმოთქმა, რომელიც რევოლუციას აგონებდა ადამიანს, რომ პავლეს გულისწყრომა გამოეწვია. ერთხელ, პავლეს მოგზაურობის დროს ყაზანში, სახელმწიფო მდივანმა ნედელინსკი-მელეტკიმ, როდესაც მათ რომელიღაც დიდი ტყე გაიარეს, უთხრა იმპერატორს: „აი პირველი წარმომადგენელი იმ ტყეებისა, რომლებიც შორს არიან გადაშლილნი ურალს იქით“. „ეს პოეტურად კი არის ნათქვამი, — უპასუხა განრისხებულმა პავლემ, — მაგრამ სავსებით უადგილოდ. კეთილი ინებეთ და ახლავე დასტოვეთ კარეტა“. რუსეთში პავლეს აზრით, არავითარ „წარმომადგენლებს“ არ უნდა ჰქონოდათ ადგილი<sup>1</sup>.

პავლე I-ს თავისი თავი წარმოდგენილი ჰყავდა როგორც „მონარქიის პრინციპების“ და „შერყეული ტახტების“ სიმძლავრის დამცველი, როგორც აღმდგენელი კანონიერი წესრიგისა ევროპაში. მან თავისი თავი გამოაცხადა რევოლუციის მტრად, „მტრად თანამედროვე ფილოსოფიური სისტემისა“. როდესაც პავლემ მალტის ორდენის დიდი მაგისტრის წოდება მიიღო, მან თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ჯურის რეაქციონერი, „მონარქიის მეგობრები და რევოლუციის მტრები“ და მიზნად დაისახა ჩადგომოდა სათავეში ამ „მხედრობას“ და ჯვაროსნული ლაშქრობა გამოეცხადებინა „რევოლუციის გველეშაპის“ წინააღმდეგ<sup>2</sup>.

პავლე I-ის პოლიტიკა გლეხობის მიმართ კიდევ უფრო სასტიკი რეპრესიებით ხასიათდება. გაძლიერებულმა ექსპლოატაციამ კიდევ უფრო გააუარესა ისედაც მძიმე მდგომარეობა გლეხობისა. ამას ზედ ერთვოდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ XVIII ს. დამლევსათვის ბატონყმური სისტემა თავის უღელქვეშ აქცევს მრავალმილიონიან გლეხობას. ეკატერინე II-მ მოსპო წაპროჩიელთა სეჩი და დააკანონა ბატონყმობა უკრა-

<sup>1</sup> М. К л о ч к о в, Очерки правительственной деятельности времени Павла I, Петроград, 1916, стр. 134—135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 133—134.



ინაში. ხოლო 1796 წელს პავლე I-მა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც გლეხები დონისა და ნოვოროსიისკის გუბერნიებში კერძო მესაკუთრეების მფლობელობაში გადადიოდნენ. ამრიგად, ბატონყმობის მარწუხი თანდათან უფრო მჭიდროდ იკვრებოდა განაწამები გლეხობის გარშემო. შრომის კატორღული პირობებით დაკაბალებული გლეხობა გამოთქვამდა თავის სასტიკ აღშფოთებას ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. XVIII ს. დამლევისათვის კლასობრივი ბრძოლა მძაფრ ფორმებს იღებს. გლეხთა მღელვარება ხშირად აჯანყებებში იზრდება.

XVIII ს. დამლევის გლეხთა გამოსვლები და აჯანყებები, რომელთაც მეფის მთავრობა მთელი თავისი სისასტიკით უსწორდებოდა, მიუხედავად სტიქიური ხასიათისა, თავისი მიმართულებითა და შინაარსით წარმოადგენდნენ პროგრესულ, ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას და სოციალურ ბაზას რუსეთის განმათავისუფლებელი აზრისა XVIII—XIX საუკუნეებში<sup>1</sup>.

გლეხთა მოძრაობის შიშით, რომელიც ამ პერიოდში ახალ აღმავლობას განიცდიდა, პავლე I უხვად ურიგებდა კერძო პირებს სახელმწიფო გლეხებს პირად საკუთრებაში. თავისი მეფობის ოთხი წლის განმავლობაში მან დაურიგა მემამულეებს 600 ათასი სული გლეხი, მაშინ როდესაც ეკატერინე II-მ თავისი მეფობის 34 წლის განმავლობაში დაარიგა 800 ათასი სული გლეხი. თუ როგორ ხდებოდა პავლე I-ის მიერ გლეხების დარიგება (მან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 82 ათასი სული გლეხი გააჩუქა)<sup>2</sup> ამის ერთ მაგალითს იძლევა ვ. კლუნიჩევსკი. „ერთხელ პარადის დროს იმპერატორმა რაღაც უბრძანა ყოფილ გატჩინელ ოფიცერს კანაბიხს; კანაბიხი თავპირის მტკრევით გაეშურა. ბრძანების შესასრულებლად, მოახტა ცხენს და გაქუსლა, მაგრამ ამ დროს მას თავიდან შლიაპა

<sup>1</sup> Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР, стр. 250.

<sup>2</sup> Е. Шуми горский и, Император Павел I, С.-П., 1907, стр. 123.

მოსძვრა. „კანაბიხ, შლიაპა დაგვარდა—მიადახა მას იმბერატორმა. „სამაგიეროდ თავი ადგილზეა“ — უპასუხა კანაბიხმა ისე რომ ცხენი არ შეუჩერებია. „მიეცით მას 1000 სუელი გლეხი“ სიცილით წარმოსთქვა პავლემ<sup>1</sup>.

მეფის მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფი გლეხობის არნახული ზრდა.

„გლეხების ასეთი მასობრივი დარიგების მიზეზი, —წერდა ადმირალი შიშკოვი, —ამბობენ იყო შიში, ვიდრე გულუხვობა. პავლე I შესაძლებელია დაშინებული იყო პუგაჩოვის მაგალითით და ფიქრობდა გლეხების დარიგებით მემამულეთათვის შეემსუბუქებინა გლეხთა მოძრაობით გამოწვეული საფრთხე“. რადგან როგორც თვითონ პავლე ამბობდა „მემამულეები უკეთესად ზრუნავენ თავიანთ გლეხებზე, მათ თავისი საკუთარი პოლიცია გააჩნიათ“<sup>2</sup>.

გლეხთა მოძრაობის, საფრანგეთის რევოლუციისა და ხელისუფლების გადატრიალების შიში მუდამ თან სდევდა პავლე I-ს. ამიტომ იყო, რომ მას თვალწინ მუდამ სამი წარუშლელი სურათი ეხატებოდა: „პუგაჩოვი აჯანყებულ გლეხთა სათავეში, ლუდოვიკო XVI ეშაფოტზე და პეტრე III მოწამლული თუ დახრჩობილი როპშინის სასახლეში“. ამიტომაც პავლე I-ის „თვითეულ შინაპოლიტიკურ ღონისძიებაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მისწრაფება სავსებით ან ნაწილობრივ გადაეჭრა ეს პრობლემები, რომლებიც გამოწვეული იყო ბატონყმური სისტემისა და თვითმპყრობელური ძალაუფლების კრახისით“<sup>3</sup>. და ამ პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გამოსავალს პავლე I ხედავდა „რკინის წკნელით მართვის“ სისტემაში. ერთხელ, როდესაც პავლე I 1778—1779 წლებში კარდინალ რეტცის ნაწერებს კითხულობდა, მან შემდეგი წინადადებები ამოწერა: „სასტიკი საშუალებები ხანდახან საჭიროა ხალხის მღელვარების ასალაგმავად“, „შფოთიერ დროს ხალ-

<sup>1</sup> В. Ключевский, Курс русской истории, ч. V, 1937, стр. 239.

<sup>2</sup> С. Окунь, История СССР, Ленинград, 1947, стр. 12—13.

<sup>3</sup> იქვე.

ხის მორჩილებაში ყოფნა შესაძლებელია მხოლოდ შიშის მე-  
შევეობით...“<sup>1</sup>. თუ სადამდე მიდიოდა პავლე I-ის თვითნებო-  
ბა, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თვითიმპერა-  
ტორის სიტყვები, რომლითაც მან საფრანგეთის ელჩს მიმარ-  
თა: „რუსეთში მხოლოდ ისაა კეთილშობილი, ვისაც მე ველა-  
პარაკები და ვიდრე მე მას ველაპარაკები“<sup>2</sup>.

## 5.

პავლე I-ის ასეთი რეაქციული პოლიტიკა რუსეთის პროგ-  
რესულ მოღვაწეთა შორის და ხალხთა ფართო მასებში აშკარა  
ოპოზიციას იწვევს. ისინი გაბედულად იმაღლებენ ხმას პოლი-  
ტიკური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და ეძებენ გზებს  
იმდროინდელ რუსეთში არსებული უსამართლო საზოგადოებ-  
რივი წყობის გარდასაქმნელად.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, კერძოდ, რე-  
ვოლუციურად განწყობილი თავადაზნაურობის ინტერესების  
გამომხატველად ამ პერიოდში გამოდის პოლკოვნიკი ევგრაფ  
გრუზინოვი, რომლის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა  
XVIII ს. დამლევის რუსეთის განმანათლებლების ნოვიკოვის,  
კოზელსკის, დესნიცკის, პოლენოვის და განსაკუთრებით, რა-  
დნიშჩევისა და მისი თანმიმდევრების პოლიტიკური იდეების  
შეგავლენით. ეჭვს გარეშეა, რომ ევგრაფ გრუზინოვის პოლი-  
ტიკური აზრის ფორმირებაში გარკვეული და ნაყოფიერი გავ-  
ლენა მოახდინეს აგრეთვე XVIII ს. ფრანგი განმანათლებლე-  
ბის რუსოს, დიდროს, მონტესკიეს და სხვათა მოწინავე  
იდეებმა და თვით საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ.  
შავრამ, რაც მთავარია, აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას,  
რომ ევგრაფ გრუზინოვის იდეოლოგია ჩამოყალიბდა რუსეთის  
ნაციონალურ ნიადაგზე და რომლის იდეებისა და თეორიის  
ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა ის კონკრე-

<sup>1</sup> Русская старина, 1874, т. X, стр. 314; т. XI, стр. 355.

<sup>2</sup> М. К л о ч к о в, Очерки правительственной деятельности време-  
ни Павла I, Петроград, 1916, стр. 124.


ტული სოციალურ-ეკონომიური პირობები, რომელშიაც უხდებოდა მას ცხოვრება და მოღვაწეობა. ი. სტალინი თავის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ წერდა: „...საზოგადოების სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების წყაროს, საზოგადოებრივ იდეათა, საზოგადოებრივ თეორიათა, პოლიტიკურ შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა წარმოშობის წყაროს უნდა ვეძებდეთ არა თვით იდეებში, თეორიებში, შეხედულებებში, პოლიტიკურ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც წარმოადგენენ ეს იდეები, თეორიები, შეხედულებები და სხვ.“<sup>1</sup>

ამიტომ იყო, რომ ევგრაფ გრუზინოვის პოლიტიკური შეხედულებები ნაკარნახევი იყო ბატონყმური ურთიერთობის კრიზისით და იმ კლასობრივი ბრძოლით, რომელიც რუსეთში წარმოებდა თვითმპყრობელური ძალაუფლებისა და ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ.

ბატონყმური რეჟიმისადმი ორგანულად მტრულად განწყობილი ევგრაფ გრუზინოვი უარს აცხადებს პავლე I-ის სპეციალური რესკრიპტით მისთვის „მუდმივ მფლობელობაში“ ბოძებულ ათას სულ გლეხზე, რადგან, როგორც ვკითხულობთ საბუთებში, მას არ სურს მათი შრომით სარგებლობა. „1794 წელს—ნათქვამია სენატის IV დეპარტამენტის ერთ-ერთ დოკუმენტში,—პოლკოვნიკ გრუზინოვს ებოძა მამრობითი სქესის ათასი სული გლეხი... აქედან 586 სული მოსკოვის გუბერნიის ბოგოროდიცის ოლქში... ხოლო 414—ტამბოვის გუბერნიის მორშანსკის ოლქში, რომელთა მისაღებად არც თვითონ გრუზინოვი არ გამოცხადდა და არც საქმეთა რწმუნებული არ გამოგზავნა. გლეხებისაგან აღებული გადასახადი ინახება გუბერნიის მმართველობაში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, 1951, გვ. 37—38.

<sup>2</sup> III АДА, ф. Госархив, разряд VII, л. № 3501 л. 28.



იმ პერიოდში, როდესაც პავლე I-ის საშინაო პოლიტიკა ძირითადად მიმართული იყო მემამულეთა ეკონომიურ და პოლიტიკური პოზიციების გასაძლიერებლად, ევგრაფ გრუზინოვის ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, სავსებით საკმარისი გახდებოდა, რომ მასში თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-ბატონყმური წყობის აშკარა მტერი დაენახათ. ალბათ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი ევგრაფ გრუზინოვის მოულოდნელი დაპატიმრებისა, რასაც ადგილი ჰქონდა 1798 წელს, თუმცა საბუთებში მისი დაპატიმრების კონკრეტული მიზეზი არ ჩანს. 1798 წელს პავლე I თავის ხელით წერდა ევგრაფ გრუზინოვს: „ბატონო პოლკოვნიკო გრუზინოვო! ამ ბარათის მიღებისთანავე გიბრძანებთ დაუყოვნებლივ ჩააბაროთ პოლკის მეთაურობა პოდპოლკოვნიკ გრეკოვს და გამოცხადდეთ ჩემთან პავლოვსკში“.<sup>1</sup> ევგრაფ გრუზინოვი აბარებს პეტერბურგში მღვარ კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკს გრეკოვს და ჩადის პავლოვსკში. აქ მას აუდიენცია აქვს პავლე I-თან. რა ითქვა ამ შეხვედრის დროს პავლე I-სა და გრუზინოვს შორის არაა ცნობილი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ევგრაფ გრუზინოვს, ხელფეხში ბორკილგაყრილს, გზავნიან რეველის ციხე-სიმაგრეში. აქ მასზე თვალყურისჭერა ევალება რეველის კომენდანტს გენერალ-ლეიტენანტ გრაფ იაკობ დე კასტრო ლაცერდას. „ბატონო გენერალ ლეიტენანტო...—წერდა მას პავლე I,—გიბრძანებთ ჩაამწყვდიოთ ციხე-სიმაგრეში თქვენთან გამოგზავნილი დაპატიმრებული გრუზინოვი, რომლის მოქმედებაზე და მიწერ-მოწერაზე გევალებათ ადევნოთ თვალყური.“<sup>2</sup>

ევგრაფ გრუზინოვის რეველის ციხე-სიმაგრეში ჩამწყვდევის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს და აპატიმრებენ მის უმცროს ძმას პეტრე გრუზინოვსაც. მისი დაპატიმრების კონკრეტული მიზეზი ამ შემთხვევაშიაც არ ჩანს.

ეჭვს გარეშეა, რომ ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების დაპატიმრება, რომელიც ემთხვევა პავლე I-ის მიერ სუვოროვის

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 8, оп. 97, св. 167, л. 845/15, л. 9.

<sup>2</sup> იქვე.

დევნას, ნაწილობრივ ამ ამბავთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. ცხადია, სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის დევნა ძმებ გრუზინოვებში სასტიკ პროტესტს გამოიწვევდა, რადგან როგორც ევგრაფი ისე პეტრე გრუზინოვი, რომლებიც უარყოფითად ეკიდებოდნენ პავლე I-ის მიერ არმიაში გატჩინური წესების შემოღებას, სუვოროვის უშუალო ხელმძღვანელობით იბრძოდნენ ვარშავასთან, ოჩაკოვთან, რიმნიკთან და მის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ადგილი გრუზინოვთა შთამომავლის მოგონებებიდან. ამ სტრიქონებიდან ჩანს თუ რა სულისკვეთებით ყოფილა გამსჭვალული პეტრე გრუზინოვი პავლე I-ის რეჟიმისადმი, კერძოდ, მის მიერ შემოღებული გატჩინური წესების მიმართ. შესაძლებელია, შელამაზებულ ფერებში, მაგრამ სიამაყით აღწერს მოგონებების ავტორი პავლე I-ის და პეტრე გრუზინოვის შეხვედრის მომენტს, რომლის დროსაც მთელი თავისი სიცხადით პოვა გამოვლინება პოდპოლკოვნიკ პეტრე გრუზინოვის ძეამბოხე სულმა.

როგორც აღვნიშნეთ, ევგრაფ გრუზინოვის დაპატიმრების შემდეგ ასეთივე ხვედრი სწვევია მის უმცროს ძმას პეტრე გრუზინოვსაც. დაპატიმრებამდე პეტრე გრუზინოვი გამოუძახნია თავისთან პავლე I-ს. აი როგორ არის აღწერილი ეს ამბავი მოგონებებში: „პავლე I-მა პეტრე გრუზინოვთან შეხვედრის დროს მრისხანე ტონით განუცხადა მას, რომ თავის მოქმედებით პოდპოლკოვნიკმა პეტრე გრუზინოვმა დაიმსახურა მათრახებით ცემა და ჩერკასკში გაძევება ცხენებისთვის კულების ასაბმელად. ბუნებით ფიცხმა პეტრემ ვერ მოითმინა იმპერატორო, — უპასუხა მან, — მაშინ, როდესაც თქვენი უდიდებულესობა თავს ირთობდით გატჩინაში თქვენი სასაცილო გვარდით, მე უკვე სისხლს ვღვრიდი რუსეთისათვის და დავცინოდი მტრებს ოჩაკოვის აღების დროს. იმ ადამიანს, იმპერატორო, არ შეშვენის ცხენებისათვის კულების აბმა, ვინც შესძლო რიმნიკის ბრძოლის დროს სოლეიმან ფაშისათვის კვერთხის წართმევა. ასეთი პასუხით აღშფოთებულმა იმპერა-

ტორმა გააფთრებით შეჰყვირა, რომ თავხედისათვის აეგლიჯათ მკერდიდან ჯვრები და სახეში მიეყარათ. ეს ჯვრები მე მომცა რუსეთმა და არა შენ იმპერატორო, — შესძახა პეტრე გრუზინოვმა და ხმალი იშიშვლა. იქვე მდგარმა პავლე I-ის აღსუტანტებმა მას ხელები გაუკრეს<sup>1</sup>.

ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების მიერ არსებული ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ პროტესტის გამოვლინება, პავლე I-ის მიერ შემოღებული გატჩინური წესების დაგმობა, სუვოროვისა და მისი საბრძოლო ტრადიციებისადმი თანაგრძნობის გამოვლინება, რასაკვირველია, სრულიად საკმარისი აღმოჩნდებოდა იმისათვის, რომ საიდუმლო ექსპედიციას და პავლე I-ის ერთგულ გატჩინელებს — არაკჩევეს, ლივენსა და სხვებს, ძმები გრუზინოვების საზით უკვე დაენახათ „რევოლუციური სენისა და იაკობინელთა სულის“ გამომხატველები.

ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების დაპატიმრების შემდეგ საიდუმლო ექსპედიცია იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკიდან და საერთოდ პეტერბურგიდან მოცილებული ყოფილიყვნენ ევგრაფ გრუზინოვის ერთგული ოფიცრები. მეფის მთავრობას მალე მიეცა ამის საშუალება. რუსეთსა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულებით პავლე I გზავნიდა ინგლისში 18-ათასიან რაზმს, რომელიც ინგლისელებთან ერთად უნდა გადაესხათ ჰოლანდიაში. ამ დესანტის შემადგენლობაში შეიყვანეს კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის შეერთებული ესკადრონი. „ამ ესკადრონიში განაწესეს ესკადრონის მეთაური შტაბს-კაპიტანი გუროვი, პორუჩიკები: ეგოროვი — გრუზინოვთა ნათესავი, პოლტარცევი, ათანასე გრუზინოვი; კორნეტები: დავიდოვი, კრასნოშიჩეკოვი, მურაშოვი; — ოფიცრები, რომლებიც თავიანთი პოლკის მეთაურის ყველაზე უფრო ერთგულები იყვნენ“<sup>2</sup>.

მოკლე ხანში პეტრე გრუზინოვიც მოიცილეს პეტერბურგიდან. მას ვითომდა აპატრეს დანაშაული, გაანთავისუფლეს

<sup>1</sup> Семейный архив Грузиновых.

<sup>2</sup> იქვე.

პატიმრობიდან და გაგზავნეს დონზე, ჩერკასკში. მაგრამ როგორი თავისუფლება მიიღო პეტრე გრუზინოვმა — ეს კარგად ჩანს 1798 წელს პავლე I-ის მიერ დონის ჯარების ატამანის გენერალ-ლეიტენანტ ილოვაისკის სახელზე გაგზავნილი წერილიდან: „ბატონ გენერალ-ლეიტენანტ ილოვაისკის... — წერდა პავლე I — დონზე ვგზავნით ლეიბ-კაზაკთა პოლკის პოდპოლკოვნიკ გრუზინოვ 2 და პოდპოლკოვნიკ გრეკოვს<sup>1</sup>, რომელთა მოქმედებაზე გიბრძანებთ დააწესოთ ზედამხედველობა“<sup>2</sup>.

ხოლო რაც შეეხება თვით ევგრაფ გრუზინოვს, ეტყობა საკმარისი არ აღმოჩნდა მისი მხოლოდ დაპატიმრება და რევერის ციხე-სიმაგრეში ჩამწყვდევა, როგორც „ძალზე სახიფათო ადამიანისა“. მაგრამ პავლე I ჩანს ჯერჯერობით თავს იკავებდა ევგრაფ გრუზინოვის მიმართ უფრო მკაცრი ზომების მიღებისაგან. მას შესაძლებელია ჯერ კიდევ ეპარებოდა ეჭვი ევგრაფ გრუზინოვის „მეამბოხეობაში“, რადგან იგი იმპერატორის ერთ-ერთ ძალზე დაახლოებულ პირად ითვლებოდა. (ევგრაფ გრუზინოვს დროდადრო პავლე I-ის კაბინეტშიაც კი ეძინა). ალბათ ამიტომ იყო, რომ პავლე I-ს ურჩიეს, კერძოდ გენერალმა ლივენმა, „გამოსაცდელად“ გაეშვა იგი დონზე, ჩერკასკში, მშობლების ნახვის საბაბით. „როდესაც იგი თავის თავს თავისუფლად იგრძნობს, — უთხრეს პავლე I — მას მი-

---

<sup>1</sup> დასახელებული პოდპოლკოვნიკი გრეკოვი ის ოფიცერია, რომელსაც ევგრაფ გრუზინოვმა პავლოვსკში გამოძახების შემდეგ ჩააბარა პოლკის მეთაურობა. საბუთში მოყვანილი სიტყვებიდან, რომ პოდპოლკოვნიკ გრეკოვს გზავნიან დონზე ზედამხედველობის ქვეშ, ჩანს, რომ გრეკოვიც მომწვდარა „არასაიმედო ოფიცერთა“ რიცხვში. პოდპოლკოვნიკ გრეკოვის ჩერკასკში გაქცევა, რომელიც ევგრაფ გრუზინოვის მეგობრად ითვლებოდა, ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკიდან და სწერთოდ პეტერბურგიდან აქვებდნენ ყველას, ვინც კი ევგრაფ გრუზინოვის დაახლოებული პირი იყო. შემდგომი ბედი პოდპოლკოვნიკ გრეკოვისა არ არის ცნობილი.

<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 8, оп. 98, л. 845/15, л. 9.



ეცემა საშუალება გამოავლინოს მთელი თავისი თავხედი ზრახვები თავისი კეთილისმყოფლის (ე. ი. პავლე I-ის — ო. გ.) მიმართ<sup>1</sup>. მართლაც 1798 წ. აგვისტოში ევგრაფ გრუზინოვი „განთავისუფლეს“ რეველის ციხე-სიმაგრიდან და მას დროებით „იმპერატორის წყალობაც“ კი დაუბრუნეს. იგი პავლე I-ის ამალაში განაწესეს. მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, მხოლოდ თვალისახვევის პოლიტიკა იყო. არ გაუვლია დიდხანს ევგრაფ გრუზინოვის „განთავისუფლების“ შემდეგ, რომ იგი სასახლეში გამოიძახეს და მამის ნახვის საბაბით შესთავაზეს ჩერკასკში გამგზავრება. საგზაოდ მას საკმაო თანხაც კი მისცეს. ევგრაფ გრუზინოვი დასთანხმდა. მაგრამ ჩერკასკში ჩასვლისთანავე იგი დონის ჯარების ატამანის კავალერიის გენერლის ვ. ორლოვის (მან ამ ხანებში შესცვალა ატამანი ილოვანისკი) განკარგულებით „საგანგებო ზედამხედველობის ქვეშ“ აღმოჩნდა. ეს ბრძანება საიდუმლოდ იყო მიღებული პეტერბურგიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ისტორიოგრაფიაში იყო ცდა გამოეყვანათ ძმები გრუზინოვები როგორც იმპერატორ პავლე I-ის მიმართ, ერთგულქვეშევრდომობისათვის დაღუპული ადამიანები. გამოეყვანათ პავლე I მოტყუებული, „ბოროტმოქმედთა“ მიერ შეცდომაში შეყვანილი, რომელთაც პავლეს „ერთგულქვეშევრდომები“ ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები განზრახ, ბოროტის მიზნით მოაცილეს სამეფო კარს, ასეთი იყო ისტორიოგრაფიაში და მხატვრულ ლიტერატურაში ინტერპრეტაცია გრუზინოვთა ჩერკასკში გაძევების ფაქტისა<sup>2</sup>. ზოგიერთი ისტორიკოსი ძმები გრუზინოვების ჩერკასკში გაძევებას აწერს პავლე I-ის სამეფო კარზე არსებულ ინტრიგას. ვითომდა ძმები გრუზინოვების ახლო დამოკიდებულებამ პავლე I-თან გამოიწვია შური სამეფო კარზე და რომ სწორედ ეს შური გახდა საბაბი გრუზინოვების პეტერბურგიდან ჩერკასკში

<sup>1</sup> Русская старина, 1878, стр. 242; Русская старина, 1873, стр. 573.

<sup>2</sup> Русская старина, 1873, стр. 573. Русское обозрение, 1896. История л. г. казачьего е. в. полка, 1775—1813 гг., С.-П., 1913.

განდევნისა და შემდეგ მათი სიკვდილით დასჯისა<sup>1</sup>. ნაწილობრივ ამავე აზრს იზიარებდა პროფ. ნიკოლაევიც. იგი წერდა: „ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები ჩვენთვის უცნობი მიხეზების გამო ერთხანს პავლეს დიდი ნდობითა და წყალობით სარგებლობდნენ, მაგრამ ამით გამოიწვიეს შური სამეფო კარზე, მათ მოხერხებულად დასწამეს ცილი პავლეს წინაშე და რალაცა საბაბით ერთიმეორეს მიყოლებით თავი უკრეს დონზე, ჩერკასკში“<sup>2</sup>. სწორედ ძმები გრუზინოვების ჩერკასკში განდევნა „ესაჭიროებოდათ ბოროტმოქმედებს, — წერდა კარასევი — მათ გამოსძებნეს რალაც მამხილებელი საბუთები, განუმარტეს იმპერატორს, რასაკვირველია დამახინჯებული სახით, მისი დაახლოებული ადამიანის მოქმედება და პავლე მიიყვანეს იქამდე, რომ მას შეეშინდა გრუზინოვის არ არსებული ზრახვებისა“<sup>3</sup>.

თუ რამდენად არ შეესაბამება სიმართლეს საკითხის ასეთი გაშუქება, თუ როგორი „ერთგულქვეშევრდომისობის“ სულით იყვნენ გამსჭვალული ძმები გრუზინოვები და თუ რაში გამოიხატებოდა „ევგრაფ გრუზინოვის არარსებული ზრახვები“, ყოველივე ამას ჩვენ შემდგომში ნათლად დავინახავთ.

ამრიგად, ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები გააძევეს პეტერბურგიდან დონზე, ჩერკასკში. ჩერკასკში ჩამოსვლის შემდეგ ევგრაფ გრუზინოვი ცხოვრობდა მამასთან და ძმასთან ერთ სახლში. პირველ ხანებში იგი სადამოობით გარეთ გამოდიოდა და ქალაქში დასეირნობდა. შემდეგ კი სახლში ჩაიკეტა და მთელ დღეებს „წიგნების კითხვაში ატარებდა“<sup>4</sup>. ხოლო 1800 წელს იანვრისათვის ცალკე ოთახში გადავიდა, გადაიტანა იქ

<sup>1</sup> Русская старина, 1878, стр. 242, История л. г. казачьего е. в. полка 1775—1813 гг., С.-П., 1913 г.

<sup>2</sup> როგორც ნათქვამი იყო, პროფ. ნიკოლაევმა მოგვაწოდა წერილი გრუზინოვთა შესახებ. ამ ადგილის ციტირებას ჩვენ ვახდენთ სწორედ ამ წერილიდან.

<sup>3</sup> Русская старина, 1873, стр. 573.

<sup>4</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, лл. 241 об, 279 об.

წიგნები და სხვა საჭირო აუცილებელი ნივთები და განმარტო-  
ებით ცხოვრებას ეწეოდა. თუ რას კითხულობდა ან წერდა  
ევგრაფ გრუზინოვი თავის ოთახში არავინ იცოდა, რადგან ფე-  
თავის ოთახში არავის უშვებდა თვით 15 წლის გლეხის-ბიჭს  
თედორე დანილოვსაც კი, რომელიც მას ემსახურებოდა. დრო-  
დადრო ევგრაფ გრუზინოვი გამოდიოდა მამასთან და ძმასთან  
სასაუბროდ, აქვე ხვდებოდა მის სანახავად მოსულ ნათესავეებს  
თუ ნაცნობებს, შემდეგ კი იგი ისევ იკეტებოდა თავის ოთახში.

საბუთებიდან ჩანს, რომ ევგრაფ გრუზინოვი ჩერკასკში  
ყოფნის დროს მიუხედავად იმისა, რომ მას ნაბოძები ყავდა  
1000 სული გლეხი და ერთ-ერთ მსხვილ მემამულედ ითვლე-  
ბოდა გაჭირვებულ ცხოვრებას ეწეოდა. მას ნასესხები ფუ-  
ლის უკან დაბრუნების საშუალება კი არ ჰქონია, რადგან ჩერ-  
კასკში ჩასვლის შემდეგ მას პეტერბურგიდან წამოღებული  
თანხა სრულიად გამოლევია, ხოლო გლეხებისათვის ფულის  
გამორთმევა და ამ ფულით ვალის გასტუმრება მას არ მოუ-  
სურვებია. ამასთან დაკავშირებით საბუთებში შემდეგია ნათ-  
ქვამი: ერთხელ ჩერკასკში გრუზინოვს მისმა მოვალეებმა, კა-  
ჩაკებმა პოპოვმა, კასმანინმა და კოლესნიკოვმა მიაკითხეს,  
რომელთაგანაც მას პეტერბურგში ყოფნის დროს ნასესხები  
ჰქონდა 145 მანეთი. მოვალეებმა მოსთხოვეს გრუზინოვს ვა-  
ლის გასტუმრება. ფულის უკან დაბრუნების მაგივრად გრუ-  
ზინოვმა უპასუხა, რომ მას ფული არ აქვს და მათთვის მისა-  
ცემი არაფერი გააჩნია<sup>1</sup>. ასეთ პასუხს, რასაკვირველია, არ მო-  
ელოდნენ მოვალეები. მათთვის წარმოუდგენელი იყო, თუ  
როგორ შეიძლება არ ჰქონოდა ვალის გასტუმრების საშუალე-  
ბა ევგრაფ გრუზინოვს — გვარდიის პოლკოვნიკსა და ათასი  
სული გლეხის მფლობელს. „გრცხვენოდეთ, რომ ამას ლაპა-  
რაკობთ, — უთხრეს გრუზინოვს, — თქვენ იმპერატორმა მო-  
განიჭათ პოლკოვნიკობა და გიბოძათ გლეხები და თქვენთვის  
არავითარ ძნელ საქმეს არ წარმოადგენს გლეხებისათვის ფუ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, № 525, л. 43; 280.

ლის გამორთმევა და ვალის გასტუმრება“<sup>1</sup>. ასეთი სიტყვებით აღწვთებულმა გრუზინოვმა მათ მიახალა: „დეე იმპერატორმა ჩამომართვას გლეხები... მე არ მინდა მისი გლეხები“<sup>2</sup>, და მან სახლიდან გამოყარა მოვალეები.

ყურადღებას იმსახურებს ერთი შემთხვევაც. 1799 წლისათვის გრუზინოვთან ჩერკასკში მისთვის იმპერატორ პავლე I-ის მიერ ნაბოძებ მამულებიდან გლეხები ჩამოსულან. თუ რატომ ჩამოვიდნენ შორეული გუბერნიებიდან გლეხები ევგრაფ გრუზინოვთან, რა ჰქონდათ მათ სათხოვარი თავიანთ მემამულესთან და რა პასუხით გაისტუმრა ისინი უკან გრუზინოვმა, ეს საარქივო მასალებიდან გარკვევით არ ჩანს. მაგრამ თუ მხედველობაში ვიქონიებთ საერთოდ ევგრაფ გრუზინოვის ანტიბატონყმურ განწყობას (როგორც აღვნიშნეთ 1798 წელს ევგრაფ გრუზინოვს უარი განუცხადებია პავლე I-ის მიერ ნაბოძები გლეხების მიღებაზე და მათი შრომით სარგებლობაზე) მაშინ ჩვენის აზრით გლეხებსა და ევგრაფ გრუზინოვის ჩერკასკში შეხვედრის დროს მოსალოდნელი საუბარი სწორედ ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეს მოცემული აქვს ა. კარასევის ჟურნალ „რუსკოე ობოზრენიეში“. აი როგორი სიტყვებით აღწერს ა. კარასევი ამ შეხვედრას: „მგზავრობიდან ქანცაფყვეტილი გლეხები გრუზინოვის წინ მუხლებზე იდგნენ და თაყვანს სცემდნენ...

— ვინა ხართ? — ჰკითხა გაკვირვებულმა გრუზინოვმა.

— თქვენი ვართ, ბატონო, ჩვენო მარჩინელო. თქვენი გლეხები ვართ... შორიდან მოვსულვართ და თქვენს ბრძანებას ველოდებით.

— რომელი გლეხები... ხოლო...

გრუზინოვს გაახსენდა მეფის საჩუქარი... მისთვის ნაბოძები გლეხები...

— კი მაგრამ, რა გინდათ? — ჰკითხა მან.

<sup>1</sup> ШГИАЛ, ф. 1345, оп. 58, № 525, л. 43.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 440 ობ, 243 ობ.

— გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ. ღალა მოვართვათ  
თქვენს მოწყალებას თუ...

— მე თქვენი არაფერი მინდა, — დაბრუნდით მაშინ და  
იცხოვრეთ ისე, როგორც ცხოვრობდით... თქვენ მე არ მჭირ-  
დება... ახლა კი დანაყრდით, დაისვენეთ და შემდეგ კი და-  
ადექით გზას შინისაკენ.

გლეხები მის წინაშე პირქვე დაემხნენ და მადლობის სიტ-  
ყვებს წარმოსთქვამდნენ<sup>1</sup>.

თუ როგორ უყურებდა ევგრაფ გრუზინოვი საერთოდ ბა-  
ტონისა და ყმის დამოკიდებულების საკითხს, თუ რამდენად  
არაბუნებრივად მიაჩნდა მას სხვისი ექსპლოატაცია და ამ ექ-  
სპლოატაციის შედეგად მოპოვებული სარჩო-საბადებელის  
მითვისება, ამაზე ნაწილობრივ ლაპარაკობს თვით ის ფაქტი,  
რომ ევგრაფ გრუზინოვი თავის ცხოვრებას ჩერკასკში ძირი-  
თადში წყალსა და პურზე ატარებს<sup>2</sup>, მაშინ, როდესაც ათასი  
სული გლეხის პატრონს შეეძლო განცხრომასა და ფუფუნება-  
ში ცხოვრება. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც დანარჩენი მე-  
მამულენი ჰყიდდნენ გლეხებს მთელი ოჯახობით, ცვლიდნენ  
მათ ეტლებზე, ცხენებზე და ძაღლებზე, აგებდნენ კარტში, თა-  
ვიანთი ნება-სურვილით ასამართლებდნენ, ასახლებდნენ ციმა-  
ბირში საკატორღო სამუშაოებზე, ართმევდნენ უკანასკნელ  
ლუკმა-პურს და მათ, ვინც კი გაბედავდა უკმაყოფილების გა-  
მოთქმას, აწესებდნენ რეკრუტად და ალპობდნენ ჯურღმულე-  
ბში; მაშინ როდესაც გლეხობის სასტიკი ექსპლოატაცია ით-  
ვლებოდა „სამართლიანად, სახელმწიფოს სიმდიდრის, ძალისა  
და ძლიერების წყაროდ“ და როდესაც რადიშჩევი შემდეგი  
სიტყვებით გვიხატავდა თავადაზნაურობის გაუმადლოებას, ყა-  
ჩაღობას, მჩაგვრელობას და ღარიბობის უმწეო მდგომარეო-  
ბას: „რას ვუტოვებთ გლეხს ჩვენ, მტაცებელი მხეცები, გაუ-  
მადლარი წურბელები?—აღწეოთებით მიმართავდა იგი მემა-  
მულეებს, — იმას, რის წართმევაც არ შეგვიძლია — ჰაერს.

<sup>1</sup> Русское обозрение, Москва, 1896, стр. 194—195.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, № 525, л. 50 об.

დიახ, მხოლოდ ჰაერს. ხშირად ვართმევთ მას არა მარტო მიწის ნაწყალობებს, პურსა და წყალს, არამედ თვით სინათლესაც“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ევგრაფ გრუზინოვის ასეთი დამოკიდებულება გლეხობისადმი შედეგი იყო იმ ეპოქის მოწინავე იდეების ზეგავლენისა, რომლის დროსაც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს ის დრო იყო, როგორც წერდა ბელინსკი, — „როდესაც მეფე ალექსის შემდეგ პირველად გამოვლინდა რუსული სული მთელი თავისი ბუმბერაზული ძალით, მთელი თავისი ვაჟკაცური გაქანებით“<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის პროგრესულ მოღვაწეთა სახელოვანი თაობა. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ რუს განმანათლებლებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ არსებულ ბატონყმურ წყობას, ილაშქრებდნენ გლეხობის არაადამიანური ექსპლოატაციის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ადამიანის პიროვნების ემანსიპაციას.

მაგრამ განმანათლებლები, რომლებიც ილაშქრებდნენ ბატონყმური საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ შორს იყვნენ ბატონყმობის დამხობის რევოლუციური პრინციპებიდან. არა მთლიანი დამსხვრევა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემისა, არამედ კრიტიკა ამ სისტემის ცალკეული მხარეებისა წარმოადგენდა მათ მიზანს. განმანათლებლები მთელ იმედებს ამყარებდნენ „კარგ კანონმდებლობაზე“, „ჭკვიანურ მმართველობაზე“ და მოუწოდებდნენ მემამულეებს გამოეჩინათ ლმობიერება და ჰუმანიურობა გლეხობის მიმართ. მათ გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ ამით ისინი შვებას მოუტანდნენ მრავალტანჯულ მშრომელ მასებს, რომ „რუსეთის პროგრესი დამოკიდებულია რომელიღაც მოხელის პირადი პა-

<sup>1</sup> ა. რადი შჩევნი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 223.

<sup>2</sup> В. Белинский, Избр. философские соч., Госполитиздат, 1948, т. I, стр. 87.

ტიოსნებისაგან, მემამულეების კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე გლახობის მიმართ...“<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა განმანათლებლების მიერ სოციალური უთანასწორობის კრიტიკა, გლახობის ინტერესების დაცვა მემამულეთა თვითნებობისაგან და მათი ანტიბატონყმური იდეები პროგრესული იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

იცნობდა თუ არა ევგრაფ გრუშინოვი განმანათლებლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს, წაკითხული ჰქონდა თუ არა მათი ნაწარმოებები, რომლებშიაც მოცემული იყო ფეოდალურ-ბატონყმური წყობის კრიტიკა, ამის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არაფერია ნათქვამი. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ევგრაფ გრუშინოვი უარს ამბობს გლახობის შრომით სარგებლობაზე, გლახებისაგან გადასახადის აღებაზე და პავლე I-ის მიერ ნაბოძებ გლახებზე, ეს ხომ სხვა არაფერია თუ არა ცდა განმანათლებლების ანტიბატონყმური იდეების ცხოვრებაში გატარებისა. თუ განმანათლებლები მემამულეებს მოუწოდებდნენ ლმობიერად და გულისხმიერად მოპყრობოდნენ გლახებს, შეემცივებინათ გადასახადი, მიეცათ გლახებისათვის უფლება თავიანთი ნებასურვილით განეგოთ საკუთარი მოძრავი თუ უძრავი ქონება (მე მემამულე ზომიერად და გვარიანად მიმაჩნია მარტო იმისათვისაც კი, თუ იგი გლახის მოძრავი ქონებიდან არაფრის აღებას არ მოისურვებს — წერდა რუსი განმანათლებელი კოშელსკი)<sup>2</sup>, ჩვენ ვხედავთ, რომ ევგრაფ გრუშინოვი იჩენს ჰუმანიურობას გლახობის მიმართ და ცდილობს პრაქტიკულად განახორციელოს მათი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. ხოლო თვით ის ფაქტი, რომ იგი უარს ამბობს გლახობის შრომით სარგებლობაზე და „არ სურს გლახები“, ნათელი ილუსტრაციაა იმ საუკუნის მოწინავე იდეებით აღჭურვილი ადამიანის დამოკიდებულებისა ბატონყმური სისტემისადმი. თუმცა

<sup>1</sup> Н. А. Добролюбов, Полн. собр. соч., 1935, т. 2, стр. 183.

<sup>2</sup> Избр. произв. русских мыслителей второй половины XVIII в., Госполитиздат, 1952, т. I, стр. 656.

გრუზინოვი ოფიციალურად არ ანთავისუფლებს გლეხებს, მაგრამ თავის მოქმედებით იგი აშკარა პროტესტს გამოხატავს არსებული ფეოდალურ-ბატონყმური წყობის წინააღმდეგ.

ჩერკასკში ძმები გრუზინოვები, როგორც აღვნიშნეთ, გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. შარაგზაზე დაყენებულ პატრულებს ნაბრძანები ჰქონდათ ქალაქიდან სპეციალური ნებართვის გარეშე არ გაეშვათ ისინი, რადგან ატამანი ორლოვი წერდა პეტერბურგში: „არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ პეტრე გრუზინოვი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩერქეზებთან და მათი დახმარებით აპირებს კავკასიაში გაქცევასო“<sup>1</sup>. თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ორლოვის ეს განცხადება ნაწილობრივ ჩანს იქიდან, რომ 1800 წ. 12 აგვისტოს პეტრე გრუზინოვი შეეცადა ქალაქიდან შეუმჩნეველად გასვლას. მზის ჩასვლისას მან შეკაზმა თავისი ცხენი, გადაუხვია შარა გზას, რომელზედაც ყარაული რდგა, შეაგდო ცხენი დონში და ასე, თითქმის ცურვა-ცურვით, დაჰყვა დინებას. აქ იგი შეამჩნია შემთხვევით მდინარის პირზე მყოფმა ურიადნიკმა ალიმპიევმა. მან შეაჩერა გრუზინოვი და, რადგან მას სახეზე არ იცნობდა, ჰკითხა თუ ვინ იყო იგი ან საით მიდიოდა. პეტრე გრუზინოვმა, რომელმაც თავისი ვინაობა არ გაამხილა, პასუხის მაგივრად ჰკითხა: „ვისი ბრძანებით არის დაყენებული აქ ეს დარაჯები?“. ალიმპიევმა უპასუხა, რომ „დარაჯები დაყენებულნი არიან ატამან ორლოვის ბრძანებით“. მაშინ პეტრე გრუზინოვმა აღშფოთებით წარმოსთქვა: „იგი არავისგან არაა დამოკიდებული და არ ემორჩილება არც გენერლებს და არც არავის“. თან დასძინა „თქვენ აქ ფოკასა ან რუბცოვს<sup>2</sup> ხომ არ ელით, რომ ასეთი გაძლიერებული ყარა-

<sup>1</sup> Семейный архив Грузиновых.

<sup>2</sup> მოგვყავს ცნობა ფოკა სუხოტუკოვის და ივანე რუბცოვის შესახებ, რომელიც ამოღებულია სახელმწიფო სამხედრო კოლეგიისა და გენერალ-პროკურორის საქმეებიდან, პავლე I-სათვის მოსახსენებლად.

„ფოკა სუხოტუკოვის სახელი ცნობილია დონის ჯარებში, რადგან იგი 1792 წელს იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ბოროტმოქმედთა შორის, რომელნიც დონზე სათავეში ჩაუდგნენ კაზაკებს და აამბოხეს ისინი არსებული



ულობა დაგიწესებიათ?“.1. ამ სიტყვების შემდეგ მან შემოჰკრა ცხენს ქუსლი და სასწრაფოდ განაგრძო თავისი გზა, ისე რომ ალიმპიემა ვერ მოასწრო მისი შეჩერება. ალიმპიევი დაუყოვნებლივ დაბრუნდა ქალაქში და შეატყობინა მომხდარი ამბავი ესაულ ლეონოვს. ესაულმა ლეონოვმა, რომელმაც დაადგინა, რომ ქალაქიდან გასული უცნობი პირი პეტრე გრუზინოვი იყო, თავის მხრივ ყოველივე ეს აცნობა პოდპოლკოვნიკ ილოვაისკის. ამ „განსაკუთრებული ცნობის“ მიღებისთანავე პოდპოლკოვნიკმა ილოვაისკიმ გაგზავნა ესაული ლეონოვი ატამან ორლოვთან ამბის მისატანად, თითონ კი სათავეში ჩაუდგა კაზაკთა რაზმს და დაედევნა პეტრე გრუზინოვს. „თვითნებურად ქალაქიდან გასულ პეტრე გრუზინოვს“ მდევრები წამოეწივნენ დონის გადაღმა და დააკავეს.

როგორც შემდეგში გამოირკვა, პეტრე გრუზინოვი ამ შემთხვევამდე ორჯერ ყოფილა ფარულად როსტოვში და ერთხელ ნახჩივანში. 15 წლის ბიჭმა თედორე დანილოვმა ამ საქმესთან დაკავშირებით შემდეგი ჩვენება მისცა: „პოდპოლკოვნიკი გრუზინოვი ორჯერ იყო როსტოვში და ერთხელ ნახჩივანში. მე მას თან ვახლდი... იგი შედიოდა სამიკიტნოებში, დადიოდა ბაზარში და იმავ დღესვე ბრუნდებოდა ჩერკასკში. მაგრამ ვის და რა საქმისათვის ხვდებოდა იგი, ეს მე არ ვიცი, რადგან ვრჩებოდი ცხენების თვალყურსაქვერად“2.

როდესაც პეტრე გრუზინოვს კითხეს თუ რა მიზნით გაემგზავრა იგი უნებართვოდ ამ ქალაქებში, მან უპასუხა: „ვიყავი

---

მმართველობის წინააღმდეგ. კაზაკი ფოკა სუზორუკოვი სახელმწიფოს ღალატისა და კაზაკთა ამბოხებისათვის დაისაჯა მათრახებით და სამუდამოდ გაიგზავნა საკატორლო სამუშაოებზე.

ესაული ივანე რუბცოვი 1795 წელს პირველი წამომწყები და მეთაური იყო კაზაკთა ამბოხებისა, არსებული კანონიერების წინააღმდეგ. აშკარა ამბოხების მომზადებისათვის და ღალატისათვის დაისაჯა მათრახებით, შანთით დაეგლოჯა ნესტოები და სამუდამოდ გაიგზავნა საკატორლო სამუშაოებზე“.

ЦГИА, д. 1345, оп. 98, д. 525, лл. 60, 80—81 об.

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 8, оп. 97, св. 167, д. 845/15, лл. 2, 3.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, № 525, л. 51.

როსტოვსა და ნახიჩივანში მხოლოდ და მხოლოდ გულის გადასაყოლებლად. რადგანაც მე ამ ქალაქებში ნაცნობები არ მყავდა, შევდიოდი სამიკიტნოებში თამბაქოს ამოსაწვევად და ყავის დასალევად და იმავე დღესვე ვბრუნდებოდი ჩერკასკში... ასეთ გასეირნებაზე მე ნება მქონდა დართული ასისთავ ჩებოტარიოვისაგან და ის კიდევაც მირჩევდა ამას<sup>1</sup>, (ასისთავ ჩებოტარიოვს დავალებული ჰქონდა პეტრე გრუზინოვის ზედამხედველობა). როდესაც პეტრე გრუზინოვს პირზე წარუყენეს ასისთავი ჩებოტარიოვი, მან განაცხადა, რომ: „მას ამის ნებართვა და არც არავითარი რჩევა პეტრე გრუზინოვისათვის არ მიუცია... რომ გრუზინოვის ყოფნის შესახებ როსტოვსა და ნახიჩივანში მას პირველად ესმის“<sup>2</sup>.

დაპატიმრებული პეტრე გრუზინოვი მიჰგვარეს ატამან ორლოვს. მისი ბრძანებით გრუზინოვთა ბინას კაზაკების რაზმი გარშემოერტყა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ესაუღმა ლეონოვმა ატამან ორლოვს პეტრე გრუზინოვის ქალაქიდან უნებართვოდ გასვლა შეატყობინა, მან დაუყოვნებლივ გაგზავნა კაზაკი პასტუხოვი ევგრაფ გრუზინოვთან იმის გასაგებად, თუ სად წავიდა მისი ძმა. კაზაკი პასტუხოვი ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ატამან ორლოვთან და შემდეგი მოახსენა: როდესაც ევგრაფ გრუზინოვმა გაიგო ჩემი მისვლის მიზეზი, მკაცრად მკითხა—რაში სჭირდება ატამანს იცოდეს თუ სად წავიდა ჩემი ძმა ან ეს რა მისი საქმეა? და წარმოსთქვა მისი უდიდებულესობისა და თქვენი შეურაცხყოფელი სიტყვები. შემდეგ დასძინა: წადი და ყოველივე ეს მოახსენე დონის ჯარების ატამანსო.<sup>3</sup> ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ატამან ორლოვის განკარგულებით დაპატიმრეს ევგრაფ გრუზინოვიც.

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები დაპატიმრეს, „ხელ-ფეხში ბორკილები გაუყარეს, დარაჯები მიუჩინეს“ და მათ ბინას კაზაკთა რაზმი

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 8, оп. 98, св. 167, 845/15, лл. 4, 5. ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525 лл. 83, 84, 84 об.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, лл. 11, 16, 16 об.


გარემოართყეს მხოლოდ იმიტომ, რომ პეტრე გრუზინოვმა უნებართვოდ დასტოვა ქალაქი ან ევგრაფ გრუზინოვმა ასეთი პასუხი შეუთვალა ატამან ორლოვს. ცხადია, ძმები გრუზინოვების დაპატიმრება პავლე I-ის და საიდუმლო ექსპედიციის მიერ წინასწარ განზრახული საქმე იყო და ისინი მხოლოდ საბაბს ელოდებოდნენ. მართლაც, ძმები გრუზინოვების დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1800 წლის 4 აგვისტოს პეტერბურგიდან ჩერკასკში ჩამოვიდა მაღალი თანამდებობის მქონე ორი მოხელე: გენერალ-ადიუტანტი კოჟინი და კავალერიის გენერალი რეპინი. ისინი ვითომდა მივლენილ იქნენ დონზე ჩერკასკში „რევიზიისათვის“—ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში ასეთი ხმები დადიოდა დონზე. მაგრამ როგორც შემდგომში გამოირკვა, მათი ჩერკასკში ჩამოსვლა სულ სხვა მიზანს ისახავდა. ჩერკასკში გენერლების კოჟინისა და რეპინის ჩასვლისთანავე, ქალაქში გაძლიერებულმა პატრულის რაზმებმა დაიწყეს სიარული. აშკარად ჩანდა, რომ პეტერბურგიდან მოვლენილი მოხელეების ჩერკასკში ყოფნა მარტო დონის ჯარების „რევიზიით“ არ იყო გამოწვეული. ყოველივე ეს ჩერკასკის მოსახლეობაში განგაშსა და მღელვარებას იწვევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი გასაგები გახდა. ძმები გრუზინოვების დაპატიმრების შემდეგ, რაც გენერალ-ადიუტანტ კოჟინთან და გენერალ რეპინთან შეთანხმებით მოხდა, ჩერკასკში დაუყოვნებლივ დანიშნულ იქნა სამხედრო სასამართლო გრუზინოვთა საქმის გასარჩევად. სწორედ ამ სამხედრო სასამართლო პროცესის მსვლელობაზე თვალყურის საჭერად და მის დასაჩქარებლად სპეციალურად იქნენ პეტერბურგიდან გამოგზავნილი გენერალ-ადიუტანტი კოჟინი და კავალერიის გენერალი რეპინი, რომელთა ჩინები და მდგომარეობა საკმარისად მოწმობს იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პავლე I ძმები გრუზინოვების საქმეს.

6.

1800 წლის აგვისტოში ძმები გრუზინოვების პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი კითხვა

წამოიჭრას. რატომ დასჭირდა მეფის მთავრობას ძმები გრუ-  
ზინოვების პეტერბურგიდან ჩერკასკში განდევნის შემდეგ  
თითქმის წელიწადნახევრის ლოდინი, თუ თავიდანვე დარწ-  
მუნებული იყო „გრუზინოვთა მებაოხეობაში“ ან „ჩინოვნე-  
და აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ ძმებ გრუზინოვებს, რომ-  
ლებსაც ჯერ კიდევ 1798 წელს პავლე I-ის ბრძანებით აპა-  
ტიმრებენ და ამწყვდევენ რეველისა და შლისელბურგის ცი-  
ხე-სიმაგრეებში, ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ ისევ ანთავი-  
სუფლებენ, მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო ექსპედიციას  
საკმარის მასალა ჰქონდა ხელთ ძმებ გრუზინოვებზე „იმპერა-  
ტორის ერთგულქვეშევრდომობაში“ ეჭვის მისატანად. საი-  
დუმლო ექსპედიცია, რასაკვირველია, თვალებს არ დახუჭავ-  
და იმ ფაქტზე, რომ ევგრაფ გრუზინოვმა უარი განაცხადა  
პავლე I-ის მიერ მისთვის ბოძებულ 1000 სული გლეხის მი-  
ღებაზე და აგრეთვე ძმები გრუზინოვების სხვა „საეჭვო მოქ-  
მედებაზე“, რაც, ალბათ, მათი მხრივ პავლე I-ის მიერ არმი-  
აში შემოღებული გატჩინური წესების დაგმობაში და დევნი-  
ლი სუვოროვისადმი თანაგრძნობის გამოცხადებაში ვლინდებოდა.  
იმ პერიოდში კი, როდესაც მთელ რუსეთში პოლიცი-  
ური ტერორი მთელი სისასტიკით მძვინვარებდა, რასაკვირ-  
ველია, გრუზინოვების ასეთი „საეჭვო“ მოქმედება სრულიად  
საკმარისი გახდებოდა იმისათვის, რომ ისინი სამუდამოდ ჩამ-  
წყვდიათ რეველის ან შლისელბურგის ციხე-სიმაგრეებში.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენ ვხე-  
დავთ, რომ ძმებ გრუზინოვებს 1798 წელს მათი ხანმოკლე პა-  
ტიმრობის შემდეგ კვლავ ათავისუფლებენ, დროებით წყა-  
ლობასაც კი უბრუნებენ, მერე სხვადასხვა მიზეზით პეტერ-  
ბურგიდან ჩერკასკში ისტუმრებენ და ამის შემდეგ გადის  
თითქმის წელიწადნახევარი რომ მათ ისევ აპატიმრებენ და  
მათი საქმის გასარჩევად სამხედრო სასამართლოს ნიშნავენ.  
რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული პავლე I-ის და საიდუმ-  
ლო ექსპედიციის ასეთი შენიღბული, ფრთხილი მოქმედება  
გრუზინოვების მიმართ და „გრუზინოვების საქმის“ ასეთი გა-  
ჭიანურება, მაშინ, როდესაც მეფის მთავრობა, როგორც ცნო-



ბილია, მთელი თავისი სისასტიკით და მოურიდებლობით დაუყოვნებლივ ახშობდა „თავისუფალი აზრის“ ყოველგვარ გამოვლინებას. საიღუმლო ექსპედიციას — მეფის მთავრობის ამ ოხრანკას, დიდი სიფრთხილე და ნიჭიერება არ გამოუჩენია, როდესაც XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერთი-მეორის მიყოლებით აწყობდა პოლიტიკურ პროცესებს ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ თვალსაჩინო წარმომადგენლების გასასამართლებლად და როდესაც მათ შეუბრალებლად უკრავდა ხოლმე თავს ციმბირსა თუ სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს XVIII ს. დამლევის პროგრესულ მოღვაწეთა გ. პობოვის (1792), ფ. კრეჩეტოვის (1793), ვ. პასეკის (1794), კ. სლოცვევის (1794), ი. როჟნევის (179 ) და სხვათა წინააღმდეგ მეფის მთავრობის მიერ მოწყობილი პოლიტიკური პროცესები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგი უნდა აღვნიშნოთ.

როდესაც მეფის მთავრობა აწყობდა პოლიტიკურ პროცესებს ჩვენ მიერ აქ დასახელებულ პროგრესულ მოღვაწეთა წინააღმდეგ, მას საქმე ჰქონდა ცალკეულ პიროვნებებთან, რომლებიც, გაერთიანებულნი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეებით, აყენებდნენ სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებსა და ამოცანებს. ევგრაფ გრუზინოვის სახით კი მეფის მთავრობას საქმე ჰქონდა არა მარტო იმ ცალკეულ პიროვნებასთან რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა არსებული ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილებისა და პავლე I-ის მიერ რუსეთში დამყარებული რეჟიმის მიმართ, არამედ გვარდიის პოლკოვნიკთან, რომელიც სათავეში ედგა კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკს, ე. ი. იმ „არასაიმედო პიროვნებასთან“, რომლის ხელში რეალური სამხედრო ძალა იყო თავმოყრილი.

თუ რატომ ვცანიით საჭიროდ ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზე, რომ ევგრაფ გრუზინოვი იყო გვარდიის პოლკოვნიკი და რომ მისი ხელქვეითი პოლკი გვარდიულ პოლკს წარმოადგენდა, ეს მკითხველისთვის გასაგები გახდე-

ბა, თუ ჩვენ გავიხსენებთ რუსეთში გვარდიული ნაწილების როლს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის საქმეში და კერძოდ, პავლე I-ის მიერ გვარდიის მიმართ დასახულ ღონისძიებებს.

რასაკვირველია, პავლე I-ს კარგად ესმოდა თუ რა როლს თამაშობდა საერთოდ გვარდია ყველა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის საქმეში (ეკატერინე II სამეფო ტახტზე გვარდიის მეშვეობით ავიდა) და ამიტომაც გვარდიის ლიკვიდაციის გზით მას გადაწყვეტილი ჰქონდა თავიდან აეცილებინა ეს საშიშროება. გვარდიის ლიკვიდაცია პავლე I-ს შემდეგნაირად ჰქონდა დასახული. პირველ რიგში რაოდენობა თითოეული გვარდიული პოლკისა უნდა დაყვანილიყო ბატალიონამდე, ხოლო დანაკლისი, რაც გამოიხატებოდა გვარდიელთა სიკვდილით, გვარდიიდან წასვლით თუ სხვა მიზეზით, არ უნდა შეესებულებოდა. ცხადია, ასეთი ღონისძიების გატარების შედეგად გვარდია სულ მოკლე ხანში არარეალურ სამხედრო ძალამდე დავიდოდა, რაც პავლე I-ის მიზანს წარმოადგენდა, რათა მას უკვე შიში არ ჰქონოდა სახელმწიფო გადატრიალებაში არარეალურ სამხედრო ძალამდე დაყვანილი გვარდიის მონაწილეობისა. მაგრამ პავლე I აგრეთვე ძალიან კარგად ითვალისწინებდა იმ საფრთხეს, რომელიც მას ემუქრებოდა გვარდიის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრების შედეგად. ამიტომაც იყო, რომ პავლე I გვარდიის შესახებ ასე მორიდებით წერდა: „მთლიანად უგვარდიოდ დარჩენა არ შეიძლება, რადგან, როგორც ადათი, ისე ჩვევა, მის არსებობას აუცილებელს ხდის, იმიტომ რომ თვით უმნიშვნელო საკითხშიაც კი სახიფათოა ადათისა და ჩვევის წინააღმდეგ წასვლა“<sup>1</sup>.

სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ პავლე I-მა გადასწყვიტა გვარდიაში „რეფორმების“ გატარება დაეწყო თანდათანობით და შეუმჩნევლად, ასე ვთქვათ, უმტკივნეულოდ.

<sup>1</sup> С. Б. Окунь, История СССР, Ленинград, 1947, стр. 27.

თუ გავითვალისწინებთ პავლე I-ის შიშს გვარდიული ნაწილების მიმართ და იმ სიტუაციას, რომელსაც იჩენდა იგი გვარდიის მიმართ, რათა რეალური სამხედრო ძალის უკმაყოფილება არ გამოეწვია, ამის შემდეგ, რასაკვირველია, გასაგები გახდება, თუ რატომ ვერ გაბედა საიდუმლო ექსპედიციამ ერთი ხელის მოსმით მოესპო გვარდიის პოლკოვნიკი და კაზაკთა ლეიბგვარდიის პოლკის მეთაური ევგრაფ გრუზინოვი, პიროვნება, რომელიც პოლკში დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა. ვინ იცის, იქნებ, 1798 წელს ძმები გრუზინოვების დაპატიმრებამ კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის მღელვარება გამოიწვია და ამიტომაც იძულებული გახდა საიდუმლო ექსპედიცია პატიმრობიდან გაენთავისუფლებინა, როგორც ევგრაფი, ისე პეტრე გრუზინოვები და თვალის ასახვევად მათთვის იმპერატორის წყალობაც დაებრუნებინა. მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ არც ევგრაფი, და არც პეტრე გრუზინოვები კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკში აღარ დაუბრუნებიათ. ევგრაფ გრუზინოვი, თუმცა კი განაწესეს იმპერატორ პავლე I-ის ამაღლაში, მაგრამ იგი ლეიბ-გვარდიის პოლკის მეთაურის თანამდებობიდან მოცილებულ იქნა.

მაგრამ ევგრაფ გრუზინოვის რეველის ციხე-სიმაგრეიდან განთავისუფლება იმას როდი ნიშნავდა, რომ მეფის მთავრობამ დაივიწყა მისი „საეჭვო მოქმედება“ და აპატია მას დანაშაული. ცხადია, ელოდებოდნენ მხოლოდ შესაფერ მომენტს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ზედმეტი ხმაურის გარეშე ევგრაფ გრუზინოვისათვის ანგარიშის გასწორება. ამიტომაც იყო რომ ევგრაფ გრუზინოვის პოლკიდან მოშორების შემდეგ იწყება კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის წმენდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში პოლკიდან ანთავისუფლებენ ევგრაფ გრუზინოვის ყველაზე ერთგულ ოფიცრებს, ყველა მათ, ვისი მხარდაჭერის იმუდი შესაძლებელია ჰქონოდა პოლკოვნიკ გრუზინოვს. და ამ ოფიცრებს არა მარტო იცილებენ პოლკიდან, არამედ სხვადასხვა ხელსაყრელი მიზეზით საერთოდ აძევებენ პეტერბურგიდან (როგორც თქმული იყო, პეტერბურგიდან ერთიმეორის მიყოლებით გააძევეს პოდპოლ-

კოვნიკი პეტერე გრუზინოვი, პოდპოლკოვნიკი გრეკოვი, პორუჩიკი ათანასე გრუზინოვი და ევგრაფ გრუზინოვის სხვა დანარჩენი ერთგული ოფიცრები: გუროვი, ეგოროვი, პოლტარცევი, დავიდოვი, კრასნოშჩეკოვი, მურაშოვი და სხვები).

როგორც კი კახაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკიდან იზოლირებულ იქნენ ევგრაფ გრუზინოვის ერთგული ოფიცრები, საიდუმლო ექსპედიცია ისევ უბრუნდება თვით ევგრაფ გრუზინოს. მაგრამ აქაც ვხედავთ, რომ საიდუმლო ექსპედიცია ჯერ კიდევ თავს იკავებს მის მიმართ აშკარა რეპრესიებისაგან. ევგრაფ გრუზინოს ჯერჯერობით იშორებენ პეტერბურგიდან და მშობლების ნახვის საბაბით გზავნიან ჩერკასკში. შესაძლებელია პავლე I-ის ახლო დამოკიდებულებაც ევგრაფ გრუზინოვისადმი თამაშობდა გარკვეულ როლს ევგრაფ გრუზინოვის საქმის გაჭიანურებაში. შესაძლებელია პავლე I-ს მართლაც ეპარებოდა ეჭვი ევგრაფ გრუზინოვის მეამბოხეობაში. მაშ რატომ უნდა დასჭირებოდა საიდუმლო ექსპედიციის ერთ-ერთ წარმომადგენელს გენერალ ლივენს პავლე I-სათვის იმის მტკიცება, რომ თუ მას ეჭვი ეპარებოდა პოლკოვნიკ გრუზინოვის მეამბოხეობაში, გაეშვა იგი გამოსაცდელად დონზე, სადაც გრუზინოვი გამოავლენდა მთელ თავის თავხედურ ზრახვებს იმპერატორის წინააღმდეგ. მაგრამ თუ

---

I აქაც უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ კახაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკიდან ევგრაფ გრუზინოვის ერთგული ოფიცრების მოცილება ხდება არა აშკარა რეპრესიების გზით, არამედ რაც შეიძლება „უმტკივნეულად“ მაგ., 1) პოდპოლკოვნიკ პეტრე გრუზინოს და პოდპოლკოვნიკ გრეკოს რაღაც საბაბით გზავნიან ჩერკასკში, ხოლო იმავე დროს დონის ჯარების ატამანი ილოვასკი იღებს საიდუმლო ბრძანებას პეტერბურგიდან, რომ მან საგანგებო ზედამხედველობა დააწესოს ჩერკასკში ჩასულ პეტრე გრუზინოვისა და გრეკოვის მოქმედებაზე. 2) პოლანდიაში დესანტად გადასასხმელ დაჯგუფებაში შეიყვანეს კახაკთა ლეიბ-გვარდიის შეერთებული ესკადრონი, რომელიც დაკომპლექტდა ევგრაფ გრუზინოვის ერთგული ოფიცრებით. ესენი იყვნენ: გუროვი, ეგოროვი, ათანასე გრუზინოვი, პოლტარცევი, დავიდოვი, კრასნოშჩეკოვი, მურაშოვი და სხვები.



ერთის მხრივ გენერალ ლივენის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ პოლკოვნიკ გრუზინოვის დროებითი დანდობა ნაწილობრივ მის მიმართ იმპერატორის ახლო დამოკიდებულებით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ, ამავე სიტყვებიდან ირკვევა, რომ საიღუმლო ექსპედიციისათვის უკვე ცნობილი იყო ევგრაფ გრუზინოვის რაღაც „თავხედური ზრახვები“, მიმართული იმპერატორის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში კი, როდესაც საქმე იმპერატორის წინააღმდეგ მიმართულ ზრახვებს ეხებოდა, ცხადია, რომ პავლე I არავითარ ანგარიშს არ გაუწევდა „ახლო დამოკიდებულებას“. ამიტომაც იყო, რომ მას შემდეგ, რაც პავლე I-ისათვის ცნობილი გახდა ევგრაფ გრუზინოვის „თავხედური ზრახვები“, მან დაუყოვნებლივ მოიშორა იგი პეტერბურგიდან და გაუშვა ჩერკასკში.

რაც შეეხება ევგრაფ გრუზინოვის ჩერკასკში განდევნას და სწორედ იქ მის დაპატიმრებას, გასამართლებას და დასჯას, ამასაც უთუოდ გარკვეული მიზანი ჰქონდა. რასაკვირველია, პეტერბურგიდან მოშორებით, შორეულ პერიფერიებში საიღუმლო ექსპედიციის ასეთი მოქმედება ნაკლებ ხმაურსა და გამოძახილს გამოიწვევდა, მით უპეტეს საიღუმლო ექსპედიცია ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა ევგრაფ გრუზინოვის საქმის მისაჩქმალავად. ცხადია, რომ იმ გამწვავებულ ატმოსფეროში, რომელიც, „რევოლუციური სენისა“ და გლეხთა მოძრაობების წინააღმდეგ მიმართული ლონისძიებებით იყო გამოწვეული, გრუზინოვთა საქმის გაზმაურება პავლე I-ისათვის არაფერი კარგის მომასწავებელი არ იქნებოდა. გარდა ამისა, სავსებით გასაგებია, რომ საიღუმლო ექსპედიცია ცდილობდა დაედგინა, ხომ არ ყავდა ძმებ გრუზინოვებს დონზე თანამოაზრენი და მოკავშირენი. ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდა გენერალ-პროკურორი ობოლიანინოვი, ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამრჩევი, სამხედრო სასამართლოს სახელზე გაგზავნილ წერილში<sup>1</sup>. ყოველივე ამას,

<sup>1</sup> ЦГАДА, ф. Госархив, р. VII, д. 3501, лл. 34.

ზასაკვირველია, გარკვეული დრო სჭირდებოდა და ამიტომაც იყო, რომ ჩერკასკში გრუზინოვები ჩასვლისთანავე ფართული საგანგებო ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდნენ და მათი თითოეული ნაბიჯი ცნობილი იყო პეტერბურგში საიდუმლო ექსპედიციისათვის.

7.

ამრიგად, 1800 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ძმები გრუზინოვები დაპატიმრებულ იქნენ ჩერკასკში და წარსდგნენ სასამართლოს წინაშე. ჩერკასკში ძმები გრუზინოვების გასამართლების დროს წესრიგისა და სიწყნარის დასაცავად სასტიკი პოლიციური რეჟიმი დააწესეს. აი რას წერდა გენერალ-ადიუტანტი კოჟინი პავლე I-ს 1800 წლის 9 აგვისტოს: „უმორჩილესად მოგახსენებთ... რომ ჩემი ჩამოსვლის მეორედღესვე ჩერკასკში დავაწესე საგაუბახტო რეჟიმი და შარაგზაზე დავაყენე გაძლიერებული პატრულები ატამანთა პოლკიდან გამოქცეულთა და უსაქმოდ მოხეტიალე ხალხის დაჭერის საბაბით. სინამდვილეში კი მაშინ ჩემი განზრახვა იყო ქალაქში წესრიგისა და სიწყნარის დამყარება“.<sup>1</sup> 1800 წლის 14 აგვისტოს ატამან ორლოვის განკარგულებით ჩერკასკში მუშაობას შეუდგა ორი სამხედრო სასამართლო კომისია, ერთი ევგრაფ გრუზინოვის საქმის გასარჩევად, ხოლო მეორე პეტრე გრუზინოვისა. ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამრჩევი კომისია შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან: პრეზუსი გენერალ-მაიორი როდიონოვი, ასესორები: პოლკოვნიკები სლიუსარევი და აგეევი, პოდპოლკოვნიკები ჩიკილოვი, შჩედროვი, ლეონოვი და იოლოვაისკი, აუდიტორი ედინი. ხოლო პეტრე გრუზინოვის საქმის გამრჩევი კომისიაში შედიოდნენ შემდეგი წევრები: პრეზუსი გენერალ-მაიორი პოზდევევი, ასესორები: პოლკოვნიკები ილოვაისკი, მეშკოვი, პოდპოლკოვნიკები ჩერნოზუბოვი, რებრიკოვი, ივანე გნილოზუბოვი, პერსიანოვი, აუდიტორი ესაული შერშნოვი. ამ

<sup>1</sup> ЦГАДА, ф. Госархив, разряд VIII, л. № 3501, л. 14.

ორივე კომისიის მუშაობა, რომელიც ურთიერთ შეთანხმებით მიმდინარეობდა, ძირითადად მიმართული იყო ევგრაფ გრუზინოვის საქმის გასარჩევად, როგორც „ძირითადი დამნაშავეისა“. მეორე კომისია დაკითხვის მასალებს გზავნიდა დანიშნულებისამებრ — პირველ კომისიაში, რომელიც ევგრაფ გრუზინოვის საქმეს იხილავდა. ორივე კომისიის მიერ საქმის წარმოების საერთო ხელმძღვანელობა კი, როგორც აღვნიშნეთ, ხელში აიღეს გენერალ-ადიუტანტმა კოყინმა, კავალერიის გენერალმა რეპინმა და დონის ჯარების ატამანმა ორლოვმა. ძმები გრუზინოვების სასამართლო პროცესი დახურულად მიმდინარეობდა. პროცესს გარეშე პირთაგან არავის ასწრებდნენ. ის შენობები, რომლებშიაც სამხედრო სასამართლო აწარმოებდა თავის მუშაობას, კაზაკთა რაზმებით იყო გარშემორტყმული.

ევგრაფ გრუზინოვის ბრალდებას და გასამართლებას უპირველეს ყოვლისა საფუძვლად დაედო ის, რომ იგი „წარმოსთქვამდა თავხედურ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს მისი იმპერატორის უდიდესებულების პავლე I-ის მიმართ და რომ ევგრაფ გრუზინოვის დაპატიმრებისა და ბინის გაჩხრეკის დროს მას უპოვეს ორი ხელნაწერი, რომლებშიაც მოცემული იყო პოლიტიკური მოსაზრებანი, მიმართული არსებული წყობილების დასამხობად“.<sup>1</sup>

ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემული „შემადრწუნებელი და თავხედი ზრახვები“ შეიცავდნენ შემდეგ მოსაზრებებს: „ბედნიერების“ დასამყარებლად 200 ათასიანი „რატმენის“ (არმიის) შექმნას, რომელსაც სათავეში თვითონ ევგრაფ გრუზინოვი ჩაუდგებოდა. ამ არმიის მეშვეობით ყველა მათ დამარცხებას „ვინც კი ომს წამოიწყებდა“. სტამბოლიდან თურქების განდევნას და აგრეთვე ყველა „ჯაშუშისა, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, და რომელ ხალხსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი წარმოშობით“. სტამბოლში ახალი სახელმწიფოს დედაქალაქისა და იქ სე-

<sup>1</sup> Русская старина, 1878, стр. 243.

ნატის დაარსებას, რომელიც „დაარსებული“ იქნებოდა „მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ადამიანის მიერ“. კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობას. სენატმა უნდა შეიმუშაოს ისეთი კანონი, — წერდა ევგრაფ გრუზინოვი, — რომ ის ყველასათვის მისაღები იყოს და ყველას აკმაყოფილებდეს, და რომ ის ყველას ჰქონდეს შესწავლილი, დაზეპირებული და მის მიხედვით იტყუოდეს“. ევგრაფ გრუზინოვი თავის ნაწერებში აგრეთვე შემდეგ აზრს ატარებდა, რომ მომავალ საზოგადოებაში უნდა სუფევდეს ერთსულოვნება, შინაგანი სიმშვიდე და კაცთმოყვარეობა. საზოგადოების ცხოვრებას საფუძვლად უნდა დასდებოდა ბრძნული კანონმდებლობა. სენატმა „ბრძნულად უნდა შეიმუშაოს კანონი, — წერდა ევგრაფ გრუზინოვი, — რომელიც... ყველა ადამიანისათვის უნდა იყოს იმდენად სასარგებლო, რომ ის არც ახლანდელმა და არც მომავალმა თაობამ არ უარყოს“. მომავალ საზოგადოებაში, ევგრაფ გრუზინოვის აზრით, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდებოდა შუღლი სხვადასხვა ეროვნებებს შორის, აღიარებული იქნებოდა სარწმუნოებრივი თავისუფლება. მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქი დასახლდებოდა სხვადასხვა ხალხებით „სახელდობრ: კაზაკებით, თათრებით, ქართველებით, ბერძნებით, კალმიკებით, ებრაელთა მცირე რიცხვით, ჩერქეზებით, თურქთა მცირე რიცხვით, რომელთა შორის სარწმუნოების ნიადაგზე მოისპობოდა ყოველგვარი შუღლი და დამყარდებოდა თანხმობა ერთსულოვანი“. ევგრაფ გრუზინოვი, ილაშქრებდა რა მაშინდელ რუსეთში არსებული სამართლის წარმოებისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, მოითხოვდა მოქალაქეთათვის პოლიტიკური თავისუფლების დამყარებას: „კანონებში არის მრავალი, რაც სრულიად ზედმეტია... აზრის თავისუფლება მოითხოვს, რომ მისთვის ვერავინ ვერ შესძლოს საზღვრების დადება“, — აცხადებდა იგი შემდგომში. ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ იგი მიზნად ისახავდა კოლონიალური უღლის ქვეშ მგმინავი ეროვნებების — თათრების, კალმიკებისა და

სხვათა თავისი დროშის ქვეშ გაერთიანებას. თავის ბრძოლაში ისეთ არმიასზე დაყრდნობას, რომელიც კაზაკობის გარდა, შემდგარი იქნებოდა თათრებისაგან, ჩერქეზებისაგან, ბერძნებისაგან.<sup>1</sup>

ასეთია ევგრაფ გრუზინოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და „არსებული წყობილების დასამზობად მიმართული“ გეგმები, რომლებიც საარქივო მასალებში მკრთალად არის წარმოდგენილი, რადგან ევგრაფ გრუზინოვის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ ხელნაწერებში მხოლოდ ერთიმეორისაგან მოწყვეტილი დებულებებია მოცემული. ამიტომაც ჩვენ საჭიროდ ვთვლით შუქი მოვფინოთ ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემულ „შემადრწუნებელ და თავხედ“ ზრახვებს, გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობდა იგი ჩვენ მიერ ციტირებული სტრიქონების წერის დროს და შეძლებისადგავარად წარმოვადგინოთ საერთო სურათი ევგრაფ გრუზინოვის მიერ დასახული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამისა.

ხელნაწერებიდან ჩანს, რომ ევგრაფ გრუზინოვს, როდესაც იგი სახავდა მომავალი სახელმწიფოს შექმნის გეგმებს, მთავარი ყურადღება გამახვილებული ჰქონია შემდეგ საკითხებზე, სახელდობრ: სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე, პოლიტიკურ უფლებებზე, რელიგიის თავისუფლებასზე და ნაციონალურ საკითხზე. მიყვებით საკითხების მიხედვით.

როგორც ჩანს, სხვადასხვა სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან ევგრაფ გრუზინოვს მომავალი სახელმწიფოს მმართველობის ფორმად რესპუბლიკური წყობა აურჩევია. რატომ ვფიქრობთ, რომ ევგრაფ გრუზინოვს თავისი მიზნების განხორციელების შემდეგ მომავალ სახელმწიფოში სწორედ რესპუბლიკური მმართველობის შემოღება ჰქონია განზრახული? ევგრაფ გრუზინოვი, ხომ თავის ხელნაწერებში სავსებით არ იხსენიებს სიტყვა „რესპუბლიკას“ და კერძოდ, პავლე I-ის როგორც თვითმპყრობელი მეფის მიმართ, მას მხოლოდ შემ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26.

დეგი მოსაზრება აქვს გამოთქმული, რომ იგი „თვითმპყრობელ მეფეს უკვე აღარ ცნობდა კანონიერ მეფედ“.<sup>1</sup> სხვა რამ კვალი ევგრაფ გრუზინოვის შეხედულებისა, რომელიც, თვითმპყრობელ მეფის ცნებასთან იქნებოდა დაკავშირებული, არც ხელნაწერებიდან და არც დაკითხვის მასალებიდან არ ჩანს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ წამოიჭრას კითხვა: ხომ არ იყო ევგრაფ გრუზინოვი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე, ხომ არ გამოდიოდა მისი სიტყვებიდან ისეთი მოსაზრება, თითქოს ევგრაფ გრუზინოვი „კანონიერად არ ცნობდა“ მხოლოდ „თვითმპყრობელ მეფეს“, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების გატარებას იგი აპირებდა მეფის შეზღუდული ძალაუფლების შენარჩუნების ქვეშ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ევგრაფ გრუზინოვი რომ კონსტიტუციური მონარქიის მომხრე ყოფილიყო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების გატარება მას მეფის ძალაუფლების შენარჩუნების ქვეშ ჰქონოდა განზრახული, მაშინ სავსებით გაუგებარი გახდებოდა თუ რატომ უნდა ჰქონოდა ევგრაფ გრუზინოვს მიზნად დასახული „უმაღლესი ხელისუფლების მოსპობა.“ ევგრაფ გრუზინოვი თავისი გეგმების განხორციელებას რომ სწორედ მეფის დამხობით აპირებდა და არა მეფის ძალაუფლების შენარჩუნებით, ამაზე აშკარად მიუთითებს საბრალდებო მასალებში დაცული ერთ-ერთი საბუთი, რომელშიაც ნათქვამია: ევგრაფ გრუზინოვის სიტყვებიდან გამომდინარეობდა „მთელი ის საშინელება, რაც უმაღლესი ხელისუფლების დამხობის მომასწავებელი იყო“<sup>2</sup>.

ევგრაფ გრუზინოვი მიზნად ისახავდა ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, სახელმწიფოსი, სადაც სენატს ენიჭებოდა უფლება დაედგინა ძირითადი კანონები. ეს სენატი კი დაარსებული უნდა ყოფილიყო „მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ადამიანის მიერ, საბედნიეროდ და განსაღიღებლად“<sup>3</sup>. ამ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26 об.

<sup>2</sup> იქვე, 88-35 об.

<sup>3</sup> იქვე 88-26

რიგად, როდესაც ევგრაფ გრუზინოვი ეხებოდა მომავალი სახელმწიფოს პოლიტიკური წყობის საკითხს, იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მომავალი სახელმწიფოს კანონების შექმნის საქმეში გადაწყვეტი როლი ენიჭებოდა ისეთ საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც „ყველა ადამიანის“ მიერ იქნებოდა „დაარსებული“ და რომლის მიერ დადგენილი კანონები „ყველა ადამიანს“ მოუტანდა „ბედნიერებასა და დიდებას“. ე. ი. ევგრაფ გრუზინოვის აზრით, მომავალ სახელმწიფოში ხალხს უნდა ეცხოვრა იმ კანონების მიხედვით, რომელიც მათ მიერ დაარსებული სენატის მიერ იქნებოდა დადგენილი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევგრაფ გრუზინოვი „ყველა ადამიანის“, ე. ი. ხალხის, ცნების ხმარებაში, არ ცილდებოდა და არც შეიძლება გასცილებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებს, რადგან ბუნებრივია, რომ ევგრაფ გრუზინოვის მსოფლმხედველობა შეზღუდული იყო იმ ეპოქის ჩარჩოებით რომლის დროსაც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

დეკაბრისტი რაევსკი თავის კონსპექტებში, რომლებშიაც იგი ცდილობდა მოეცა განსაზღვრა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმებისა, აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციონალური მმართველობის ფორმა გამოიხატება იმაში, როდესაც ხალხი ცხოვრობს იმ კანონების მიხედვით, რომლებიც მის მიერაა შექმნილი, და როდესაც ხალხთა წარმომადგენლები დგანან კანონთა დამცველებად. ასეთი მმართველობა რაევსკის მიაჩნდა ყველაზე უფრო უკეთესად და უახლესად<sup>1</sup>.

ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში, სამწუხაროდ, განვითარება ვერ პოვა იმ აზრმა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევა, ვის ენიჭებოდა უფლება არჩევნებში მონაწილეობისა და სხვ.

გაუარკვეველი რჩება აგრეთვე ზოგიერთი რამ. ხელნაწერებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მომავალ სახელმწიფოში ევგრაფ გრუზინოვის ფიქრით, საკანონმდებლო ორგანო სენატი უნდა


<sup>1</sup> Г. Г а б о в, Общественно-политические и философские взгляды декабристов, Москва, 1954, стр. 152.

ყოფილიყო. მაგრამ ენიჭებოდა ამ ორგანოს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი უფლებები, თუ აღმასრულებელი ძალაუფლება, ევგრაფ გრუზინოვის აზრით, სხვა რომელიმე ცენტრალურ ორგანოს უნდა განეხორციელებინა, ამის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება.

ხელნაწერებში აგრეთვე არ არის გაშუქებული აგრარული საკითხი, საკითხი მიწისა და ბატონყმური ურთიერთობისა. მაგრამ, ცხადია, რომ ევგრაფ გრუზინოვს, რომელიც მიზნად ისახავდა მომავალში ახალ საწყისებზე ახალი საზოგადოების შექმნას, პოლიტიკური ხასიათის გარდაქმნებთან ერთად გათვალისწინებული ექნებოდა ეკონომიური ხასიათის გარდაქმნებიც. შეუძლებელია, რომ ევგრაფ გრუზინოვის მიერ მომავალ სახელმწიფოს შექმნის გეგმებში გადაწყვეტილი არ ყოფილიყო ბატონყმური ურთიერთობის საკითხი, მაშინ როდესაც რუსეთის სინამდვილეში დასმული იყო და გადაჭრას თხოულობდა ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის ეს ძირითადი საკითხი. მით უმეტეს, ევგრაფ გრუზინოვის „საეჭვო მოქმედებიდან“ და მისი სიტყვებიდან, რომელმაც უარი განაცხადა პავლე I-ის მიერ მისთვის ნაბოძები ათასი სული გლეხის მიღებაზე და არ მოისურვა გლეხების შრომით სარგებლობა, რის შესახებაც ჩვენ ადრე გვქონდა საუბარი, გასაგები ხდება, თუ როგორი სულისკვეთებით ყოფილა გამსჭვალული ევგრაფ გრუზინოვი საერთოდ ფეოდალურ-ბატონყმური წყობისადმი.

ევგრაფ გრუზინოვს კარგად ესმოდა, რომ თვითმპყრობელობის დამხობა, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური გარდაქმნების გატარება და „ყველა ადამიანისათვის“ ბედნიერების მოტანა არ შეიძლება მომხდარიყო თავისთავად. რომ ამისათვის საჭიროა „ხმლის ამოღება“, საჭირო იყო რევოლუციური გადატრიალება. ამიტომ იყო, რომ ევგრაფ გრუზინოვი წერდა: საჭიროა ბედნიერების დასამყარებლად ორასი ათასიანი რატმენის (არმიის) შექმნა, რომელსაც თვითონ ჩაუდგებოდა სათავეში. არმიაზე დაყრდნობით აპირებდა ევგრაფ გრუზინოვი თავისი მიზნების განხორციელებას, სახელდობრ „ღონის ჯარებს“ უყურებდა იგი როგორც რეალურ ძალას. ეს კი, რასაკ-





ვირველია, აიხსნებოდა რევოლუციურად განწყობილი თავდა-  
 აზნაურობის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შეზღუდუ-  
 ლობით, რევოლუციურად განწყობილ თავდაზნაურობისა, რომელიც  
 მელსაც ემინოდა სახალხო რევოლუციისა და ყოველგვარი  
 ცდილობდა შეეკავებინა ხალხი ახალი გარდაქმნებისათვის  
 წარმოებულ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღებისაგან.  
 თუმცა ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში ყურადღებას იმ-  
 სახურებს მის მიერ ნახმარი სიტყვა „რატმენი“. ამ სიტყვის  
 მნიშვნელობის შესახებ ეკითხებოდნენ მას სამხედრო სასა-  
 მართლო კომისიის წევრები, მაგრამ ევგრაფ გრუზინოვმა მათ  
 არავითარი პასუხი არ გასცა. რა მნიშვნელობით უნდა ესმარა  
 ევგრაფ გრუზინოვს ეს სიტყვა? სიტყვა „რატმენს“ ჩვენი ფიქ-  
 რით, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სიტყვებს «ратник»-ს ან  
 «ополченец»-ს ე. ი. მოლაშქრეს, მებრძოლს, ჯარისკაცს,  
 მხოლოდ არარეგულარული ჯარის ნაწილისა. ე. ი. სიტყვა  
 „რატმენი“ ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც არარეგულარული  
 ჯარის ნაწილი, როგორც სახალხო ლაშქარი და ევგრაფ გრუ-  
 ზინოვს, რასაკვირველია, შემთხვევით როდი აქვს ნახმარი თა-  
 ვის ხელნაწერში სწორედ ეს სიტყვა. თუმცა ევგრაფ გრუზი-  
 ნოვის მიერ სიტყვა „რატმენის“ ხმარება, ჩვენ ისე არ უნდა  
 ავხსნათ, თითქოს მას განზრახული ჰქონოდა შეიარაღებული  
 სახალხო მოძრაობის სათავეში ჩადგომა და ახალი გარდაქმნე-  
 ბისათვის წარმოებულ ბრძოლებში ხალხთა ფართო მასების  
 ჩაბმა. ცხადია, რომ არა. მაგრამ, აგრეთვე ისიც უნდა ითქვას,  
 რომ ევგრაფ გრუზინოვს, იმ ორასიათასიანი არმიისათვის,  
 რომლის მეშვეობით იგი ხალხისათვის „ბედნიერების“ მიღწე-  
 ვას და დამყარებას აპირებდა, ეტყობა „სახალხო ლაშქრის“  
 ელფერის მიცემა სურდა. ევგრაფ გრუზინოვის ასეთ განზრახ-  
 ვაზე ჩვენ იმ შემთხვევაში შეგვიძლია უფრო გაბედულად ლა-  
 პარაკი, თუ გავიხსენებთ ემელიანე პუგაჩოვის მიმართ წარ-  
 მოთქმულ ევგრაფ გრუზინოვის სიტყვებს. ემელიანე პუგაჩო-  
 ვის შესახებ, რომელიც სათავეში უდგა იმ გრანდიოზულ გლეხ-  
 და აჯანყებას, რომელმაც ფეოდალურ ბატონყმური რუსეთის  
 საფუძვლები შეარყია, ევგრაფ გრუზინოვი ლაპარაკობდა: „ილ-

წვოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის პუგაჩოვი, მაგრამ იგი მოსპეს. — ასევე მოექცნენ ფოკასა და რუბცოვს. მე კი პუგაჩოვზე უკეთესად მოვიქცევი. ამოვიღებ თუ არა ხმაღს, მთელი რუსეთი შეზანზარდება“<sup>1</sup>.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ევგრაფ გრუზინოვი მაღალ შეფასებას აძლევდა პუგაჩოვს და პუგაჩოვის აჯანყების მნიშვნელობას. პუგაჩოვი მის წარმოდგენაში იყო სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ხალხის თავისუფლებისათვის და ბედნიერებისათვის მებრძოლი და არა ყაჩაღი, როგორც ცდილობდნენ მის წარმოდგენას მეფის კარის ისტორიკოსები. მით უფრო აღსანიშნავია და საყურადღებო ევგრაფ გრუზინოვის მხრივ პუგაჩოვისადმი თანაგრძნობის გამოცხადება, რომ მოშავალში თვით დეკაბრისტებიდანაც კი, გარდა პოჯიოსი, ჩვენამდე მოღწეულ მასალებში არავენ არ იხსენიებს პუგაჩოვსა და მის მოძრაობას<sup>2</sup>.

ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ მას შეიარაღებული ძალების შექმნა განზრახული ჰქონია არა მარტო მეფის თვითმპყრობელური ძალაუფლების დამხობის მიზნით, არამედ სხვა თვალსაზრისითაც. როგორც ვიცით, ევგრაფ გრუზინოვი წერდა: ორასიათასიანი არმიის მეშვეობით „დამარცხებულ იქნას ყველა ის, ვინც კი ომს წამოიწყებს“<sup>3</sup>. ვინ უნდა ეგულისხმებია ევგრაფ გრუზინოვს სიტყვებში „ყველა ის“ და ვის „დამარცხებას“ აპირებდა იგი. გავიხსენოთ, თუ რას წერდა დეკაბრისტი პესტელი „რუსკაია პრავდაში“, რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების სისტემისა და შეიარაღებული ძალების დანიშნულების შესახებ. პესტელის აზრით, რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საჭირო იყო გადაამჭრელი ზომების მიღება მათ წინააღმდეგ, ვინც

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, лл. 44 об., 286 об., 317.

<sup>2</sup> Вопросы истории, 1955, № 7, стр. 145.

<sup>3</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26.

წინ აღუდგებოდა სახელმწიფოში ახალი წესწყობილების დამყარებას. რევოლუციურ ხელისფულებას დაუყოვნებლივ უნდა ჩაეხშო კონტრრევოლუციის ყოველგვარი გამოსვლა და აღეკვეთა ყოველგვარი ცდა ძველი წესწყობილების აღდგენისა. მაგრამ პესტელი ითვალისწინებდა არა მარტო კონტრრევოლუციის გამოსვლას ქვეყნის შიგნით, არამედ ინტერვენციის საფრთხესაც რევოლუციური რუსეთის წინააღმდეგ მეზობელ სახელმწიფოების მხრიდან. ამის მაგალითს წარმოადგენდა ესპანეთი. ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად პესტელი აუცილებლად თვლიდა სათანადო ღონისძიებების მიღებას, სახელდობრ, შეიარაღებული ძალების შექმნას, რომელიც დაიცავდა რუსეთის რესპუბლიკას ინტერვენციისაგან<sup>1</sup>.

აღბათ, ევგრაფ გრუზინოვიც, მსგავსად პესტელისა, ითვალისწინებდა შექმნილ სიტუაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, მას შემდეგ, რაც სისრულეში იქნებოდა მოყვანილი მისი გეგმები „მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ადამიანის საბედნიეროდ და განსადიდებლად“. ცხადია, რომ ევგრაფ გრუზინოვს ექვი არ ეპარებოდა იმაში, რომ კონტრრევოლუციური ელემენტები ადვილად არ დათმობდნენ თავიანთ პოზიციებს, ყოველგვარ ძალას იხმარდნენ ქვეყანაში ძველი წესწყობილების აღსადგენად. ამიტომაც მათი გამოსვლების აღსაკვეთად საჭირო იქნებოდა შეიარაღებული ძალების გამოყენება. ხოლო რაც შეეხება „ახალ სახელმწიფოსათვის“ მეზობელ სახელმწიფოების მხრიდან ინტერვენციის საფრთხეს, ამის თვალსაჩინო მაგალითს ევგრაფ გრუზინოვისათვის, ცხადია, წარმოადგენდა საფრანგეთის ამბები, როდესაც საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებისა და მონარქიის დამხობის შემდეგ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ ამხედრდა მთელი რეაქციული ევროპა. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როდესაც ევგრაფ გრუზინოვი წერდა: არმიის მეშვეობით დამარცხებულ იქნეს ყველა ის, ვინც კი ომს წამოიწყებს, იგი


<sup>1</sup> Г. Г а б о в, Общественно-политические и философские взгляды декабристов, Москва, 1954, стр. 163.

სიტყვებში „ყველა ის“ გულისხმობდა, როგორც ქვეყნის შეგნით კონტრრევოლუციის გამოსვლას, ასევე მეზობელ სახელმწიფოების მხრიდან მოსალოდნელ ინტერვენციას და სწორედ ამ საშინაო და საგარეო მტრის „დამარცხებას“ ფექტობრივად.

სახელმწიფოს უშიშროების სისტემის შექმნის საქმეში ევგრაფ გრუზინოვი აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა უცხო სახელმწიფოების მიერ შემოგზავნილი საიდუმლო აგენტებისა და ჯაშუშების ძირგამომთხრელი მუშაობის აღსაკვეთავად. ევგრაფ გრუზინოვს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, თუ რა ზიანის მიყენება შეეძლო სახელმწიფო უშიშროებისათვის უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო ორგანოებს და მათ აგენტებს, მათ მიერ ე. წ. „საიდუმლო“ ომის წარმოებას. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში კარგად იყო ცნობილი, თუ რას წარმოადგენდა ეს „საიდუმლო“ ომი. ყოველივე ის, რაც იგულისხმებოდა ამ სიტყვების ქვეშ—საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება, მავნებლობა, დივერსიები, საიდუმლო ჩარევა სახელმწიფო შინაგან საქმეებში, დეზინფორმაცია და სხვ.—ყველა ეს მეთოდი ძირგამომთხრელი მუშაობისა უკვე იმ დროისათვის არსებობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში და გამოყენებულ იქნა რუსეთის წინააღმდეგ.<sup>1</sup> საიდუმლო ინფორმაციების მიღებას უცხო სახელმწიფოები უპირველეს ყოვლისა ახერხებდნენ ოფიციალურ დიპლომატიურ წარმომადგენელთა მეშვეობით. გარდა ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლებისა უცხოეთის დაზვერვა ფართოდ სარგებლობდა საიდუმლო ჯაშუშებით, რომლებიც ვაჭრების თუ მოგზაურების სახით შემოდის რუსეთში და აწვდიდნენ სათანადო ცნობებს თავიანთ სახელმწიფოებს. უცხოეთის დაზვერვა აგრეთვე დიდად იყო დაინტერესებული რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი უცხოელებით.

ყოველივე ზემოთქმული, ჩანს, კარგად ჰქონდა გათვალის-

<sup>1</sup> Исторические записки, 1952, № 39, стр. 230.



წინებული ევგრაფ გრუზინოვს. ამიტომაც იგი მოითხოვდა ჯაშუშების წინააღმდეგ შეუზღუდავ ბრძოლის გამოცხადებას და აუცილებლად თვლიდა სენატის მხრივ სათანადო ზომების მიღებას, რათა არავითარი შეღავათი არ მისცემოდა არც ერთ ჯაშუშს, მიუხედავად მათი მდგომარეობისა და ეროვნებისა. „განიდევნონ... ჯაშუშები,—წერდა ევგრაფ გრუზინოვი,— რა სახითაც არ უნდა აყვანენ ისინი და რომელ ხალხსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი წარმოშობით, და ისე რომ ჩემ შემდეგაც იმათ სენატისაგან ვერაფრის მიღება ვერ შეძლონ.“<sup>1</sup>

მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქი ევგრაფ გრუზინოვის აზრით, სტამბოლი უნდა ყოფილიყო. „განდევნილ იქნენ სტამბოლიდან თურქები...—წერდა იგი—...დაარსდეს იქ დედაქალაქი“.<sup>2</sup> ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით იმ საკითხზე, თუ რა მოტივით აპირებდა ევგრაფ გრუზინოვი სტამბოლიდან თურქების განდევნას და იქ მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქის დაარსებას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მომავალში: „ა. გერცენი ფიქრობდა, რომ ნიკოლოზ I-ის რუსეთი დაინგრევა რევოლუციის გზით, კონსტანტინოპოლი შესცვლის პეტერბურგს, როგორც სლავიანური სამყაროს ცენტრს, რომელიც პირველად გამოვა მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე და სლავური დემოკრატიული წყობის—თემის საფუძველზე შექმნის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს“.<sup>3</sup>

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ევგრაფ გრუზინოვის აზრით, მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა დასახლებულიყო სხვადასხვა ეროვნებებითა და სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხებით. იგი წერდა: „დასახლდეს ქალაქი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხებით, სახელდობრ: კაზაკებით, თათრებით, ქართველებით, ბერძნებით, კალმიკებით, ებ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, д. 525, л. 26.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Исторические записки, № 29, 1949, стр. 173, 181. Славянский сборник, Москва, 1948, стр. 5.

რაელთა მცირე რიცხვით, ჩერქეზებით, თურქთა მცირე რიცხვით, რომელთა შორის სარწმუნოების ნიადაგზე არ უნდა იყოს შუღლი, არამედ ყველა მათ შორის დამყარდეს თანხმობა ერთსულოვანი“<sup>1</sup>. მაგრამ ევგრაფ გრუზინოვი მომავალ სახელმწიფოში როდი კმაყოფილდება მხოლოდ რელიგიის თავისუფლების აღიარებით, რაც ჩვენ მიერ მოყვანილი სტრიქონებიდან ჩანს. გარდა იმისა, რომ მომავალ სახელმწიფოში დაშვებული იქნებოდა სხვადასხვა ხალხთა რელიგიის თავისუფლება, ევგრაფ გრუზინოვის თვალსაზრისით ამ ხალხებს, იქნებოდნენ ისინი რუსები, ქართველები, თურქები, ჩერქეზები თუ სხვა, უნდა ესარგებლათ ერთიანი, პოლიტიკური უფლებებით. კანონი ყველა ხალხისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური დაყოფისა, უნდა ყოფილიყო ერთიანი. იგი წერდა, რომ: „ბრძნულად შემუშავებული კანონი, ყველა ადამიანისათვის“ უნდა იყოს „სასარგებლო“, და რომ „სენატმა უნდა შეიმუშაოს მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ხალხებისათვის ისეთი კანონი, რომ ის ყველასათვის მისაღები იქნეს და ყველას აკმაყოფილებდეს, და რომ ის ყველას ჰქონდეს შესწავლილი, დაზეპირებული და მის მიხედვით იქცეოდეს“<sup>2</sup>.

ამრიგად, მომავალ სახელმწიფოში თუ სენატის მიერ შემუშავებული ერთიანი კანონი უნდა ყოფილიყო „ყველა ადამიანისათვის“ „მისაღები“ და „სასარგებლო“, თავის მხრივ „ყველა ადამიანი“ ვალდებული იყო მტკიცედ დაეცვა ეს კანონი და მის მიხედვით მოქცეულიყო. ჯერ კიდევ რადიშჩევი თავისი წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ ერთ-ერთ თავში „ხოტილოვი“ — პროექტი მომავლისა, წერდა: რომ მომავალ საზოგადოებაში შეიქმნება ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებმა „...პატივი სცენ უზენაესი ხელისუფლების კანონებს, ვითარცა შვილთა მოსიყვარულე მშობლის ბრძანებას“<sup>3</sup>. და რომ „საზოგადოებაში პირ-

<sup>1</sup> ШГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ა. რ ა დ ი შ ჩ ე ვ ი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 139.

ველი მბრძანებელია კანონი, ვინაიდან იგი ერთია ყველასათვის<sup>1</sup>. ხოლო პესტელის აზრით, რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების შემთხვევაში „ყველა მოქალაქისათვის უნდა დადგენილიყო ერთიანი მოვალეობა კანონის წინაშე. არც წარმოშობა, არც ნაციონალური დაყოფა, არც სარწმუნოება, არ შეიძლება გამხდარიყო საფუძველი იმისა, რომ მოქალაქენი განთავისუფლებული ყოფილიყვნენ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ერთიან კანონებს, რომლებიც დადგინდებოდა მთელი ქვეყნისათვის, გამოინაკლისის გარეშე, უნდა დამორჩილებოდა ყველა მოქალაქე. „კანონისადმი დამორჩილება არის წმიდა საქმე და არავინ მთელ საზოგადოებაში არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს ამ აუცილებელი მოვალეობისაგან“<sup>2</sup>—წერდა პესტელი.

როგორც აღვნიშნეთ, ევგრაფ გრუზინოვს მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქის დაარსება სტამბოლში ჰქონია განზრახული. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ როდესაც ევგრაფ გრუზინოვი წერდა „განიდევნონ თურქები სტამბოლიდან“, ამ სიტყვების ქვეშ იგი გულისხმობდა საერთოდ თურქი მოსახლეობის სტამბოლიდან განდევნას. რასაკვირველია რომ არა. თუ ევგრაფ გრუზინოვი საჭიროდ თვლიდა თურქების სტამბოლიდან განდევნას, ამავე დროს იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქი, რომელიც სტამბოლი იქნებოდა, უნდა დასახლებულიყო სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით, რომელთა შორის თურქებიც იქნებოდნენ. აქედან გამომდინარე ჩვენ შემდეგი დასკვნის გაკეთება შეგვიძლიან. ევგრაფ გრუზინოვი მიზნად ისახავდა „ხმლის ამოღებას“ არა თურქი ერის, არამედ სულთნის თურქეთის წინააღმდეგ, რომლის დამარცხების შემდეგ იგი ფიქრობდა სტამბოლის დასახლებას სხვადასხვა ეროვნებებით,

<sup>1</sup> ა. რადიშიევი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 142.

<sup>2</sup> Г. Габов, Общественно-политические и философские взгляды декабристов, Москва, 1954, стр. 178.

რომელთა შორის თურქებიც, ისე როგორც სხვა ეროვნებები, იქნებოდნენ ისინი რუსები, ქართველები, ჩერქეზები, ბერძნები თუ სხვა, ისარგებლებდნენ ერთიანი პოლიტიკური უფლებებით, სენატის მიერ შემუშავებული კანონები ერთნაირად „რისალები“ და „სასარგებლო“ იქნებოდა მათთვის, მათ შორის სამუდამოდ მოისპობოდა უფლი რელიგიის ნიადაზე და სამუდამოდ დაშყარდებოდა „ბედნიერება“ და „ერთსულოვნება“.

ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ევგრაფ გრუზინოვი სხვადასხვა ხალხთა ერთიან ოჯახში თანაცხოვრების კონკრეტულ მაგალითს მხოლოდ მომავალ სახელმწიფოს დედაქალაქში დასახლებულ სხვადასხვა ხალხთა მაგალითზე იძლევა. მაგრამ ჩვენ ეს ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ევგრაფ გრუზინოვს მხოლოდ მომავალ სახელმწიფოს დედაქალაქში სურდა სხვადასხვა ხალხთა შორის ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა დამყარება? რასაკვირველია რომ არა. ცხადია, ევგრაფ გრუზინოვს ერთიანი პოლიტიკური უფლებების დადგენა სურდა მომავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხებისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალობისა და სარწმუნოებისა. ხოლო სხვადასხვა ხალხთა მიერ დასახლებული დედაქალაქი მხოლოდ სიმბოლური განსახიერება იყო მომავალი, ახალ პოლიტიკურ საწყისებზე აშენებული მრავალეროვნული სახელმწიფოსი.

ევგრაფ გრუზინოვს მტკიცედ სწამდა თავის იდეალები, იგი იმედით შეჰყურებდა მომავალს და მზად იყო მომავლისათვის მსხვერპლად შეეწირა თავისი თავი. „საჭიროა უდიდესი მსხვერპლის გაღება“<sup>1</sup>—წერდა ევგრაფ გრუზინოვი, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ მისი იდეალების განხორციელება მხოლოდ თავგანწირული და შეუდრეკელი ბრძოლის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი, ბრძოლისა, რომელსაც, შესაძლებელია, მსხვერპლად შეეწირა არა მარტო თვითონ ევგრაფ გრუზინოვი, არამედ მისი დროშის ქვეშ გაერთიანებული მრავალი

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26.



ადამიანი. ევგრაფ გრუზინოვის ასეთი სიმტკიცე და თავდადება ჩვენ უნებლიედ, გვაგონებს რილევის ერთ-ერთი ვიწრო-სუბილ ნალივაიკოს—სიტყვებს:

«Известно мне: погибель ждет  
Того, кто первый восстает  
На угнетателей народа;  
Судьба меня уж обрекла.  
Но, где, скажи, когда была  
Без жертв искуплена свобода?  
Погибну я за край родной,—  
Я это чувствую, я знаю,  
И радостно, отец святой  
Свой жребий я благославляю»<sup>1</sup>.

ევგრაფ გრუზინოვის პოლიტიკური შეხედულებანი და იმდროინდელი სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ მიმართული გეგმები ჩამოყალიბებული იყო XVIII ს. დამლევის პროგრესულ მოღვაწეთა იდეების ზეგავლენით, კერძოდ, რადიშჩევის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ზეგავლენით. თუმცა, საბუთებიდან არ ჩანს, ცნობილი იყო თუ არა ევგრაფ გრუზინოვისათვის რადიშჩევის წიგნი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“—რუსული რევოლუციური აზრის ამსახველი ეს შესანიშნავი დოკუმენტი, და სხვა მისი ნაწარმოებები. მაგრამ თუ ავიღებთ ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემულ დებულებებს და შევადარებთ რადიშჩევის ნაწარმოებებში მოცემულ აზრებს, დავინახავთ, რომ მათ შორის მრავალი რამ არის საერთო.

ჩვენ ვიცით, რომ ევგრაფ გრუზინოვის აზრით, მომავალ სახელმწიფოში კანონი უნდა დაედგინა ისეთ სენატს, რომელიც „ყველა ადამიანის“ მიერ იქნებოდა „დაარსებული“, რომ ხალხს უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო კანონების შედგენის საქმეში. ახლა ვნახოთ თუ რას ფიქრობდა რადიშჩევი რუსეთის მომავალი პოლიტიკური წყობის შესახებ. რადიშჩევის თავის იდეალად ხალხის მმართველობა მიაჩნდა. მას წამდა, რომ

<sup>1</sup> К. Ф. Рылеев, стихотворения, Ленинград, 1956, стр: 331—332.

მომავალ რუსეთში რევოლუციის შემდეგ მთელი ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდოდა. რადიშჩევის ფიქრით, ჯერ კიდევ ძველ რუსულ ქალაქებში, კერძოდ, ნოვგოროდში, არსებული მმართველობის ფორმა წარმოადგენდა ხალხთა მმართველობის ნიმუშს. აი რას წერდა იგი თავისი წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ ერთ-ერთ თავში „ნოვგოროდი“, რომელშიაც იდეალიზირებულ ფერებშია წარმოსახული „სახალხო ვეჩე“: „მატიანენი გვაუწყებენ, რომ სახალხო მმართველობა ჰქონდა ნოვგოროდს. თუმცა ჰყავდათ მათ მთავარნი, მაგრამ მცირე ჰქონდათ ძალაუფლება. მმართველობის მთელ ძალას მოურავნი და მხედართუფროსნი წარმოადგენდნენ. ჭეშმარიტი ხელმწიფე იყო ვეჩეზე შეკრებილი ხალხი“.<sup>1</sup> ოდა „თავისუფლებაში“ რადიშჩევი წერდა, რომ კანონების დასადგენად „ვეჩეზე იწყო დინება ხალხმა“<sup>2</sup>, რომ „კანონი ხალხის პირმო შვილია“.<sup>3</sup>

თუ ევგრაფ გრუშინოვი თავის ხელნაწერებში ატარებდა შემდეგ აზრს, რომ მომავალ საზოგადოებას საფუძვლად უნდა დასდებოდა „ბრძნულად შემუშავებული კანონები“; რადიშჩევის აზრით, მომავალი საზოგადოების ცხოვრება უნდა აგებულიყო საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე, სახალხო ხელისუფლებაზე და ბრძნულ კანონმდებლობაზე.<sup>4</sup>

როდესაც ევგრაფ გრუშინოვი წერდა, რომ მომავალ სახელმწიფოში სენატის მიერ დადგენილი კანონები ყველა ადამიანისათვის უნდა იყოს ერთნაირად მისაღები და სასარგებლო, ცხადია, რომ ამაში იგი მსგავსად რადიშჩევისა, ხედავდა მომავალი თავისუფალი საზოგადოების შექმნის საწინდარს. რადიშჩევს შემდეგი სიტყვებით ჰქონდა განსაზღვრული „თავისუფლების“ ცნება. „თავისუფლება უნდა ეწოდებოდეს იმას, რომ ყველანი ერთნაირ კანონებს ემორჩილებიან“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ა. რადიშჩევი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 74-75.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 200.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>4</sup> Из истории русской философии, Госполитиздат, 1951, стр. 133.

<sup>5</sup> ა. რადიშჩევი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 194.

ევგრაფ გრუზინოვის მიხედვით, მომავალ სახელმწიფოში შეწყდებოდა შუღლი სხვადასხვა ხალხთა შორის სარწმუნოების ნიადაგზე, აღიარებული იქნებოდა სარწმუნოებრივი თავისუფლება. რადიშჩევის მიხედვით კი, რელიგიის საკითხი მომავალ საზოგადოებაში შემდეგნაირად იყო გადაწყვეტილი. „არ ვუწყით მტრობა, რაიცა ადამიანთ ესოდენ ხშირად თიწავს მათი სარწმუნოების გამო, არ ვუწყით აგრეთვე ძალმომრეობა სარწმუნოებაში“.<sup>1</sup>

ევგრაფ გრუზინოვი აცხადებდა, რომ „აზრის თავისუფლება მოითხოვს, რომ მისთვის ვერავინ ვერ შესძლოს საზღვრების დადება“.<sup>2</sup> თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პერიოდში „აზრთა თავისუფლების“ დადგენას, ამის პასუხს ჩვენ ვნახავთ რადიშჩევის წიგნში „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“. „ქველი საქმის წაქეზების საუკეთესო ხერხია ხელი არ შეუშალო აზროვნებას, მისცე მას ნება, თავისუფლება“.<sup>3</sup>—წერდა რადიშჩევი,—რომ ადამიანი „...საღად აზროვნების უამს არ დაინდობს უკანონო ხელისუფლებას. ვისაც ყოვლად ძლიერის რისხვისა არ ეშინიან, სასაცილოდ მიაჩნია სახრჩობელა სწორედ ამიტომ ეშინიანთ მთავრობებს აზრთა თავისუფლებისა. გულის სიღრმემდე შეძრწუნებული თავისუფლად მოაზროვნე კადნიერ მაგრამ მძლავრსა და მტკიცე ხელს გაიწვდენს ძალაუფლების კერპისაკენ, ჩამოჰგლეჯს ნიღაბს, საბურველს და განაშიშვლებს მთლიანად. ყველანი იხილავენ მის ფეხთა უღონობას, ყველანი გამორაცლიან თავიანთ შეშველებულ საყრდენს, ძალა დაუბრუნდება თვით წყაროს და კერპი დაიმხოება“.<sup>4</sup>

რაც შეეხება ევგრაფ გრუზინოვის „ადმანფოთებელ და თავხედ ზრახვებს“ მიმართულს „არსებული წყობილების დასამხობად“ და „უმაღლესი ხელისუფლების მოსასპობად“, ეს ხომ

<sup>1</sup> ა. რ ა დ ი შ ჩ ე ვ ი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 139.

<sup>2</sup> ЦИИЛ, ф. 1345, оп. 98, л. 225, л. 48.

<sup>3</sup> ა. რ ა დ ი შ ჩ ე ვ ი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 163.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 167.

რადიშჩევის პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. რადიშჩევი, რომელიც ილაშქრებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, „თვითმპყრობელობას“ შემდეგ განმარტავდა ასე: „თვითმპყრობელობა არის ადამიანის ბუნების უაღრესად საწინააღმდეგო მდგომარეობა“<sup>1</sup>. ამიტომაც, რადიშჩევს მტკიცედ სწამდა, რომ მომავალში დამონებული ხალხი აღსდგებოდა იარაღით ხელში და ბოლოს მოუღებდა საძულველ მეფის თვითმპყრობელურ ძალაუფლებას. რადიშჩევი წერდა:

„წამოვა ხალხი აღვსილი რისხვით,  
იმედს ბრძოლისთვის აინთებს ცეცხლად  
და გვირგვინოსან ტირანის სისხლით  
სირცხვილის ლაქას ჩამოირეცხავს.  
ვხედავ, ვით ბრწყინავს პირბასრი ხმალი,  
როგორ დაფრინავს სიკვდილი მალი  
ამ მედიდურად აწეულ თავზე;  
ილხინე, ხალხო, ტანჯულო მარად,  
ვხედავ, ბუნების შურისმგებ ძალას  
თვით მეფე აჰყავს სახრჩობელაზე!“<sup>2</sup>.

ხოლო ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ სენატის მიერ ბრძნულად შემუშავებული კანონი, უნდა იყოს „მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ადამიანისათვის იმდენად სასარგებლო, რომ ის არც ახლანდელმა და არც მომავალმა თაობამ არ უარყოს“, ეს სიტყვები გვაგონებს XVIII ს-ნის ფრანგი განმანათლებლების მიერ წამოყენებულ პრინციპებს: კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, მთელი კაცობრიობის განთავისუფლებას, სამარადისო სამართლიანობის სახელმწიფოს დაარსებას და სხვა.

ასეთია საერთო სურათი ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებისა. ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამრჩევი სამხედრო სასამარ-

<sup>1</sup> А. Р а д и щ е в, Избранные сочинения, Москва, 1952, стр. 3.

<sup>2</sup> ა. რ ა დ ი შ ჩ ე ვ ი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბილისი, 1955, გვ. 198.

თლო კომისია გრუზინოვის ხელნაწერების შესწავლის შემდეგ მუშაობას შეუდგა 1800 წ. 14 აგვისტოს. განთიადისას, ჩერკასკში დონის ჯარების სამხედრო კანცელარიის ერთ-ერთ დეკანოზში შეიკრიბნენ სამხედრო სასამართლოს კომისიის წევრები არც ატამანი ორლოვი და არც პეტერბურგიდან ჩამოსული გენერლები კოჟინი და რეპინი სასამართლოს გახსნას ოფიციალურად არ ესწრებოდნენ. როდესაც პრეზუსმა, ასესორებმა და აუდიტორმა თავისი ადგილები დაიკავეს, დარბაზში დეკანოზი ვოლოშენსკი შემოვიდა. მას ბორკილების უღარუნით ეგვრათ გრუზინოვი შემოჰყვა. გრუზინოვი დარბაზის შუა გულში შეჩერდა. მის გვერდით ორმა კაზაკმა დაიკავა ადგილი. მათ ხელში გაშიშვლებული ხმლები ეჭირათ. პრეზუს როდინოვის ბრძანებით აუდიტორმა იუდინმა ხმამაღლა წაიკითხა პავლე I-ის განკარგულების საფუძველზე შედგენილი ატამან ორლოვის მიერ სამხედრო სასამართლოსადმი დაწერილი ცირკულარული ბარათი, რომელშიაც აღწერილი იყო „ბოროტმოქმედი გრუზინოვის დანაშაული“. ეს წერილი მთავრდებოდა ბრძანებით: სამხედრო სასამართლომ გამოიტანოს „თავისი სენტენცია რაც შეიძლება მოკლე ხანში“. ამის შემდეგ დეკანოზი ვოლოშენსკი მიუბრუნდა ბრალდებულს და „ურჩია“ მას „ელიარებიანა მთელი სიმართლე იმ კითხვებზე, რომლებსაც მას მისცემდნენ“. ამასთანავე დეკანოზი ვოლოშენსკი, არწმუნებდა გრუზინოვს, რომ შეწყნარებული იქნებოდა იმპერატორ პავლეს მიერ თუ იგი გულახდილად აღიარებდა თავის დანაშაულს, ხოლო „ჩიუტობისა და ურჩობის“ შემთხვევაში, დეკანოზი ბრალდებულს სასტიკი სასჯელით ემუქრებოდა. ეგვრათ გრუზინოვმა ეს „რჩევა“ მწარე ღიმილით მოისმინა. იგი კედელზე ერთ რომელიდაც წერტილს ჩასჩერებოდა და არ უყურებდა არც დეკანოზს და არც თავის ბრალმდებლებს. დეკანოზმა ვოლოშენსკიმ მდაბლად დაუკრა თავი კომისიის წევრებს და დატოვა დარბაზი.

ცირკულარული ბარათის წაკითხვის შემდეგ აუდიტორმა იუდინმა დაუწყო ბრალდებულს დაკითხვა. კითხვებზე, თუ რამდენი წლისაა იგი, რომელი სარწმუნოებისაა, გასამართლებული იყო თუ არა ადრე — სამხედრო სასამართლოს მიერ და სხვა, ევგრაფ გრუზინოვი პასუხობდა მშვიდად და ლაკონურად. ამ ფორმალური მხარის შესრულების შემდეგ, სამხედრო სასამართლო შეუდგა ევგრაფ გრუზინოვის დაკითხვას „არსებით საკითხთან დაკავშირებით“. ეს არსებითი საკითხი კი გამოიხატებოდა მის ხელნაწერებში მოცემული „საზოგადოებრივი სიმშვიდის დამრღვევ“ ზრახვათა გამოვლინებაში და მათი განხორციელების გზების დადგენაში.

„რატომ ავრცელებდა იგი ასეთ თავხედურ ზრახვებს, — შეეკითხნენ კომისიის წევრები ევგრაფ გრუზინოვს, — რა იმედებს ამყარებდა და როდის აპირებდა ყოველივე ამის სისრულეში მოყვანას, ან ვინ იყვნენ მისი თანამოაზრენი და თანამონაწილენი“<sup>1</sup>. ამ კითხვებზე ევგრაფ გრუზინოვმა შემდეგი პასუხი გასცა: „რაც შეეხება ჩემი დაპატიმრების და ბინის გაჩხრეკის დროს ნახულ ხელნაწერებში მოცემულ ზრახვებს, ეს ჩემი საკუთარი ხელით არის ნაწერი 1800 წლის დიდ მარხვას და მე ვფიქრობდი ყოველივე ამის სისრულეში მოყვანას. მაგრამ მე თანამოაზრენი არ მყოლია, ჩემი ზრახვები არავისთვის გამომხელია და ამ საქმის განხორციელება ჯერ არ დამიწყია“<sup>2</sup>. ამის შემდეგ ევგრაფ გრუზინოვს წარუდგინეს მთელი რიგი ჩამოწერილი კითხვებისა, რომლებზედაც მას უნდა ეპასუხა „სრული სიმართლით და არ დაეფარა არაფერი“. ეს კითხვები ძირითადადში შემდეგი იყო: რას გულისხმობდა ევგრაფ გრუზინოვი, როდესაც იგი წერდა: ბედნიერების დასამყარებლად საჭიროა 200 ათასიანი არმიის შექმნა, სად აპირებდა იგი 200 ათასიანი არმიის ჩამოყალიბებას და მის მეთაურობას, რა იმედი ჰქონდა მას ამის განსახორციელებლად, ვის წინააღმდეგ აპირებდა იგი ომის დაწყებას და ვის დამარცხებას და

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 47 об.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 18 об.

მოსპობას გულისხმობდა, რა მიზნით ფიქრობდა იგი სტამბოლიდან თურქების განდევნას და აგრეთვე ყველა ჯაშუშისა, რას გულისხმობდა იგი როცა წერდა, რომ საქიროა „უდიდესი მსხვერპლის გაღება“, რა ბრძნული და სასარგებლო განონის შედგენაზე ლაპარაკობდა, კანონისა, რომელიც დიდებას მოუტანდა „ყველა მზის ქვეშ მცხოვრებ ხალხებს“, რომელ ქალაქში აპირებდა იგი სხვადასხვა ეროვნებების ხალხთა დასახლებას, როგორ ფიქრობდა მათ შეკრებას და მათ შორის სარწმუნოების ნიადაგზე თანხმობისა და საერთოდ ერთსულოვნების დამყარებას, რომელ კაზაკთა, თათართა, ბერძენთა და ჩერქეზთა ჯარების დარწმუნებას ცდილობდა იგი, რომ მათ ევგრაფ გრუზინოვი მეთაურად აერჩიათ და სად, და სხვ.

ევგრაფ გრუზინოვს თითქოს არ ესმოდა თუ რას ეკითხებოდნენ. იგი სდუმდა. სამხედრო სასამართლო კომისიის წევრებმა მას ხელმეორედ დაუინებით მოსთხოვეს გაეცა ამ კითხვებზე პასუხი, „განემარტა დაწვრილებითა და ჩამოყალიბებით მის ხელნაწერებში მოცემული აღმაშფოთებელი და სხვა უთავხედესი, საერთო სიმშვიდისა და წესრიგის დამრღვევი ზრახვები“ და „დაესახელებინა თანამოაზრენი“. მაშინ მოთმინებიდან გამოსულმა ევგრაფ გრუზინოვმა მათ „მტკიცედ და გადაჭრით“ მიუგო: „ვინდ ჩამომახჩეთ, მე თქვენთან ლაპარაკიც არ მსურს... სხვისი უბედურების გამო მე თქვენ სიმართლეს არ გეტყვით“.<sup>1</sup>

საერთოდ ევგრაფ გრუზინოვის თავდაპირა და სიმტკიცე, რომელიც მან სასამართლო პროცესზე გამოიჩინა, თვით კომისიის წევრთა შორის გაცვიფრებას იწვევდა, რადგან საიდუმლო ექსპედიციის პრაქტიკაში ასეთ შემთხვევას იშვიათად ჰქონდა ადგილი. სხვისი უბედურების შემსუბუქება, მეგობართა და თანამოაზრეთა საქმისათვის თავდადება, ევგრაფ გრუზინოვის პირად საამაყო ღირსებას წარმოადგენდა. მართლაც საქმის გამოძიება ისე დამთავრდა, რომ გრუზინოვს ვერ ათქმე-


<sup>1</sup> ЦИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, лл. 46, 48, 235 об.

ვინეს ყავდა თუ არა მას თანამოაზრენი და ვინ იყვნენ ისინი. თუმცა ევგრაფ გრუზინოვი თავის წინა პასუხში ლაპარაკობდა: ჩემი აზრები არავისთვის გამიმხელია და თანამოაზრენიც არ მყოლიაო, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიტყვებს, რომ სხვისი უბედურების გამო იგი სიმართლეს არ იტყოდა, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მართლაც არსებობდა ის ხალხი, ვინც ევგრაფ გრუზინოვის აზრებს იზიარებდა და რომლებიც მხოლოდ მისი სიმტკიცის წყალობით ხელში არ ჩაუვარდნენ სამხედრო სასამართლოს. ევგრაფ გრუზინოვმა შეასრულა თავის აღთქმა, რომელიც მან ამაყად წარმოთქვა სამხედრო კომისიის წევრების წინაშე: „გინდ ჩამომახეთ, სხვისი უბედურების გამო მე თქვენ სიმართლეს არ გეტყვით“. 20 დღის შემდეგ იგი პირნათლად ავიდა ეშაფოტზე ისე რომ მის სინდისს მეგობრებისა და თანამოაზრეთა გამცემაში ადამიანის შავი ლაქა არ ეცხო. ყოველ შემთხვევაში, თუ ევგრაფ გრუზინოვის თანამოაზრენი მართლაც არსებობდნენ, მათი ვინაობა ჩვენთვის მაინც სამუდამოდ უცნობი დარჩა, რადგან როგორც აღვნიშნეთ, გრუზინოვმა კატეგორიული უარი განაცხადა მათ დასახელებაზე.

სამხედრო სასამართლოს კომისიის მთელი მუშაობა ძირითადადში მიმართული იყო იმისაკენ, რომ ევგრაფ გრუზინოვს განემარტა „იმპერატორისა და საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ მიმართული ზრახვები“ და გამოეველინა მათი განხორციელების გზები. მაგრამ ისინი თითქოს გაუტეხელ კლდეს წააწყდნენ. ყოველგვარი მათი ცდა გაეგოთ რამე გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემული „დიდი მნიშვნელობის მქონე ტერმინებთან“ დაკავშირებით, უშედეგოდ რჩებოდა. „ამ საქმესთან დაკავშირებით,—განუცხადებია ევგრაფ გრუზინოვს,—ჩემგან ვერავინ ვერაფერს გაიგებს, ვიდრე მე და ჩემს ძმას პოდპოლკოვნიკ პეტრე გრუზინოვს ბორკილებს არ შეგვხსნით და თავისუფლებას არ მოგვანიჭებთ“<sup>1</sup>. უკვე მეორე დღეა გრძელ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, д. 525, лл. 237 об, 249.





დებოდა ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამოძიება. სასამართლო კომისიას კი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა პროცესის სწრაფად დამთავრებას, ევგრაფ გრუზინოვისაგან მხოლოდ შემდეგი სიტყვები ესმოდა: „მე თქვენ უკვე გითხარით, რომ ვიდრე თავისუფალი არ ვიქნები, არაფერს არ გეტყვით. ამიტომ უკეთესი იქნება თავი დამანებოთ და უბრძანოთ აქედან გამიყვანონ. მე ყოველთვის კარგად ვიცოდი, თუ რასაც ვაკეთებდი და ახლაც, მაღლობა ღმერთს, ჰკუიდან არ შევშლილვარ... მე ყველაფერზე პასუხს გაგცემთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალი ვიქნები. მაგრამ ახლა პასუხს იმიტომ არ გაძლევთ და არც არასოდეს გიპასუხებთ იმ მიზეზით, რომ თავისუფალი არ ვარ“<sup>1</sup>. გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ ჩვენ ევგრაფ გრუზინოვის სიტყვები ისე გაგვეგო, თითქოს თუ მას ბორკილებს მართლა შეხსნიდნენ და სახლში დააბრუნებდნენ, ამგვარი „თავისუფლებით“ დაკმაყოფილებული და გულმოგებული ევგრაფ გრუზინოვი თავისი „ცოდვების“ მოსანანიებლად წარსდგებოდა სასამართლო კომისიის წინაშე და „მთელ სიმართლეს აღიარებდა“. თუ როგორ თავისუფლებას გულისხმობდა იგი თავის სიტყვებში და რატომ სჭირდებოდა მას ეს თავისუფლება, ეს კარგად ჩანს სამხედრო სასამართლოს საბრალდებო მასალებიდან. ევგრაფ გრუზინოვი, ნათქვამია ერთ-ერთ საბუთში, „თავის საქმესთან დაკავშირებით არავისთვის არავითარ პასუხის გაცემას არ აპირებს, თუ მას... არ მიენიჭება თავისუფლება, რათა მან ყველაფერი თქვას დონის ჯარების საერთო კრების წინაშე, და ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იქნება ლაპარაკი“<sup>2</sup>. რასაკვირველია, ევგრაფ გრუზინოვს კარგად ესმოდა, რომ საიდუმლო ექსპედიციას იგი უკვე ხელიდან ვეღარ წაუვიდოდა და მასთან ერთად სამუდამოდ დასამარდებოდა მის მიერ „მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ხალხთა საბედნიეროდ და განსაღივებლად“ დასახული აზრებიც. საიდუმლო

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, об. 98, л. 525, лл. 66 об, 245.

<sup>2</sup> იქვე, 83. 249.

ექსპედიცია კი, როგორც ვიცით, ყოველგვარ ზომებს ხმაობდა ამის გასაკეთებლად: ევგრაფ გრუზინოვის საქმესთან დაკავშირებით საიდუმლო პროცესის მოწყობა, რომელსაც გარეშე პირნი არ ესწრებოდნენ, სასამართლო შენობის კაზაკთა რაზმით გარშემორტყმა, ერთი სიტყვით, ისეთი ღონისძიებების მიღება, რომლებიც ყოველგვარ პირობას შექმნიდნენ იმისათვის, რომ ფართო მასებში არ გასულიყო ევგრაფ გრუზინოვის სასამართლებისა და დასჯის ჭეშმარიტი ამბავი. სწორედ იმიტომ სჭირდებოდა ევგრაფ გრუზინოვს თავისუფლება, იმიტომ სურდა მას კაზაკთა საერთო კრების წინაშე გამოსვლა და ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა ლაპარაკი, რომ ის ზრახვები, რომლებიც მისი აზრით ბედნიერებასა და თანასწორობას მოუტანდა ხალხს, მთელი თავისი სიმართლით ელიარებინა და განეცხადებინა თვით ხალხის წინაშე<sup>1</sup>.

სასამართლოზე ევგრაფ გრუზინოვს დაჟინებით მოსთხოვეს გაეცა პასუხი წინააღმდეგ მიცემულ კითხვებზე, რაზედაც ბრალდებულმა „შეუპოვრად“ უპასუხა: „რომ არავითარ პასუხს არ ვასცემდა არავითარი ძალდატანების შეგავლენით... რომ აზრის თავისუფლება მოითხოვეს, რომ ვერავინ ვერ შესძლოს მისთვის საზღვრების დადება“<sup>2</sup>. კომისიის წევრები შეეკითხნენ მას თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები, მაგრამ გრუზინოვმა, როგორც საბრალდებო მასალებშია ნათქვამი, მიუხედავად სასამართლო

---

<sup>1</sup> ის გარემოება, რომ ევგრაფ გრუზინოვის სასამართლებისა და დასჯის ჭეშმარიტი ამბავი საზოგადოების ფართო მასებისათვის ბუნდოვნად იყო ცნობილი, ცხადია, არამცირე როლს თამაშობდა იმაში, რომ ევგრაფ გრუზინოვის საქმემ ისტორიოგრაფიაში სრულიად არასწორი გაშუქება პოვა. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც ამ საკითხით დაინტერესებულ ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეცნიერისათვის ხელმისაწვდომი გახდა საიდუმლო ექსპედიციის საქმეებში დაცული მასალები ევგრაფ გრუზინოვზე, მათ თავიანთი ნებასურვილით და თვალსაზრისით გადაახალისეს ისტორიული ფაქტები და ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ევგრაფ გრუზინოვის მაგივრად ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში წარმოგვიდგინეს იმპერატორ პავლე I-ის მიმართ გამოჩენილი ერთგულქვეშევრდომობისათვის დაღუპული ადამიანი.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 48.

წევრების მხრივ მრავალრიგი „დაჯერებისა და რჩევისა“ გამო-  
იჩინა „გაუსწორებელი ურჩობა და სიჯიუტე“ და პასუხის მათხრობის  
გეგმად „აღმოფოთებით განაცხადა, რომ მისთვის განმარტობა  
თუ რატომაა მეფე იმპერატორი მისი კანონიერი ხელმწიფე“<sup>1</sup>.  
და რომ „კანონებში მრავალი რამ არის ზედმეტი“<sup>2</sup>. კომისიის  
წევრები შეეკითხნენ მას, თუ რას გულისხმობდა ევგრაფ გრუ-  
ზინოვი ამ სიტყვებში. ევგრაფ გრუზინოვი სდუმდა. 15 აგვის-  
ტოს სამხედრო სასამართლოს სხდომა დამთავრდა ისე, რომ  
ვერ აიძულეს ევგრაფ გრუზინოვი ეთქვა რაიმე „თავის საში-  
ნელ ზრახვებთან დაკავშირებით“. 16 აგვისტოს ევგრაფ გრუ-  
ზინოვი ისევ წარსდგა თავის მსაჯულების წინაშე. ახლა კომი-  
სიის წევრებმა დაყვავების მეთოდს მიმართეს და გაახსენეს  
მას, თუ ერთ დროს რა მაღალი მდგომარეობა ეკავა იმპერა-  
ტორ პავლე I-ის კარზე და ყოველი წყალობა, რომელიც მას  
იმპერატორისაგან ჰქონდა მიღებული. „მან ხომ კარგად იცის—  
უთხრეს გრუზინოვს, რომ იგი როგორც აქაური მკვიდრი, არის  
იმპერატორის ქვეშევრდომი. იმპერატორის სამსახურში ყოფ-  
ნის დროს მას მიღებული აქვს დიდი ჩინები, დაჯილდოებულია  
ორდენებით, ნაბოძები ყავს გლეხები, ამიტომაც მას არ უნდა  
დაავიწყდეს ერთგული ქვეშევრდომის მოვალეობა იმპერატო-  
რის წინაშე, მით უმეტეს იმსჯელოს კანონების სამართლიანო-  
ბაზე, რომლებსაც იგი უსიტყვოდ უნდა ასრულებდეს“<sup>3</sup>. მაგ-  
რამ, ამით აღმოჩნდა ცდა ასეთი სიტყვებით „გული მოელ-  
ბოთ“ ევგრაფ გრუზინოვისათვის. მან ისევ „გამოიჩინა ურჩო-  
ბა და ჯიუტობა“ და უარი თქვა ყოველგვარი პასუხის გა-  
ცემაზე.

რადგან არავითარმა რჩევამ და დარიგებამ ევგრაფ გრუზი-  
ნოვზე არ გასჭრა, გადასწყვიტეს ძალდატანებისათვის მიემარ-  
თათ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მას წყალსა და პურსაც  
აღარ აძლევდნენ<sup>4</sup>, მაგრამ ამანაც უშედეგოდ ჩაიარა. ლიტონი

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26 об.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 237 об.


<sup>4</sup> იქვე, გვ. 32 об.

არ აღმოჩნდა ევგრაფ გრუზინოვის ამეყი სიტყვები, რომლებიც მან კომისიის წევრებს პირში მიახალა, რომ მას ევგრაფითარი ძალდატანებით ვერ აიძულებდნენ რაიმის დატოვებას. მისი მიცემულ კითხვებზე იგი კომისიის წევრებს უკვე პასუხის ღირსადაც არ ხდის. „მისი გაათვრება არა მარტო გრძელდება—ნათქვამია ევგრაფ გრუზინოვის დაკითხვის მასალებში, არამედ ძლიერდება კიდევ“, და რომ „მისი მოუდრეკელი ურჩობის გამო არ არის არავითარი იმედი, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით გრუზინოვისაგან რაიმე გავიგოთ“<sup>1</sup>.

როდესაც ევგრაფ გრუზინოვის მსაჯულნი დარწმუნდნენ, რომ ძალდატანებით მიზანს ვერ მიაღწევდნენ, მათ შემდეგ საშუალებას მიმართეს. ატამან ორლოვის წინადადებით დაევალია დეკანოზ ვოლოშენსკის ცალკე, სასამართლოს გარეშე, ჯვრისა და ბიბლიის წინაშე დაეჯერებინა ევგრაფ გრუზინოვი, რათა მას „გულახდილად ელიარებინა სიმართლე და მოენანიებინა თავისი ცოდვები“. ამასთანავე, თვითონ ატამანი ორლოვი, გენერალ-ადიუტანტ კოჟინთან და კავალერიის გენერალ რეპინთან ერთად შეუმჩნევლად უნდა მდგარიყვნენ კარებთან „სიტყვებზე არსის გასარკვევად“.<sup>2</sup> დეკანოზი ვოლოშენსკი შეუდგა ბრალდებულის „დაჯერებას“. იგი ერთ საათზე მეტს ესაუბრა ევგრაფ გრუზინოვს, რის შემდეგ მან ოფიციალური პატაკი დაწერა ატამან ორლოვის სახელზე, რადგან მეორე ოთახში მყოფ გენერლებს „შესაძლოა, მათი საუბარი ვერ გაეგოთ“. ამ რას წერდა დეკანოზი ვოლოშენსკი: „კეთილის ნებით ვუხსნიდი და ვარწმუნებდი მე გრუზინოვს, თუ რა მნიშვნელოვანი იყო საერთოდ მისი დანაშაული, განსაკუთრებით ყველას მიმართ კეთილისმყოფელი ხელმწიფე იმპერატორის დიდი პავლეს წინაშე, რომელიც კერძოდ მას, ევგრაფ გრუზინოვს, განსაკუთრებული წყალობით ექცეოდა. მაგრამ, მიუხედავად მისი უდიდებულესობის მხრივ მისდამი გამოჩენილი კეთილისმყოფლობისა, ევგრაფ გრუზინოვი გულქვა და უმაღური რჩება. იგი

<sup>1</sup> ПГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 32 об.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 56.



თავის თავს არ ცნობს იმპერატორის ქვეშევრდომად და ვითომ მის მიმართ გაღებული წყალობა თავისი დამსახურებით ჰქონდეს მოპოვებული. ამასთანავე იგი წარმოსთქვამდა ისეთ სიტყვებს, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება მის მდგომარეობას. სხვათა შორის მან მოიხსენია დონელი კაზაკი ერმაკი, ლაპარაკობდა საერთოდ დონის კაზაკობაზე, რომ ისინი მისი უდიდებულესობის ტახტიდან დამოუკიდებელნი არიან, და რომ იგი, როგორც ყველა კაზაკი, იმპერატორის ხელქვეითი არ არის და ამიტომაც არც ქვეშევრდომია. ერთ საათზე მეტს ვესაუბრებოდი გრუზინრვს და მთელი ამ დროის განმავლობაში ყოველმხრივ ვცდილობდი დამერწმუნებინა ბრალდებული, თუ რა დიდი ბრალი მიუძღოდა მას. მაგრამ ევგრაფი ყოველივე ჩემს მტკიცებას უარყოფდა და არავითარი დაშოშმინება მის გააფთრებას არ ეტყობოდა. იმშვიდებდა რა თავს ჩემთვის გაუგებარი მომავლის იმედით, იგი თავს დამნაშავედ არ თვლიდა და ამიტომაც აცხადებდა, რომ მას მოსანანიებელი არაფერი ჰქონდა. მისი სიტყვებიდან გამოდიოდა მთელი ის საშინელება, რაც უმაღლესი ხელისუფლების მოსპობის მომასწავებელი ფყო... ევგრაფი ყოველივე ზემოთქმულს ლაპარაკობდა ხმამაღლა და თავხედურად და მას სახეზე და თვალებში არ ეტყობოდა არც სინდისის ქეჯნა და არც სირცხვილი. ასეთი გააფთრება მხოლოდ სიბოროტითა და სიამაყით აღსავსე ქმნილებებს თუ ახასიათებს.<sup>1</sup>

ატამანმა ორლოვმა დეკანოზ ვოლოშენსკის პატაკი გრუზინოვთან საუბრის შესახებ მიიღო 17 აგვისტოს და მან იმავე დღესვე გადაუგზავნა ის სამხედრო სასამართლო კომისიას. დეკანოზ ვოლოშენსკის პატაკს მან შემდეგი შინაარსის ბარათი წარუძღვარა: „იმის მაგივრად,—წერდა ატამანი ორლოვი,—რომ გრუზინოვმა სათანადოდ აღიაროს და მოინანიოს დანაშაული, იგი თანდათან უფრო მეტ შეუპოვრობასა და კადნიერებას იჩენს და წარმოსთქვამს ისეთი სიბოროტით აღსავსე სიტყვებს, რომლებიც თავისი შინაარსით მის ხელნაწერებში

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, лл. 35 об, 36.

მოცემულ აზრებს გვაგონებს... ყოველივე ამას იგი უმატებს რაღაც სულელურ და უცნაურ მოსაზრებებს...<sup>1</sup>.

დეკანოზ ვოლოჟენსკისთან შეხვედრის შემდეგ ევგრაფ გრუზინოვი „სპეციალური მიზნით“ ინახულა გენერალ-ადიუტანტმა კოჟინმა, რომელიც გრუზინოვთან „შინაურული საუბრით“ და „გულის მოგებით“ ფიქრობდა ბრალდებულისაგან „რაიმეს გაგებას“. გენერლისა და ბრალდებულის საუბარი მიმდინარეობდა პირისპირ, ცალკე ოთახში. კარებიდან დარაჯებიც კი მოაცილეს დროებით. გენერალ-ადიუტანტ კოჟინისა და ევგრაფ გრუზინოვის შეხვედრის შესახებ სამხედრო სასამართლოს საქმეებში შემდეგია ნათქვამი: „სინამდვილის დასადგენად და აგრეთვე თუ ვინ ყავდა ბოროტმოქმედ გრუზინოვს თავის საშინელ ზრახვებში თანამონაწილენი, გადასწყვიტა გენერალ-ადიუტანტმა კოჟინმა შინაურული საუბარი გაემართა ბრალდებულთან. გენერალმა კოჟინმა გაახსენა მას თუ რა დიდი წყალობა ჰქონდა მიღებული იმპერატორისაგან და შეეცადა გაეგო თუ რით იყო გამოწვეული მისი ასეთი სასტიკი გაბრაზება, რომ მან გაბედა იმგვარი ლანძღვისა და ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელთა ფიქრად გავლებაც კი შეაძრწუნებდა ყოველი ქვეშევრდომის გულს. მაგრამ მიუხედავად გენერალ-ადიუტანტ კოჟინის ყოველგვარი ცდისა, რომელიც ორი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა ბრალდებულს, გრუზინოვი დაჟინებით იდგა თავის აღრინდელ თვალსაზრისზე. შემდეგ იგი ყოფდა დონელ კაზაკობას ველიკოროსებისაგან და ამის ასახსნელად მას მოჰყავდა წარსულიდან რაღაც ბნელი და უცნაური-დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მისი გაბოროტებული აზროვნების შედეგი იყო. ბოლოს გენერალ-ადიუტანტმა კოჟინმა დაუწყო განგებ ქების შესხმა და ამით მოთმინებიდან გამოსულმა გრუზინოვმა განაცხადა, რომ მასთან მრავალი ხალხი დადიოდა, მაგრამ იმათგან აღარავინ ახსოვდა, გარდა მისი ბიძა კატლამინისა... ხოლო ბოლო ხანებში კატლამინი გრუზინოვის იშვიათი სტუმარი ყოფილა და როდესაც

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 127.

ევგრაფი შეკითხვია მას, კატლამინს, თუ რატომ აღარ დადი-  
ოდა იგი გრუზინოვებთან, მას ევგრაფისთვის უპასუხია, რომ  
შენ შესახებ მეკითხებიან და რადგანაც ვაი-ვაგლახის თავი არა  
მაქვს, ამიტომაც აღარ დავდივარ შენთანო<sup>1</sup>.

ყოველივე ეს ზემოთქმული გენერალ-ადიუტანტმა კოჟინ-  
მა წერილობითი სახით გადაუგზავნა სამხედრო სასამართლო  
კომისიას.

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ დეკანოზ ვოლოშენსკისა და  
გენერალ-ადიუტანტ კოჟინის მიერ შედგენილ პატაკებში მო-  
ცემულ ევგრაფ გრუზინოვის ზოგიერთ მოსაზრებაზე ერმაკისა  
და საერთოდ დონის კაზაკობის შესახებ. კერძოდ, მის სიტყვებ-  
ზე, რომ კაზაკობა „მისი უდიდებულესობის ტახტიდან დამო-  
უკიდებელია და რომ თითო ისიც, როგორც ყველა კაზაკი, იმ-  
პერატორის ხელქვეითი არ არის და ამიტომაც არც ქვეშევრ-  
დომია“. აგრეთვე იმ საკითხზე, რომ ევგრაფ გრუზინოვი ჰყოფ-  
და კაზაკობას რუსეთის თვითმპყრობელობის ქვეშევრდომობი-  
დან და „ამის დასამტკიცებლად წარსულიდან მოჰყავდა რა-  
ღაც ბნელი და უცნაური დამამტკიცებელი საბუთები“.

თუ რას გულისხმობდა ევგრაფ გრუზინოვი ყოველივე  
ზემოთქმულით, ანდა რა აზრი იყო ჩაქსოვილი აგრეთვე მის  
მიერ ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ერთ კაზაკთან საუბრის  
დროს წარმოთქმულ სიტყვებში „იცით, დონი ვინ დაიმსახუ-  
რა?—ერმაკმა“,<sup>2</sup> ამის გასარკვევად სრულიად საკმარისი იქ-  
ნება გავიხსენოთ თუ რას წერდა რადიშჩევი ერმაკზე და საერ-  
თოდ დონის კაზაკობაზე თავის შესანიშნავ ნაწარმოებში  
„თქმულება ერმაკზე“.

აქ აღწერილ ვითარებამდე ჯერ კიდევ ადრე ერმაკით, რო-  
გორც ისტორიული პიროვნებით დაინტერესებულა რადიშჩე-  
ვი. იგი აგროვებს მრავალ მასალას ერმაკისა და მისი ციმბირ-  
ში ლაშქრობის შესახებ და წერს „თქმულებას ერმაკზე“. ჩვენ  
აქ გაკვრით შევეხებით ამ ნაწარმოების შინაარსს. რადიშჩევი

<sup>1</sup> ИГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, лл. 238, 238 об.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 243.

თავის ნაწარმოებში აღწერს ციმბირსა და იქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს, რომლებიც „დამპყრობი“ კუჩუმის მბრძანებლობის ქვეშ იმყოფებოდნენ. პირველი პიონერები ციმბირზე გალაშქრებისა დონელი კაზაკები ყოფილან. „ისინი...—წერდა რადიშჩევი—თუმცა წარმომობით უმთავრესად რუსები იყვნენ, მიუხედავად ამისა იმ დროისათვის გაერთიანებულნი იყვნენ ცალკეულ სამხედრო ორგანიზაციებში, რომლებიც რუსეთს არ ემორჩილებოდნენ“.<sup>1</sup> შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ერმაკზე და მის თანანებრძოლ კაზაკებზე, რომ ისინი თავისუფლად და სხვისგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ და მათი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი გამბედაობა და სიკეთე იყო.<sup>2</sup> რუსეთის მეფე ივანე IV-მ ეს დამოუკიდებელი ხალხი „მეამბოხეებად“ გამოაცხადა, რადგან ისინი „თვითმპყრობელობას არ ემორჩილებოდნენ“ და მათ წინააღმდეგ გაგზავნა ჯარის ნაწილები მურაშკინის მეთაურობით. დონზე სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა. ივანე IV-ის მიერ გაგზავნილი დამსჯელი რაზმები „ტყვედ ჩავარდნილ კაზაკებს სიკვდილით სჯიდნენ“. რომ თავი ეხსნათ „რუსეთის თვითმპყრობელი ნეფის შურისძიებისაგან“ კაზაკობა ერმაკის მეთაურობით იძულებული გახდა მიეტოვებინა დონის მიწები და შეეება უცხო ადგილებში ეძებნათ. და აი ერმაკი და მისი თანამებრძოლნი ციმბირში არიან. მათ მიზნად დაისახეს „კეთილშობილი საქმე“—განედევნათ ამ მიწებიდან „დამპყრობი კუჩუმის“ ურდოები. ერმაკი ამარცხებს კუჩუმს და იღებს მის დედაქალაქს. მას შემდეგ, რაც კაზაკებმა დაიმორჩილეს ციმბირის მიწების უდიდესი ნაწილი, მათ მოლაპარაკება გამართეს ივანე IV-სთან. „...მოლაპარაკებას აწარმოებდა ორი თანასწორუფლებიანი მხარე: ერთის მხრივ „კერძო პირები“, ყოფილი მეამბოხეები, რომლებიც „რუსეთის თვითმპყრობელი ნეფის შურისძიებას გაუბრძოდნენ“, ამჟამად კი თავიანთი გმირული ლაშქრობისა და პატრიოტული საქმის დიდებით შემკულნი,

<sup>1</sup> А. Н. Радищев, Избранные сочинения, Москва, 1952, стр. 486.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 486, 487.



ზოლო მეორეს მხრივ—ივანე მრისხანე. რადიშჩევი ხაზს უსვამს ამ თანასწორუფლებიანობას<sup>1</sup>. — წერს გ. მაკოგონენკო. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. ერმაკი მის მიერ დაბეჭდილი ყრობილი მიწებისა და იქ მცხოვრები ხალხების მმართველობა დარჩა. ასეთია რადიშჩევის ნაწარმოების „თქმულება ერმაკ-ზე“ მოკლე შინაარსი. მთავარი აზრი, რაც წითელი ხაზივით გასდევს მთელ ამ ნაწარმოებს, გამოიხატება იმაში, რომ რადიშჩევის აზრით, „ხალხი არა მარტო მოიპოვებს თავისუფლებას, არამედ შესძლებს მის აღდგენასაც, რაც მას ოდესღაც წაართვის“<sup>2</sup>.

თავის მხრივ ევგრაფ გრუზინოვი რომელიც სასამართლო პროცესზე კატეგორიულ უარს აცხადებს მისი, როგორც კაზაკის გასამართლების უფლებაზე მეფის მთავრობის სამხედრო თუ სამოქალაქო სასამართლოს მიერ<sup>3</sup>, დაჟინებით ატარებდა იმ აზრს, რომ დონის კაზაკობა, რომლის თვითმმართველობა წარსულში იყო განსახიერება თავისუფლებისა, ფაქტიურად დამოუკიდებელი იყო მეფის ხელისუფლებისაგან. კაზაკთა წარსული თვითმმართველობის იდეალიზაცია ჩვენ მოგვაგონებს შემდგომში რილეევის მიერ ძველ რუსეთში არსებული ვეჩეს რომანტიულ ფერებში ასახვას. ცნობილია აგრეთვე, რომ რილეევი, ოდოევსკი და სხვა დეკაბრისტი მწერლები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ეროვნულ ისტორიულ თემებს და საგმირო სიუჟეტებს რუსეთის ისტორიიდან, რათა მათი მეშვეობით გაეჩაღებინათ პროპაგანდა აზრთა თავისუფლებისათვის და გამოეყენებინათ ისინი თვით პირდაპირი მოწოდებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა სამშობლოს განთავისუფლებას თვითმპყრობელობის უღლისაგან. ეჭვს გარეშეა, რომ თვით ევგრაფ გრუზინოვი, როდესაც იგი იხსენიებდა ერმაკსა და კაზაკობას და ლაპარაკობდა მათი მეფის მთავრობის ხელისუფლებისა-

<sup>1</sup> А. Н. Радишев, Избранные сочинения, Москва, 1952, стр. XLIII.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525 л. 110 об.

გან დამოუკიდებლობის შესახებ, წარსულთან ერთად გულის-  
ხმობდა იმ მწვავე პოლიტიკურ საკითხებს, რომლებიც წამო-  
ჭრილი იყო თანამედროვე ისტორიული ვითარებით. აქვე უნდა  
აღვნიშნოთ, რომ ეს პერიოდი, მე-18 საუკუნის დამლევი, კერ-  
ძოდ დონის ისტორიაში აღინიშნება, როგორც მეფის მთავრო-  
ბის გაძლიერებული მისწრაფება, აქტიურად ჩაერიოს „დონის  
საქმეებში“. მზადდებოდა რიგი კანონპროექტებისა, რომელთა  
მთავარი მიზანი იყო შემოეღო დონზე ახალი მმართველობის  
სისტემა, მსგავსად გუბერნიებისა. ეს კი ნიშნავდა კაზაკობის  
საბოლოო დამორჩილებას თვითმპყრობელობის პოლიტიკურ-  
ბიუროკრატიული კონტროლისადმი. ამიტომ იყო, რომ დონის  
კაზაკთა ზოგიერთ წრეში, განსაკუთრებით მცირე რიცხოვან  
დონის ინტელიგენციაში, რომლებიც წვრილ მამულიან ან უმა-  
მულო „ჩინოვნიკთა“ კატეგორიას ეკუთვნოდნენ, უკვე აღაბა-  
რაყდნენ „კაზაკთა მიერ დაკარგულ თავისუფლებაზე“ და ოც-  
ნებობდნენ ეკატერინე მეორის დროს ლიკვიდირებულ კაზაკთა  
თვითმმართველობის აღდგენაზე. რასაკვირველია ეს აზრები  
შორს იდგნენ ჰეშმარიტი რევოლუციური არსისაგან, რადგან  
სინამდვილეში ასახავდნენ მხოლოდ კლასობრივ ინტერესებს  
კაზაკთა გარკვეული ფენისა. მაგრამ ის გარემოება, რომ კაზა-  
კობა ილაშქრებდა მეფის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ  
და მოითხოვდა ცარიზმის მიერ ლიკვიდირებულ კაზაკთა თავი-  
სუფლების აღდგენას, აახლოებდა მათ რუსეთის იმ მოწინავე  
ინტელიგენციის წრეებთან, რომლებიც იღწვოდნენ პოლიტი-  
კური გარდაქმნებისათვის მთელი რუსეთის მასშტაბით<sup>1</sup>.

ცხადია, ევგრაფ გრუზინოვი ითვალისწინებდა დონზე შექ-  
მნილ ასეთ ვითარებას, როგორც ხელისშემწყობ პირობას თა-  
ვისი მიზნების განსახორციელებლად. შემთხვევითი როდი იყო,  
რომ სწორედ დონის მიწებზე განიზრახა ევგრაფ გრუზინოვი  
მა 200 ათასიანი არმიის შექმნა და „ამბოხების“ დროშის აფ-  
რიალება.

<sup>1</sup> А. Фадеев, Декабристы на Дону и на Кавказе, Ростов-на-Дону, 1950.

მართალი აღმოჩნდა გენერალი ლივენი, როდესაც იგი პავლე I-ს ეუბნებოდა: თუ ჩვენ დონზე გავუშვებთ ევგრაფ გრუზინოვს, სადაც იგი თავის თავს თავისუფლად იგრძნობს, მას მიეცემა საშუალება გამოავლინოს მთელი თავისი თავგანთავსება ზრახვები თქვენს საწინააღმდეგოდ. ახლა გენერალ ლივენის სიტყვები. სწორედ დონის მიწებზე დასახა ევგრაფ გრუზინოვმა „მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ხალხთა საბედნიეროდ“ თავისი გეგმება, აქ ნახა გამოვლინება მთელი თავისი სიცხადით მისმა „მეამბოხე“ ბუნებამ, აქ ეძებდა იგი ნოყიერ ნიადაგს თავისი იდეალების განსახორციელებლად. და არც შემცდარა, რადგან რაზინის, ბულავინისა და პუგაჩოვის აჯანყებათა შემდეგ, როგორც გარდასულ ქარიშხალთა გამოძახილი. აჲ, დრო და დრო ხმას იმაღლებდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ წყნარი დონის შვილები. მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა მთელი სისასტიკით ახშობდა ამ გამოსვლებს, დონის მიწებზე მცხოვრებ კაზაკთა ფართო ფენები თავის გულში წინანდებურად ატარებდნენ სანუკვარ ოცნებას მცურისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

ახლა კი დავუბრუნდეთ სამხედრო სასამართლო პროცესის მსვლელობას. როგორც უკვე ნათქვამი იყო დეკანოზ ვოლოშენსკისა და გენერალ-ადიუტანტ კოჟინის პატაკები. მათი ევგრაფ გრუზინოვთან საუბრის შესახებ გადაეგზავნა სამხედრო სასამართლო კომისიას. გენერალ-ადიუტანტ კოჟინთან საუბრის დროს ევგრაფ გრუზინოვის მიერ ბორის კატლამინის დასახელებამ სამხედრო კომისიას საშუალება მისცა გრუზინოვის საქმესთან დაკავშირებით ახალი მოწმე დაეკითხა. 16 აგვისტოს ბორის კატლამინი დააპატიმრეს და იგი იმავე დღესვე წარსდგა სასამართლოს წინაშე.

ეს იყო 59 წლის მოხუცი, წარმოშობით პოლონელი. 1762 წლიდან იგი არმიაში იმყოფებოდა, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში და სხვა მრავალ ბრძოლაში, ხოლო 1800 წელს მას მაიორის ჩინით თავი დაუნებებია სამხედრო სამსახურისათვის და დასახლებულა სოფელ ელანჩიკში, რომელიც ჩერკასკიდან 150 კილომეტრით იყო დაშორებული. ბორის კა-

ტლამინი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. მას ცოდნია რუსული, თურქული, ბერძნული და კალმიკური ენები.

ბორის კატლამინის ჩვენებიდან გაირკვა, რომ იგი სწორედ ყოფილა გრუზინოვებთან ბინაზე. პირველად, როდესაც ევგრაფ გრუზინოვი პეტერბურგიდან ჩამოსულა, ე. ი. 1898 წელს, ხოლო მეორედ 1899 წლის დამლევს ევგრაფ გრუზინოვის ავადმყოფი მამის იოსებ გრუზინოვის სანახავად, რომელიც მისი დეიდაშვილი იყო. ევგრაფ გრუზინოვი მას არყით გამასპინძლებია, მაგრამ თვითონ არ დაუღევია, რადგანაც განუცხადებია რომ „საერთოდ არაყს არ სვამდა“. გრუზინოვებთან ყოფნის დროს ბორის კატლამინი შესწრებია მათ ნათესავს პოდპოლკოვნიკ აფანასიევს და უნტერ-ოფიცერს შაპოშნიკოვს. სამხედრო სასამართლო კომისიის წევრები შეეკითხნენ ბორის კატლამინს: ცნობილი იყო თუ არა მისთვის ევგრაფ გრუზინოვის მიერ „იმპერატორისა და სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ დასახული გეგმები“, ჰქონდა თუ არა მას კავშირი ევგრაფ გრუზინოვთან ამ საქმესთან დაკავშირებით? ამ კითხვებზე ბორის კატლამინმა უარყოფითად უპასუხა. მან განაცხადა, რომ ევგრაფ გრუზინოვის „საერთო სიმშვიდისა და წესრიგის დამრღვევი ზრახვების“ შესახებ მისთვის არაფერი არ იყო ცნობილი და რომ იგი თანამონაწილე არ ყოფილა ევგრაფ გრუზინოვის ზრახვებისა.

ბორის კატლამინის ჩვენებამ კიდევ ორი ახალი მოწმე წარაყენა სასამართლოს წინაშე. ესენი იყვნენ ევგრაფ გრუზინოვის ბიძა პოდპოლკოვნიკი აფანასიევი და შაპოშნიკოვი. სამხედრო სასამართლო კომისიამ ატამან ორლოვს გამოსთხოვა ნებართვა მათი დაკითხვისა. ატამანმა ორლოვმა არა მარტო დართო აფანასიევისა და შაპოშნიკოვის დაკითხვის ნებართვა, არამედ მისი სპეციალური ბრძანებით სამხედრო კომისიას უნდა „ეხმარა ყოველგვარი ღონე ბოროტმოქმედების გამოსააშკარავებლად და დაეკითხა ყველა ვისაც კი ის საჭიროდ ცნობდა“.

მაგრამ პოდპოლკოვნიკი აფანასიევი ჩერკასკში არ აღმოჩნდა და არც არავინ იცოდა თუ სად იყო იგი. აფანასიევმა, რო-

დესაც დააპატიმრეს ძმები გრუზინოვები, იმავე დღესვე დას-  
ტოვა ჩერკასკი. ვიდრე მის კვალს მიაგნებდნენ დააპატიმრეს  
შაპოშნიკოვი. შაპოშნიკოვი რამდენიმეჯერ ყოფილა გრუ-  
ზინოვებთან. „ამასთანავე — განაცხადა მან სასამარ-  
თლოს წინაშე — მე შევნიშნე, რომ გრუზინოვის უფ-  
როსი ვაჟიშვილი, პოლკოვნიკი, რომელიც ადრე მამასთან და  
ძმასთან ერთად ცხოვრობდა, 1800 წლის გაზაფხულიდან ცალ-  
კე ოთახში გადავიდა და ცხოვრობდა იქ განმარტობით. მე  
ორჯერ თუ სამჯერ მომიხდა მასთან შესვლა ტალკვესის გამო-  
სართმევად. და ვნახე რომ პოლკოვნიკი გართული იყო წიგ-  
ნების კითხვით, მაგრამ თუ რა წიგნებს კითხულობდა იგი, ეს  
მე არ ვიცი. მე მასთან არასოდეს მქონია საუბარი საერთო  
სიწყნარისა და სიმშვიდის დამრღვევ ზრახვებზე და მისგან  
არასოდეს გამიგია მისი იმპერატორის უდიდებულესობის შე-  
ურაცხმყოფელი სიტყვები. და თუ იგი რა ბოროტების ჩადე-  
ნას აპირებდა ან რას წერდა — ეს მე არ მინახავს და ამის შე-  
სახებ არაფრის თქმა არ შემიძლია“<sup>1</sup>.

„რადგანაც სამხედრო სასამართლოს კომისიამ — ნათქვა-  
მია საბრალმდებლო მასალებში, — მიუხედავად ყოველგვარი  
ცდისა და საშუალებისა ვერ შესძლო აეძულებინა ბოროტ-  
მოქმედი გრუზინოვი, რათა მას ეღიარებინა რაიმე დიდი მნიშ-  
ვნელობის მქონე თავის ზრახვებთან დაკავშირებით და მიეღო  
მისგან პასუხი, გადასწყვიტა დანარჩენ მოწმეებთან ერთად და-  
ეკითხა მამამისიც, პოდპოლკოვნიკი იოსებ გრუზინოვი“<sup>2</sup>. 17  
აგვისტოს იოსებ გრუზინოვი გამოიძახეს სასამართლოში. მაგ-  
რამ მისგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს, რადგან, როგორც  
სასამართლო კომისიას აცნობეს იოსებ გრუზინოვს პარალი-  
ჩის შემდეგ უკვე ორი წელი იქნებოდა წართმეული ჰქონდა  
ენა, მარჯვენა ფეხი და ხელი. კომისიის წევრებს ეჭვი შეეპა-  
რათ ხომ არ იგონებდა იოსებ გრუზინოვი ავადმყოფობას.  
ამიტომაც მათ დაავალეს ეჭიმებს იავოლინს და ვილერინგს გა-  
ესინჯათ იოსებ გრუზინოვი და ეცნობებიათ სასამართლოსათ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, д. 1800, № 525 2, лл. 279 об. 280.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 262.

ვის ავადმყოფის მდგომარეობა. ექიმებმა ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ მოახსენეს სასამართლო კომისიას, რომ იოსებ გრუზინოვს პარალიზის შემდეგ მართლა ჰქონდა წართმეული ლაპარაკის უნარი, და, რომ ყოველგვარი ცდა მიეღოთ მისგან რაიმე პასუხი უნაყოფო იქნებოდა.

ევგრაფ გრუზინოვის ბიძამ, ილია გრუზინოვმა, სასამართლოზე განაცხადა, რომ მან ევგრაფ გრუზინოვის ზრახვებისა და მისი საქმის თანამონაწილეობის შესახებ არაფერი იცოდა, და, რომ მას ევგრაფ გრუზინოვისაგან „მისი იმპერატორის უდიდებულესობის საძრახი სიტყვები არ გაუგონია“.

ხოლო, როდესაც სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ევგრაფ გრუზინოვის ნაცნობი კაზაკები კასმანინი, პოპოვი და კოლესნიკოვი, მათი ჩვენებიდან გაირკვა, რომ ევგრაფ გრუზინოვს ამ კაზაკების თანდასწრებით წარმოუთქვამს „მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელი სიტყვები“ და მოუხსენიებია პუგაჩოვი, ფოკა და რუბცოვი, როგორც „სამშობლოს კეთილდღეობისათვის“ დაღუპული ადამიანები. ევგრაფ გრუზინოვის მიერ „წარმოთქმული სიტყვები — განაცხადა კაზაკმა კასმანინმა, — თუმცა, მე მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, მაგრამ მათ შესახებ არაფერი მითქვამს და არსად არ გამიცხადებია. ხოლო იმავე ღამეს, ჩერკასკიდან გამგზავრების შემდეგ, სოფელ ოქსინოში შევხვდი მის ნათესავს ესაულ რუბაკინს და ყველაფერი ეს მოვუყევი მხოლოდ მას. მაგრამ მან მითხრა, რომ მე ამის შესახებ არაფერი მეთქვა, რადგან შესაძლოა გრუზინოვმა თავის ნათქვამზე უარი განაცხადოს, ხოლო თქვენ ციხეში ამოჰყოფთ თავსო“<sup>1</sup>.

გრუზინოვთა სიძემ ესაულმა ნიკოლოზ რუბაშკინმა ევგრაფ გრუზინოვის წინააღმდეგ არავითარი ჩვენება არ მისცა და არც კაზაკ კასმანინის სიტყვები დაადასტურა.

როგორც ნათქვამი იყო ევგრაფ გრუზინოვის სამხედრო სასამართლო პროცესის პარალელურად პეტრე გრუზინოვის სასამართლო პროცესიც მიმდინარეობდა, მაგრამ, სამხედრო სასამართლო კომისიამ, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც პეტრე გრუზინოვის დაკითხვას დასჭირდა მისი უფროსი

<sup>1</sup> ЦИАЛ, ф. 1345, оп. 1345, л. 1800, № 525, л. 320 об.

ძმის ევგრაფ გრუზინოვის საქმესთან დაკავშირებით, პეტრე გრუზინოვისაგან ვერაფერის გაგება ვერ შესძლო. სამხედრო სასამართლოს კომისიის წევრების მიერ მიცემულ კითხვებზე იგი მხოლოდ პასუხობდა, რომ მას, თავისი ძმის ევგრაფ გრუზინოვისაგან არასოდეს არ გაუგია „იმპერატორის შეურაცხყოფელი სიტყვები“, და, რომ ევგრაფ გრუზინოვის „საერთო სიმშვიდისა და სიწყნარის დამრღვევი ზრახვების შესახებ მას საერთოდ არაფერი არ სმენია“.

ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამოძიება ბოლოს უახლოვდებოდა. დასაკითხავი დარჩა, მხოლოდ, აფანასიევი. როდესაც მის კვალს მიაგნეს, აღმოჩნდა, რომ იგი „სრულ ჭკუაზე არ იყო“. აფანასიევის მდგომარეობის შესამოწმებლად სამხედრო სასამართლომ სამედიცინო კომისია მოიწვია და ამის შესახებ აცნობა ატამან ორლოვს. იმავე დღეს, 27 აგვისტოს, სამხედრო სასამართლო კომისიამ მიიღო ორლოვის განკარგულება, რომლის მიხედვითაც კომისიას დაუყოვნებლივ უნდა დაემთავრებინა ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამოძიება და შეედგინა სენტენცია. 28 აგვისტოს სამედიცინო კომისიამ მოახსენა სასამართლოს, რომ აფანასიევი „გონს მოვიდა“ და შესაძლებელი ხდებოდა მისი დაკითხვა. მაგრამ, ჯერ კიდევ აფანასიევის დაკითხვამდე ევგრაფ გრუზინოვის ბედი პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო. მეფის მთავრობა ისე ჩქარობდა „ძმები გრუზინოვების საქმის“ დამთავრებას, რომ მას არც კი მოუცდია სამხედრო სასამართლო კომისიის მიერ ამ საქმეზე სენტენციის შედგენისათვის. როგორც ვიცით, ძმები გრუზინოვების საქმეზე სამხედრო სასამართლო კომისიას სენტენცია უნდა შეედგინა 27 აგვისტოს. ხოლო, უკვე 26 აგვისტოს იმპერატორ პავლე I-ის ხელმოწერით გამოვიდა განკარგულება, რომელშიც ნათქვამი იყო: „გბრძანებ, ჩვენი და სახელმწიფოს ღალატისათვის სამსახურიდან დათხოვნილ პოლკოვნიკ გრუზინოვს ჩამოერთვას ჩინები და აზნაურობა და დაისაჯოს შეუბრალებლად მათრახებით, მისი მამულები კი გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ЦГАДА, Госархив, разряд VII, д. 3501, л. 2.

აღსანიშნავია, რომ იმ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც სენატი უსჯიდა ყოფილ აზნაურებს გაჯობვას არა პოლიტიკური დანაშაულისათვის, თვით დეზერტირობისათვისაც კი პავლე ჩვეულებრივ ბრძანებას გაჯობვის შესახებ უსჯიდა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ „ძმები გრუზინოვების საქმე“ იყო გამოვლინება სწორედ იმ „რევოლუციურთა სენისა“ და „იაკობინელობისა“, რომლის აღსაკვეთად ასეთ თავგამოდებით „იღწვოდა“ პავლე I.

1800 წლის 4 სექტემბერს სამხედრო სასამართლომ პოდპოლკოვნიკ აფანასიევის დაკითხვის შემდეგ, რომელმაც აღიარა, რომ ევგრაფ გრუზინოვი მისი თანდასწრებით „შეურაცხმყოფელი სიტყვებით იხსენიებდა იმპერატორს“, შეადგინა სენტენცია „გრუზინოვთა საქმეზე“. სენტენციაში მოყვანილი იყო სამხედრო კოდექსის ის მუხლები, რომლის მიხედვითაც გამოტანილ იქნა საბრალმდებლო განაჩენი ევგრაფ გრუზინოვისათვის, პეტრე გრუზინოვისათვის, კაზაკებისათვის: აფანასიევისათვის, ჰოპოვისათვის, კოლესნიკოვისათვის. სამხედრო კოდექსის მე-19 მუხლში ნათქვამი იყო: „თუ ქვეშევრდომი ჯარებს ამხედრებს, იარაღს გამოიყენებს მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ, ან განიზრახავს აღნიშნული უდიდებულესობის დაპატიმრებას ან მოკვლას, ან მის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, მაშინ იგი და ყველა ის, ვინც მას ამაში ეხმარებოდა ან რჩევას აძლევდა, როგორც იმპერატორის შეურაცხყოფის მიმყენებლები დასჯილ იქნენ ოთხად დაჩეხვით და ქონება ჩამოერთვათ“<sup>2</sup>

საზღვაო კოდექსის მე-5 წიგნის პირველ პუნქტში ნათქვამი იყო: „ვისაც ეცოდინება ეს მნიშვნელოვანი ამბავი ან ამას სხვისგან გაიგებს და მიუხედავად იმისა რომ შესაძლებლობა ჰქონდა ამის დამტკიცებისა, მაინც არ განაცხადებს, მხოლოდ შემდეგ თუ მხილებული იქნა, რომ მან ასეთი მნიშვნელოვანი ამბავი იცოდა და დამამტკიცებელი საბუთებიც გააჩნდა, მაგრამ მაინც არსად არაფერი არ განაცხადა და თუნ-

<sup>1</sup> Г. Окунь, история СССР, Ленинград, 1947, стр 20.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 26 об.



დაც განაცხადა, მაგრამ დაგვიანებით... ასეთი ხალხი დაისჯოს შეუბრალებლად სიკვდილით“<sup>1</sup>.

თანახმად სამხედრო კოდექსის მე-19 მუხლისა „სამხედრო სასამართლო კომისიამ მიუსაჯა გრუზინოვს ყველა ჩინის, აზნაურობის, პატენტების, ორდენების ჩამორთმევა და სიკვდილით დასჯა, სახელდობრ, ოთხად დაჩეხვით.“ ზოლო პეტრე გრუზინოვს, აფანასიევს, კასმანინს, პოპოვს და კოლესნიკოვს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, სახელდობრ, თავების მოკვეთით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია მკითხველის სამართლიან განცვიფრებას გამოიწვევს ლობანოვ-როსტოვსკის სიტყვები, რომლითაც იგი ამთავრებს ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“ დაბეჭდილ წერილს გრუზინოვთა შესახებ. ლობანოვ-როსტოვსკი წერდა: „ამრიგად, სასამართლოს საქმეებიდან არ ჩანს არც სამხედრო სასამართლო კომისიის მიერ გამოტანილი განაჩენი და არც მოტივები განაჩენის გამოსატანად. ბრალდებულს აგრეთვე არ უღიარებია მისთვის ბრალდებად წაყენებული დანაშაული გარდა იმისა, რომ იგი ლანძღავდა იმპერატორს“<sup>2</sup>. ლობანოვ-როსტოვსკის, რომელიც ამ სტრიქონების წერის დროს ეყრდნობოდა გრუზინოვთა საქმის გამრჩევი სამხედრო სასამართლოს მასალებს, ალბათ, „შემთხვევით“ მხედველობიდან გამორჩენია ამავე მასალებში დაცული ერთ-ერთი საბუთი და ამიტომაც ასეთ დასკვნამდე მისულა. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, თუ რა ეწერა ამ საბუთში. მასში ნათქვამია: „სამხედრო სასამართლო კომისიამ, რომელიც თავის გადაწყვეტილებაში გამომდინარეობდა იმ ფაქტორიდან, რომ გრუზინოვმა მის მიმართ ბრალდებად წაყენებული უმნიშვნელოვანესი დანაშაული პირადად აღიარა, თუმცა თეთრად გადაწერილ პასუხებზე მან თავისი სიჯიუტის გამო ხელი არ მოაწერა... მიუსაჯა მას, გრუზინოვს ყველა ჩინების, აზნაურობის, პატენტების, ორდენების ჩამორთმევა და სიკვ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, д. 525, л. 312 об.

<sup>2</sup> Русская старина, 1878, стр. 262.

დილით დასჯა ოთხად დაჩეხვით. მისთვის ნაბოძები თათის სული  
გლახი კი მოსკოვისა და ტამბოვის გუბერნიებში ჩამოერთვას  
მას და გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას<sup>1</sup> ასეთი იყო სამხედრო  
სასამართლო კომისიის მიერ ევგრაფ გრუზინოვისათვის გამო-  
ტანილი ის განაჩენი, რომელიც ლობანოვ-როსტოვსკის თქმით  
„არ ჩანდა სასამართლოს საქმეებიდან“. ხოლო რაც შეეხება  
ლობანოვ-როსტოვსკის სიტყვებს „ბრალდებულს არ უღიარე-  
ბია მისთვის ბრალდებად წაყენებული დანაშაული და რომ  
„სასამართლოს საქმეებიდან არ ჩანს... მოტივები განაჩენის  
გამოსატანად“, ამასთან უნდა ითქვას, რომ მისი ასეთი  
განცხადებაც ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ჯერ ერ-  
თი ჩვენ მიერ ციტირებული საბუთიდან ჩანს, რომ ევგრაფ  
გრუზინოვს „პირადად უღიარებია მის მიმართ ბრალდებად  
წაყენებული უმნიშვნელოვანესი დანაშაული“. გარდა ამისა  
ეტყობა, ლობანოვ-როსტოვსკის „ყურადღება არ მიუქცევია“,  
აგრეთვე, სამხედრო სასამართლოს საქმეებში დაცული შემდე-  
გი საბუთისათვის, რომელშიაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ  
ევგრაფ გრუზინოვს სამხედრო სასამართლო კომისიის წევრე-  
ბისათვის აშკარად და უშიშრად განუცხადებია: „რაც შეეხება  
ჩემი დაპატიმრების და ბინის გაჩხრეკის დროს ნახულ ხელნა-  
წერებში მოცემულ ზრახვებს, ეს ჩემი საკუთარი ხელით არის  
ნაწერი 1800 წლის დიდ მარხვას და თავის დროზე მე ვფიქ-  
რობდი ყოველივე ამის სისრულეში მოყვანას“. ამ ხელნაწე-  
რებში კი მოცემული „საერთო სიმშვიდისა და წესრიგის დამ-  
რღვევი ზრახვები“, როგორც ვიცით, ერთ-ერთ ძირითად  
ბრალდებად წარუყენეს ევგრაფ გრუზინოვს. ამის შემდეგ  
თვით მკითხველმა იმსჯელოს, თუ რამდენად სწორი იყო ლო-  
ბანოვ-როსტოვსკი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ  
ლობანოვ-როსტოვსკის მიერ ისტორიულ დოკუმენტებზე დაყ-  
რდნობით ზემოთ მოყვანილი დასკვნის გაკეთება შედეგი იყო  
მის მხრივ გრუზინოვის საბრალდებო მასალების „ზერეულე  
შესწავლისა“. შემთხვევით როდი წერდა ლობანოვ-როსტოვ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 11 об.

სკი, რომ ევგრაფ გრუზინოვისათვის განაჩენის გამოსატანად სამხედრო სასამართლოს მასალებიდან არ ჩანდა საამისო მოტივები, ან, რომ ევგრაფ გრუზინოვს არ უღიარებია მისთვის ბრალად წაყენებული დანაშაული, გარდა იმისა, რომ იგი ლანძღავდა იმპერატორს. ამ სტრიქონების წერის დროს ლობანოვ-როსტოვსკი, რასაკვირველია, მსგავსად ა. კარასევისა, რომელიც ევგრაფ გრუზინოვის მიერ „დასახულ გეგმებს“ „არ არსებულ ზრახვებს“ უწოდებდა, გარკვეულ მიზანს ისახავდა. რაში გამოიხატებოდა ეს მიზანი. ეს ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ დეკაბრისტების სასამართლო პროცესის მსვლელობას და მათი საბრალდებო მასალების ზოგიერთ სპეციფიურ მხარეს. მეფის მთავრობა, რომელიც ამზადებდა სასამართლო პროცესს დეკაბრისტების გასასამართლებლად, ცხადია მიზნად არ ისახავდა დეკაბრისტების მოძრაობის იდეოლოგიის სრულ და ჭეშმარიტ გამოვლინებას, არამედ პირიქით: დაინტერესებული იყო ამ იდეოლოგიის მიჩქმალვაში და დამახინჯებაში. ნიკოლოზ I-ის ბრძანებით საბრალდებო მასალებიდან ამოღებულ იქნა ყოველგვარი ცნობა რომელშიაც კი ლაპარაკი იყო საერთოდ დეკაბრისტების გეგმებზე თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის მოსპობის შესახებ. გამოძიება ძირითადადში მიმდინარეობდა ისე, რომ მთელი ყურადღება გამახვილებული ყოფილიყო დეკაბრისტების იმ ბრალდებაზე, რაც მხოლოდ „მეფის მოკვლის განზრახვაში“ გამოიხატებოდა“ და რომ საერთოდ მიჩქმალული ყოფილიყო ისტორიული მნიშვნელობა დეკაბრისტთა რევოლუციური მოღვაწეობისა<sup>1</sup>.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს ჩვენ საქმე, როდესაც ვეხილავთ გრუზინოვის საქმის გამრჩევი სასამართლოს მიერ შედგენილ საბრალდებო მასალებს. თუმცა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამხედრო სასამართლო კომისიის წევრები ევგრაფ გრუზინოვის გასამართლების დროს მოითხოვდნენ მისგან, რომ „ევგრაფ გრუზინოვს განემარტა“ მის ხელნაწერებ-

<sup>1</sup> Восстание декабристов, материалы, т. IX, Госполитиздат, 1950, стр. 9.

ში მოცემული „იმპერატორისა და საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ მიმართული ზრახვები, გამოევიდა მათი განხორციელების გზები“, მიუხედავად ამისა, სამხედრო-სასამართლო კომისიის მიერ შედგენილ სენტენციაში გვერდი ჰქონდა ავლილი ევგრაფ გრუზინოვის ძირითად პოლიტიკურ შეხედულებებს: არსებული წყობილების დამხობა, მომავალი თავისუფალი საზოგადოების შექმნა, სადაც კანონმდებელი სახალხო სენატი იქნებოდა, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, განურჩევლად მათი ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ერთი სიტყვით მიჩქმალული იყო „გრუზინოვის საქმის“ ობიექტურ-ისტორიული მნიშვნელობა და წინა პლანზე წამოყენებული იყო ევგრაფ გრუზინოვის ის დანაშაული, რაც გამოიხატებოდა გრუზინოვის მხრივ „მისი იმპერატორის უდიდებულესობის პავლე I-ის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმაში“.

ევგრაფ გრუზინოვის საქმის სწორედ ასეთ ასპექტში წარმოსახვას ცდილობდა ა. კარასევი, როდესაც იგი ჟურნალ „რუსკაია სტარინას“ ფურცლებზე ასე „თავგამოდებით იცავდა უდანაშაულო“ ევგრაფ გრუზინოვს და მის შესახებ წერდა, რომ მას „არავითარი ზრახვები არ გააჩნდა“. ასეთივე მოსაზრება ამოქმედებდა ლობანოვ-როსტოვსკის, როდესაც იგი ასე გადაჭრით აცხადებდა, რომ „არ არსებობს მოტივები ევგრაფ გრუზინოვისათვის განაჩენის გამოსატანად და რომ ევგრაფ გრუზინოვს მისთვის ბრალდებად წაყენებული დანაშაული არ უღიარებია, გარდა იმისა, რომ იგი ლანძღავდა იმპერატორს“.

ამრიგად, ერთის მხრივ გამოეყვანათ ევგრაფ გრუზინოვი, როგორც ძირითადად „იმპერატორის ლანძღვისათვის“ სასამართლოს წინაშე წარმდგარი ადამიანი, ადამიანი, რომელსაც „ცილისწამებით“ თავზე მოახვიეს რაღაც „არარსებული ზრახვები“, ხოლო მეორეს მხრივ ყოველმხრივ მიეჩქმალათ ევგრაფ გრუზინოვის იდეოლოგია და დაეფარათ მისი პოლიტიკური შეხედულებანი — აი რაში იყვნენ დაინტერესებულნი როგორც ლობანოვ-როსტოვსკი ისე კარასევი. აი რა მიზანს ისა-

წავდნენ ისინი, როდესაც აქვეყნებდნენ თავიანთ წერილებს გრუზინოვთა შესახებ იმდროინდელ რუსეთის პრესაში.

8.

როგორც ნათქვამი იყო, ევგრაფ გრუზინოვი დასაჯეს 1800 წლის 5 სექტემბერს, ჩერკასკში, ბაზრის მოედანზე<sup>1</sup>. ეკსტრემის დაწყებამდე პოლიციელები დააქროლებდნენ ცხენებს ჩერკასკის ქუჩებში და ძალით ერეკებოდნენ მოსახლეობას, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ამ საშინელ სანახაობაზე დასასწრებად. მოედნის შუაგულში აღმართული იყო ეშაფოტი. ეშაფოტის გარშემო იდგა ოთხი გატენილი ზარბაზანი, რომელთა ლულები ხალხისკენ იყრ მიმართული. ზარბაზნების გვერდით ჩამწკრივებულიყვნენ ბომბარდირები ხელში ანთებული პატრუქებით. მოედნის განაპირას მდგარ პეტრე-პავლეს სამრეკლოს მახლობლად მოჩანდა საპარადოდ გამოწყობილი ოფიცერთა ჯგუფი. მათ შორის იყვნენ ატამანი ორლოვი, გენერალ-ადიუტანტი კოჟინი, კავალერიის გენერალი რეპინი. მათგან ცოტათი მოშორებით ბრძანების მოლოდინში გაშეშებულიყო პოლიცმეისტერი. მოედანი გარშემორტყმული იყო ჯარის ნაწილებით. და აი, ატამანმა ორლოვმა ანიშნა პოლიცმეისტერს. იგი სწრაფი ნაბიჯით გაემართა პეტრე-პავლეს სამრეკლოსაკენ. მოედანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. განვლო რამდენიმე წუთმა და პოლიცმეისტერი ისევ გამოჩნდა. მის უკან კი ამაყად, მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა ხელ-ფეხში ბორკილ გაყრილი ევგრაფ გრუზინოვი. მას ორივე მხრივ მოსდევდა ოთხი კაზაკი გაშიშვლებული ხმლებით. გრუზინოვმა უშიშრად შეხედა მის წინ აღმართულ ეშაფოტს და ავიდა მასზე. მოედანზე დრტვინვა გაისმა. ოფიცერთა ჯგუფს გამოეყო აუდიტორი იუდინი და ხმამაღლა დაიწყო განაჩენის კითხვა. განაჩენის წაკითხვის შემდეგ ევგრაფ გრუზინოვს შეხსნეს ბორკილები, შემოაგლიჯეს ზედა ტანისამოსი,

<sup>1</sup> ევგრაფ გრუზინოვის, პეტრე გრუზინოვის და კახაკების აფანასიევის, კასმანინის, პობოვისა და კოლესნიკოვის დასჯის სურათი აღწერილია ჟურნალებში: «Русская старина», «Русское обозрение» და «Донские войсковые ведомости», გამოქვეყნებულ ცნობებზე დაყრდნობით.

თავზე გადაამტვრის ხმალი და პირქვე, ტყავის თასმებით, მი-  
აკრეს ეშაფოტს. ატამანმა ორლოვმა თეთრი ცხვირსახოცით  
მისცა ნიშანი და ჯალათიც შეუდგა თავის საქმეს. ხარის ძარ-  
ღვებისაგან დაწნული მათრახის კვალი წითელ ზოლად დააჩ-  
ნდა გრუზინოვის ზურგს, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ  
მრავალი სისხლიანი ზოლით დაისერა. გრუზინოვს ფერდებზე  
და წელზე სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა. განვლო კარგა  
ხანმა და ძალღონე გამოლეულმა ჯალათმა ხელი უშვა მათრახს.  
იგი მეორემ შეცვალა. ახლა გრუზინოვის ზურგი უკვე უფორ-  
მო, ათქვეფილი სისხლიანი ხორცის მასას წარმოადგენდა. აღ-  
ბათ, ასეთი სურათის ყურებას ვერ გაუძლო მეორე ჯალათმა,  
რადგან იგი შეტორტმანდა და მათრახი ხელიდან გააგდო. იქ-  
ვე მდგარმა პოლიციელმა აიღო ძირს დაგდებული მათრახი და  
ხელმეორედ მიაწოდა ჯალათს. მაგრამ მან თვალეზზე ხელი  
მიიფარა და ბარბაცით გაშორდა ეშაფოტს. მისი ადგილი ახლა  
მესამე ჯალათმა დაიკავა. და როდესაც მან, ღონე გამოცლილ-  
მა, მათრახი ძირს დაუშვა, უკვე სხვა ველარავინ ნახეს, რომ  
ეს საშინელი საქმე დაემთავრებინა. იძულებული გახდნენ შე-  
ეწყვიტათ გრუზინოვის მათრახებით დასჯა. იგი ახსნეს ეშა-  
ფოტიდან, მარწუხებით დააგლიჯეს ნესტოები და გავარვარე-  
ბული შანთით შუბლზე და ლოყაზე დაღი დაასვეს. ეს შემზა-  
რავი ეგზეკუცია დაიწყო მზის ამოსვლისას და გრძელდებოდა  
ღღის ორ საათამდის. მთელი ამ დროის განმავლობაში ეგვრად  
გრუზინოვს გრძნობა არ დაუკარგავს და მონანიების ერთი  
სიტყვაც არ წამოსცდენია.

მაგრამ ეგზეკუციის საბოლოო მიზანი იყო ეგვრად გრუ-  
ზინოვის არა მარტო მათრახებით დასჯა, არამედ მისი ფიზი-  
კური მოსპობა. ამიტომ იყო, რომ იგი ისევ შეიყვანეს პეტრე-  
პავლეს სამრეკვლოში, დასვეს ხის კასრზე და ზურგი არაყით  
მოხანეს. გრუზინოვმა წყალი მოითხოვა. გენერალმა კოყინმა  
გასცა ბრძანება, რომ მისთვის რაც შეიძლება ცივი წყალი მო-  
ეტანათ. გრუზინოვს მიაწოდეს წყლით სავსე თასი, რომელ-  
შიაც ყინული ეგდო. მან ხარბად შესვა წყალი და უცებ თასი  
ხელიდან გაუვარდა. გენერალი კოყინი. მას მხარში შეუდგა

მან შეამჩნია, რომ გრუზინოვი თავს ვეღარ იკავებდა. პოლიციელებმა მიწაზე გაშალეს რაღაც ჭუჭყიანი ძონძები და ზედ დააწვინეს გრუზინოვი. დაიწყო აგონია. არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ სისხლშიმოსვრილმა პოლკოვნიკმა ევგრაფ გრუზინოვმა სამუდამოდ დახუჭა თვალები.

გენერალ-ადიუტანტი კოჟინი ექიმი არ იყო, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ასეთ შემთხვევაში ცივ წყალს თამამად შეეძლო შეეცვალა ყველაზე უფრო დახელოვნებული ჯალათიც კი თავის მოვალეობის შესრულებაში.

ევგრაფ გრუზინოვის სიკვდილით დასჯის შემდეგ განვლო ოცდამეცხრე და ამავე მოედანზე ისევ აღმართეს ეშაფოტი. ისევ მოჰყარეს ჩერკასკის მოსახლეობა მოედანზე. ისევ იცავდა მოედანს ჯარის ნაწილები და არტილერია. ეშაფოტზე მდუმარედ იდგა ჯალათი თავისი საბედისწერო ნაჯახით. უცებ ხალხში უჩვეულო მოძრაობა შეიქნა. ისინი თავზარდაცემული შეჰყურებდნენ შავ კატაფალკას, რომლითაც მოედანზე ბრალდებულები მოიყვანეს. ესენი იყვნენ კაზაკები აფანასიევი, კასმანინი, პოპოვი და კოლესნიკოვი. მათ წაუკითხეს განაჩენი. აფრიალდა თეთრი ცხვირსახოცი და ჯალათმა მათ ოთხივეს ერთი მეორის მიყოლებით მოჰკვეთა თავები. სიკვდილით დასჯილთა გვამები ჩაფლეს იქვე ეშაფოტთან ამოთხრილ ორმოებში და მიწა მიაყარეს.

1800 წლის 27 ოქტომბერს კი ჯალათის წინაშე წარსდგა უკანასკნელი ბრალდებული პეტრე გრუზინოვი. მათრახებით ცემის შემდეგ, მას ისევე როგორც მის უფროს ძმას ევგრაფ გრუზინოვს, მარწუხებით დააგლიჯეს ნიჭიერი და ვაგარბარებელი შანთით შუბლზე და ლოყაზე დაღი დაასვეს. პეტრე გრუზინოვი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული იყო, რომ XIX ს. დამლევის რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ მასალებში გრუზინოვთა შესახებ იყო ცდა სავსებით დაემახინჯებინათ ისტორიული სინამდვილე და არასწორი გაშუქება მიეცათ გრუზინოვთა საქმისათვის. კერძოდ, ჩერკასკის მოედანზე მომხდარი ეგზეკუციის შესახებ ლობანოვ-როსტოვსკი წერდა, რომ ძმები გრუზინო-

ნოვები სიკვდილით დასაჯეს წინააღმდეგ პავლე I-ის ნება-სურვილისა<sup>1</sup>. და თუ ეს ასე არ იყო, აღნიშნავს მეორე ავტორი ა. კარასევი, მაშ რით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტობრივად გრუზინოვთა სიკვდილით დასჯის ცნობის მიღების შემდეგ გენერლები რეპინი და კოჟინი სასამართლოში იქნენ მიცემული, რიგორც იმპერატორ პავლე I-ის განკარგულების დამრღვევნი<sup>2</sup>. ჯერ ერთი ჩვენ მიერ არქივებში ნახულ საბუთებში არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ გენერალი კოჟინი პასუხისგებაში ყოფილიყოს მიცემული. ხოლო რაც შეეხება გენერალ რეპინს, მის შესახებ მართლაც არსებობს პავლე I-ის მიერ სენატისადმი 1800 წლის 13 ოქტომბერს გაცემული განკარგულება. აი რა არის ნათქვამი მასში: „კავალერიის გენერალი რეპინი დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან პატენტების ჩამორთმევით დონზე მის მიერ სასიკვდილო განაჩენის სისრულეში შოყვანისათვის... და ვუბრძანებ სენატს გაასამართლოს რეპინი სისხლის სამართლის კოდექსით“<sup>3</sup>.

ერთი შეხედვით მართლაც ისე ჩანს, თითქოს გენერალი რეპინი დაითხოვეს სამსახურიდან პატენტების ჩამორთმევით იმის გამო, რომ მან ფიზიკურად მოსპო ევგრაფ გრუზინოვი, მაშინ, როდესაც პავლე I-ის განკარგულებაში მხოლოდ ნათქვამი იყო „...პოლკოვნიკი გრუზინოვი შეუბრალებლად დაისაჯოს მათრახებით“. მაგრამ მივყვით ფაქტებს და ჩვენთვის ცხადი გახდება თუ რამდენად პავლე I-ისა და საიდუმლო ექსპედიციის ნების წინააღმდეგ იქნა ჩადენილი ეს საქმე. თუ ჩვენ გავიხსენებთ ძმები ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების დასჯისა და გენერალ რეპინის სამსახურიდან მოხსნის თარიღებს და მათ ერთიმეორეს დაგუპირისპირებთ, ამ შემთხვევაში ერთი გარემოება ნიშნავს ჩვენს ყურადღებას. ჩვენ ვიცით, რომ ევგრაფ გრუზინოვი სიკვდილით დასაჯეს 1800 წელს 5 სექტემბერს. ვითომდა ამ ევგრაფის გამო გენერა-

<sup>1</sup> Русская старина, 1878, стр. 263.

<sup>2</sup> Русская старина, 1873, стр. 574.

<sup>3</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 1.



ლი რეპინი პასუხისგებაში იქნა მიცემული 1800 წელს 13 ოქტომბრის განკარგულებით. და თუ მართლაც გენერალ რეპინის დასჯის მიზეზი ევგრაფ გრუზინოვის ფიზიკურად მოსპობა იყო, მაშინ, რატომღა უნდა განმეორებულყო ჩერკასკში ასეთივე საშინელი ეგზეკუცია უკვე 1800 წლის 27 ოქტომბერს გენერალ რეპინის პასუხისგებაში მიცემიდან 14 დღის შემდეგ, როდესაც ჯალათის წინაშე წარსდგა სიკვდილით დასჯილ პოლკოვნიკ ევგრაფ გრუზინოვის უმცროსი ძმა პოდპოლკოვნიკი პეტრე გრუზინოვი? ევგრაფ გრუზინოვის დასჯის დღიდან 1800 წლის 27 ოქტომბრამდე უკვე გასული იყო 50 დღე, ხოლო გენერალ რეპინის პასუხისგებაში მიცემის დღიდან, 14 დღე. თუ ძმები გრუზინოვების მათრახებით ცემით მოკვლა პავლე I-ის განზრახვას ეწინააღმდეგება, მაშინ მას ხომ ადვილად შეეძლო ამ დროის განმავლობაში მიეწვდინა თავისი „მოწყალების ხმა“ ჩერკასკში სამხედრო სასამართლოსათვის და გადაერჩინა პეტრე გრუზინოვი. პავლესათვის ევგრაფ გრუზინოვის სიკვდილით დასჯის ამბავი უკვე 10 სექტემბრისთვის იქნებოდა ცნობილი<sup>1</sup> (ფელდგერის მგზავრობას პეტერბურგიდან ჩერკასკამდე მაქსიმუმ 5—6 დღე უნდებოდა).

ვითომდა ევგრაფ გრუზინოვის მოკვლისათვის იქნა დასჯილი გენერალი რეპინი?.. თუ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვას, რომ გენერალმა რეპინმა პავლე I-ის რისხვა დაიმსახურა არა ევგრაფ გრუზინოვის დასჯისათვის, არამედ იმატომ, რომ მან იმავე დღეს ევგრაფ გრუზინოვთან ერთად სული არ ამოხადა მის უმცროს ძმას პეტრე გრუზინოვსაც. პავლე I სჯიდა რა გენერალ რეპინს, ცხადია მოქმედებდა შემდეგი ცნობილი რეცეპტით: „მავრმა შეასრულა თავისი საქმე, მავრი უკვე ზედმეტია“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ЦТИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. № 525, л. 94.

<sup>2</sup> მოგვეყავს ცნობა გენერალ რეპინის შესახებ.

გრუზინოვთა საქმის ამ „გმირის“ კარიერა ყურადღების ღირსია. გენერალ რეპინის მთელი სამსახურბერივი გზა გამოირჩეოდა სიჭრელითა და მოულოდნელობებით, ცხადია ამ კაცს იყენებდნენ მხოლოდ „საჭიროების მიხედვით“. აი მისი პერიპეტეიები:

ძმები გრუზინოვების ფიზიკურად მოსპობა, რომ პავლე I-ის და საიდუმლო ექსპედიციის წინასწარ განზრახულ და ფარულ მიზანს წარმოადგენდა, ამას ნაწილობრივ მოწმობს გენერალ-პროკურორის პ. ობოლიანინოვის მიერ ჯერ კიდევ 1600 წ. 26 აგვისტოს ჩერკასკში გაგზავნილი წერილი ატამან-ორლოვისა და გენერალ რეპინის სახელზე. ამ წერილით გენერალ-პროკურორი ობოლიანინოვი მოითხოვს ევგრაფ გრუზინოვის დასჯის შესახებ პავლე I-ის განკარგულების დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანას და „თუ იგი (ე. ი. ევგრაფ გრუზინოვი — ო. გ.) — ნათქვამია წერილში, დასჯის შემდეგ ცოც-

ი. რეპინი დაიბადა 1750 წელს. იგი მონაწილეობდა რუსეთის ესკადრის საბრძოლო ოპერაციებში ხმელთაშუა ზღვაში (1772 წ.), როგორც პრეტორაქენსკის პოლკის რიგითი ჯარისკაცი. 1773 წელს იღებს სერჟანტობას. 774 წ. იბრძვის პუგაჩოვის წინააღმდეგ და ხდება კაპიტანი. 1785 წელს დათხოვნილ იქნა სამსახურიდან სეკუნდ-მაიორის ჩინით. შემდგომში ჩვენ რეპინს ვხვდავთ უკვე სამოქალაქო სამსახურში. იგი მუშაობს ჩინოვნიკად წყლის კომუნიკაციებზე მოსკოვსა და პეტერბურგს შორის. 1787 წელს იგი უბრუნდება არმიას პოლკოვნიკის ჩინით (კარაბინერთა პოლკი). 1789 წელს მონაწილეობს რუსეთ-შვედეთის ომში, 1794 წელს — პოლონეთის კამპანიაში, მაგრამ 1797 წლისათვის იგი ისევ მხოლოდ პოლკოვნიკია (ამჯერად კი პუსართა). მაგრამ იმავე 1797 წელს იგი დაითხოვს სამსახურიდან, თუმცა 1799 წლისათვის იგი უკვე გენერალ-ლეიტენანტობასაც კი იღებს. 1800 წელს მან კავალერიის გენერლის ჩინიც კი მიიღო. მაგრამ არ გაუვლია დიდხანს, რომ იგი ისევ დაითხოვს სამსახურიდან. 1800 წ. იენისში რეპინს ისევ კავალერიის გენერლის ჩინით გენერალ-ადიუტანტ-კოლეინთან ერთად გზავნიან დონზე გრუზინოვთა საქმის გასარჩევად. 1800 წ. 13 ოქტომბერს მას ისევ, უკვე მეოთხედ, ანთავისუფლებენ სამსახურიდან, ვითომდა გრუზინოვთა საქმის გამო (პავლე I-ის რეზოლუციით: „მიეცეს აბშიდი“)! მაგრამ... უნიშნავენ პენსიას 2000 მანეთის რაოდენობით. 1805 წელს მას ასაჩუქრებენ მიწის ნაკვეთით, რომელსაც „უკან უბრუნებს“ სახელმწიფო ხაზინას და ამისათვის იღებს 16000 მანეთს. 1807 წელს რეპინს ისევ აბრუნებენ სამხედრო სამსახურში, მაგრამ მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტის ჩინით. 1808 წელს მას ნიშნავენ ბაქოს კომენდანტად. 1813 წელს (ხანგრძლივი შვებულების შემდეგ, რომლის წყალობითაც მან ალბათ თავი აარიდა 1812 წლების სამამულო ომს) რეპინს გზავნიან ბელორუსიაში რევიზიისათვის. 1816 წელს რეპინი სენატორია და ამ თანამდებობაზე 1832 წელს 80 წლისა ამთავრებს თავის ჭრელ ცხოვრებას.

ხალი გადარჩება (ხაზი ჩვენია — ო. გ.), მომგვარეთ  
მე პეტერბურგში საიდუმლო ექსპედიციაში<sup>1</sup>.

პავლე I-ის და გენერალ-პროკურორ ობოლიანინოვის  
სიტყვებიდან „ევგრაფ გრუზინოვი დაისაჯოს შეუბრალებლად  
მათრახებით“ და „თუ იგი დასჯის შემდეგ ცოცხალი გადარ-  
ჩება“ უკვე ჩანს, რომ ევგრაფ გრუზინოვის სიკვდილის შესა-  
ხებ ცნობის მიღება არც იმპერატორისათვის და არც გენე-  
რალ-პროკურორისათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.  
ხოლო რაც შეეხება გენერალ რეპინის სამსახურიდან დათხოვ-  
ნას, ეს ცხადია, რომ გათამაშებული კომედია იყო „მოწყალე“  
და „შეცდომაში შეყვანილი“ პავლე I-ის, რომელიც ამ აქტიუ-  
ცილობდა თვალეზი აეხვია საზოგადოებისათვის და თავიდან  
მოეშორებინა და სხვისთვის გადაებრალებინა ჩერკასკოში მომ-  
ხდარი გულშემზარავი ეგზეკუციის ამბები.

რასაკვირველია, ამავე მიზანს ისახავდა ა. კარასევის მიერ  
ყურნალ „რუსკაია სტარინაში“ გამოქვეყნებული ცნობა, რო-  
მელშიაც ნათქვამია: „სულ მალე გამოძიების დამთავრების  
შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ყველა ის, ვინც კი დამნაშავედ  
იქნა აღიარებული. მაგრამ იყო თუ არა ამის შესახებ მეფის  
კონფირმაცია ამაზე არაფერი ვიცით. მხოლოდ ისაა ცნობილი,  
რომ ჩერკასკის პროკურორმა გააპროტესტა ეს საქმე და მის-  
მა ხმამ მიაღწია მეფემდის... რომელმაც გამოსცა განკარგულე-  
ბა დამნაშავეთა შეწყალების შესახებ. მაგრამ რეპინმა და კო-  
ჟინმა, როგორც გადმოგვცემენ, გადამალეს მეფის ეს განკარ-  
გულება, ვიდრე სისრულეში არ იქნა მოყვანილი სასიკვდილო  
განაჩენი“<sup>2</sup>.

ასე წერდა ა. კარასევი. მაგრამ არავითარი კვალი პავლე  
I-ის განკარგულებისა, რომლის თანახმადაც ვითომც დამნაშა-  
ვენი შეწყალებული იქნენ, საბუთებში არ არსებობს. პირიქით,  
ერთ-ერთ საბუთში ჩვენ ვკითხულობთ: „რაც შეეხება ბოროტ-  
მოქმედებს პოდპოლკოვნიკ აფანასიევს, ურიადნიკ კასმანისს,

<sup>1</sup> ШГАДА, ф. Госархив, разряд VII, л. 3501, л. 3.

<sup>2</sup> Русская старина, 1873, стр. 574.

ჯაზაკებს: პოპოვს, კოლესნიკოვს... თანახმა ვარ თქვენი აზრისა და სენტენციისა, რომელიც მათზე გამოიტანა სასამართლომ<sup>1</sup>. ამას წერდა პავლე I ატამან ორლოვს. სწორედ ეს იყო პავლე I-ის კონფირმაცია გრუზინოვთა საქმის გამრჩევი სამხედრო სასამართლოს მიერ პეტერბურგში წარდგენილ სენტენციაზე. სამხედრო სასამართლოს სენტენციაში კი ნათქვამი იყო: დაისაჯონ აფანასიევი, კოლესნიკოვი და პოპოვი ნატურალური სიკვდილით, სახელდობრ, თავის მოკვებით<sup>2</sup>.


ა. კარასევს „ეჭვი ეპარება“ აგრეთვე იმაში, რომ როგორც ევგრაფის, ისე პეტრე გრუზინოვების სიკვდილით დასჯაზე არსებობდა იმპერატორ პავლე I-ის თანხმობა. მაგრამ ა. კარასევს ეჭვი არ შეეპარებოდა ამაში, რომ მას „ცურადღებით“ შეეწავლა სამხედრო სასამართლოს საქმეები. ამ საქმეებში დაცულ ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „თანახმად მისი იმპერატორის უდიდებულესობის კონფირმაციისა,... პოდპოლკოვნიკ გრუზინოვს 2 ჩამოერთვას აზნაურობა და ჩინები და სიკვდილით დასჯის მაგიერ დაისაჯოს მათრახებით...“<sup>3</sup>.

ხოლო რაც შეეხება პავლე I-ის მიერ ევგრაფ გრუზინოვის სასიკვდილო განაჩენზე თავისი თანხმობის მიცემას, ასეთი საბუთის კვალი სამხედრო სასამართლოს საქმეებში მართლაც არ ჩანს. ალბათ, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ა. კარასევს გამოეთქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ არსებობდა თუ არა „მეფის კონფირმაცია“ დამნაშავეთა საქმეზე, კერძოდ, ევგრაფ გრუზინოვისათვის გამოტანილ განაჩენზე; და ამ ფაქტით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებისათვის, რომ ჩერკასკში მომხდარი ექზეკუცია ჩადენილ იქნა პავლე I-ის განკარგულების გარეშე. მაგრამ, ა. კარასევს, ალბათ, მხედველობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ თუ საბუთებიდან არ ჩანდა მეფის კონფირმაცია ევგრაფ გრუზინოვის განაჩენზე, სამაგიეროდ არსებობდა იმპერატორ პავლე I-ის მიერ სამხედრო სასამართლოსადმი 26

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98, л. 525, л. 3.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 101, 322, 323, 06, 325.

<sup>3</sup> ЦГВИА, ф. 8, оп. 8/97, л. 845, л. 6 06.



ავვისტოს გაცემული განკარგულება, რომლის მიხედვითაც ევგრაფ გრუზინოვი შეუბრალებლად უნდა დასჯილიყო მათრახებით. ეს განკარგულება კი, როგორც ვიცით, გამოიყენებოდა კიდევ მანამდე, ვიდრე სამხედრო სასამართლო კომისიის მიერ შედგენილი იქნებოდა საბოლოო საბრალდებო დასკვნა და ამ დასკვნას გაეცნობოდა პავლე I. გარდა ამისა, საბუთებიდან ჩანს, რომ პავლე I-ის მიერ ხელმოწერილი 26 ავვისტოს განკარგულება სამხედრო სასამართლოს მიუღია 4 სექტემბერს, ხოლო მეორე დღესვე, 5 სექტემბერს ევგრაფ გრუზინოვის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ჩერკასკის პროკურორს მიკლაშევიჩის შეუტყობინებია გენერალ-პროკურორობოლიანინოვისათვის, რომ პავლე I-ის განკარგულება ევგრაფ გრუზინოვის დასჯის შესახებ სისრულეში იქნა მოყვანილი<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე გასაგები ხდება, თუ რატომ არ არსებობდა საბუთებში სამხედრო სასამართლოს მიერ წარდგენილ საბრალდებლო დასკვნაზე პავლე I-ის კონფირმაცია ევგრაფ გრუზინოვის დასჯის შესახებ. იმპერატორ პავლესათვის, რომელმაც სამხედრო სასამართლოს მიერ წარდგენილ საბრალდებო დასკვნას მისცა თავისი კონფირმაცია 14 სექტემბერს, უკვე ცნობილი იყო ევგრაფ გრუზინოვის სიკვდილის ამბავი და ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ საბუთებში არსებობდა პავლე I-ის კონფირმაცია მხოლოდ ჯერ კიდევ ცოცხალ დამნაშავეთა დასჯის შესახებ და არა უკვე სიკვდილით დასჯილ ადამიანზე.

გრუზინოვთა ჩერკასკში სიკვდილით დასჯის მაგალითზე, შესაძლებელია, მკითხველსაც დაეზადოს ეჭვი, რომ პავლეს განზრახვას მართლაც არ წარმოადგენდა გრუზინოვთა ფიზიკური მოსპობა, რადგანაც, როგორც ვიცით, სამხედრო სასამართლო მოითხოვდა ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების სიკვდილით დასჯას, პავლე კი, როგორც 26 ავვისტოს განკარგულებაში, ისე 14 სექტემბრის კონფირმაციაში წერდა, რომ და-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1345, оп. 98. л. 525, лл. 68, 68 об.

ისაჯონ ძმები გრუზინოვები მათრახების ცემითო. დავუშვათ, რომ პავლე I-ს მართლაც არ ჰქონდა განზრახული ძმები გრუზინოვების სიკვდილით დასჯა, რადგან მათ დინამიტს არ თვლიდა დიდმნიშვნელოვნად. მაგრამ მაშინ ხომ სრულიად გაუგებარი ხდება, თუ რატომ აიყვანეს ეშაფოტზე აფანასიევი, კასმანინი, პოპოვი და კოლესნიკოვი—კაზაკები, რომელთაც მხოლოდ მოისმინეს ევგრაფ გრუზინოვის აღმამფოთებელი სიტყვები და ამის შესახებ არაფერი არ განაცხადეს დანიშნულებისამებრ. და თუ ეს კაზაკები მხოლოდ იმისათვის დაისჯენ სიკვდილით, რომ მათ ევგრაფ გრუზინოვისაგან მოისმინეს „აღმამფოთებელი სიტყვები“ და თავისდა უნებურად აღმოჩნდნენ „გრუზინოვების საქმესთან“ დაკავშირებულნი, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედი ელოდათ თვით ამ საქმის მთავარ მონაწილეებს — ევგრაფ და პეტრე გრუზინოვებს. ამიტომაც იყო, რომ თავების მოკვეთის მაგივრად, რაც ალბათ, პავლეს იოლ სასჯელად მიაჩნდა ძმებ გრუზინოვებისათვის, მათ მათრახების ცემით ამოხადეს სული.

ხოლო რაც შეეხება ა. კარასევის განცხადებას, რომ განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნა გრუზინოვთა საქმესთან დაკავშირებით, გააპროტესტა ჩერკასკის პროკურორმაო, და რომ 1800 წლის 13 ოქტომბრის განკარგულებით გენერალ რეპინის სამსახურიდან დათხოვნა სწორედ ამ პროტესტის შედეგია<sup>1</sup>, ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია შემდეგი აღვნიშნოთ.

ამ სტრიქონების წერის დროს ა. კარასევს მხედველობაში აქვს ჩერკასკის პროკურორის ანტონ მიკლაშევიჩის „პროტესტი“, რომელიც მან მართლაც გადაუგზავნა გენერალ-პროკურორ პ. ობოლიანინოვს.

მაგრამ ეს უფრო თავის მართლების წერილია, ვიდრე პროტესტი, რომელშიაც პროკურორი თავის ერთგულ ქვეშევრდომობას ეფიცება იმპერატორს. ამ წერილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ანტონ მიკლაშევიჩი ვითომ ურჩევდა ატამან ოროვს არ გამოეჩინა ზედმეტი სიმკაცრე ძმები გრუზინოვე-

<sup>1</sup> Русская старина, 1873, стр, 574.

ბის მიმართ, რომ იმპერატორი მოწყალეა და რომ თვითონ მიკლაშევიჩი ასრულებდა და ყოველთვის შეასრულებს მეფე იმპერატორის ყოველგვარ ნება-სურვილს. და თუ მიუხედავად ამისა მოკლებული იქნება მისი უდიდებულესობის წყალობას, იგი თავის თავს ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო უბედურ ადამიანად ჩათვლის<sup>1</sup>. ასე წერდა ა. მიკლაშევიჩი. რატომ უნდა დასჭირებოდა პროკურორ ა. მიკლაშევიჩის ასეთი წერილის მიწერა პეტერბურგში? თუ გავიხსენებთ პავლე I-ის 1800 წ. 13 ოქტომბრის განკარგულებას გენერალ რეპინის სამსახურიდან მოხსნის შესახებ, მაშინ ჩვენთვის გასაგები გახდება ამ პროტესტის დაწერის მიზეზი. რეპინის მაგალითით დაშინებულმა პროკურორმა მიკლაშევიჩმა სასწრაფოდ მიაწვდინა თავისი მუდარის ხმა პეტერბურგს, რათა მას—გრუზინოვთა დასჯის ერთ-ერთ მონაწილეს — გენერალ რეპინის ბედი არ წვეოდა. თუ პროკურორი მიკლაშევიჩი მართლაც აპირებდა გრუზინოვთა საქმის გაპროტესტებას, მაშინ რატომ დაწერა მან თავისი ე. წ. პროტესტი არა იმავე დღეს, როდესაც დასაჯეს ევგრაფ გრუზინოვი, არამედ 1800 წ. 24 ოქტომბერს<sup>2</sup>, — ევგრაფ გრუზინოვის დასჯიდან 50 დღის შემდეგ. და უკვე მას შემდეგ, როდესაც პროკურორისათვის ცნობილი გახდა გენერალ რეპინის ხვედრი. პროტესტის წერის დროს პროკურორი მიკლაშევიჩი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა და მას ნაკლებად აინტერესებდა გრუზინოვთა ბედი.

გენერალ რეპინის სამსახურიდან მოხსნის შემდეგ, ეტყობა, თვით ატამანი ორლოვიც ვერ გრძნობდა თავს მაინცდამაინც მშვიდად. ალბათ ამიტომ იყო, რომ იგი 1800 წლის 27 ოქტომბერს გენერალ-პროკურორის ობოლიანინოვის სახელზე გაგზავნილ წერილში, მსგავსად მიკლაშევიჩისა, შენდობას ითხოვს<sup>3</sup>. თუმცა ამავე წერილიდან ჩანს, რომ ორლოვი თავის დანაშაულს ვერაფერში ხედავს, რადგან მან და გენერალმა

<sup>1</sup> ЦГАДА, ф. Госархив, разряд VII, д. 3501, лл. 19 об, 20.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19—20 ობ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 18.

რეპინმა სიტყვასიტყვით შეასრულეს პავლე I-ის განკარგულება<sup>1</sup>.

არ შეესაბამება სიმართლეს აგრეთვე ა. კარაგევის შედეგი სიტყვები, თითქოს გენერალ რეპინის სამსახურიდან მოხსნა პროკურორ მიკლაშევიჩის პროტესტის შედეგი ყოფილიყოს. როგორც აღვნიშნეთ, მიკლაშევიჩმა თავისი პროტესტი დაწერა 1800 წ. 24 ოქტომბერს, ხოლო იმავე წლის 25 ოქტომბერს იგი წერდა პეტერბურგში ობოლიანინოვს „სამსახურიდან მოხსნილი კავალერიის გენერალი რეპინი და სპეციალურად მისთვის ჩამოსული სენატის კურიერი ტაიკანინი დღეს გამოემგზავრებიან ჩერკასკიდან“<sup>2</sup>. სწორედ ამ კურიერ ტაიკანინის მიერ იყო ჩამოტანილი პეტერბურგიდან ბრძანება გენერალ რეპინის განთავისუფლების შესახებ და ეს ბრძანება მიღებული ჰქონდა თვით მიკლაშევიჩს რამდენიმე დღით ადრე ვიდრე იგი თავის პროტესტს დაწერდა. აქედან ჩანს, რომ გენერალ რეპინის სამსახურიდან მოხსნა არ შეიძლება ყოფილიყოს პროკურორ მიკლაშევიჩის პროტესტის შედეგი.

## 9.

მოედანი, სადაც სიკვდილით იქნენ დასჯილი ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები ხალხში დიდხანს წმინდა ადგილად ითვლებოდა. ხოლო მათ სახელთან დაკავშირებული ლეგენდა მოუთხრობდა უცნობი ხელით ანთებულ ლამპარზე, რომელიც ყოველ შუალამისას გრუზინოვთა—„ამ წამებულთა“ საფლავზე აკიაფდებოდა. „თანამედროვეთა გადმოცემით, — ვკითხულობთ ჩვენ ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“ — დონისათვის ამ მძიმე პერიოდში ძმები გრუზინოვების პროცესმა ადგილობრივ საზოგადოებაში საშინელი პანიკა გამოიწვია. ეს პანიკა მით უფრო ღრმავდებოდა, რომ არა მარტო გრუზინოვები, არამედ ყველა ამ საქმესთან დაკავშირებული სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მათთან არავის უშვებდნენ,

<sup>1</sup> ЦГАДА, ф. Госархив, разряд VII, л. 3501, л. 18.

<sup>2</sup> იქვე, 88. 21.



თვით უახლოეს ნათესავეებსაც კი. ამიტომ ქალაქში დადიოდა ერთიმეორეზე საშინელი ხმები არა მარტო ბრალდებულთა, არამედ დონის მთელი ჯარების უდიდესი დანაშაულისა და მათი დასჯის შესახებ<sup>1</sup>.

ევგრაფი და პეტრე გრუზინოვების სიკვდილით დასჯის შემდეგ, მათი ძმები—რომანი და ათანასე გრუზინოვები მეფის მთავრობის მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდნენ. რომან გრუზინოვი, რომელიც ამ დროს ტამბოვის გუბერნიაში ცხოვრობდა, იმყოფებოდა ტამბოვის გუბერნატორის თავადი ლვოვის პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ; ხოლო პოლანდიის ექსპედიციიდან დაბრუნებული ათანასე გრუზინოვი დააპატიმრეს და ჩაამწყვდიეს შლისელბურგის ციხე-სიმაგრეში.

საყურადღებოა მეხუთე ძმის, ნიკოლოზ გრუზინოვის ბედი. მას განათლება კადეტთა კორპუსში მიუღია. გამოსაშვები გამოცდების დროს, რომელსაც პავლე I ესწრებოდა, იმპერატორის ყურადღება შესანიშნავად მომზადებულ კადეტს მიუბუყრია. მაგრამ, როდესაც პავლე I-ს უთხრეს, რომ ეს კადეტი — ნიკოლოზ გრუზინოვი, სიკვდილით დასჯილ პოლკოვნიკ ევგრაფისა და პოლპოლკოვნიკ პეტრე გრუზინოვების ძმა იყო, მან აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ნიკოლოზი ახლო ნათესავი ყოფილა სახელმწიფოს მოღალატეებისა. „ფიცხმა ახალგაზრდამ, — ნათქვამია გრუზინოვთა საგვარეულო არქივში, — რომლის ძარღვებში გრუზინოვთა სისხლი სჩქეფდა, ამაყად მიუგო: იმპერატორო, ჩემი ძმები შენი სასტიკი ეგზეკუციისა და მრისხანების მსხვერპლი გახდნენ. მე ვამაყობ იმით, რომ ისინი ჩემი ძმები იყვნენ, რადგან სიკვდილის წინ ისინი ღმერთს რუსეთის კეთილდღეობას ევედრებოდნენ“<sup>2</sup>. რამდენიმე ხნის შემდეგ ნიკოლოზ გრუზინოვმა, სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლისამ, თავის სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ევგრაფ გრუზინოვის

<sup>1</sup> Русская старина, 1878, стр. 263.

<sup>2</sup> Семейный архив Грузиновых.

შეუდრეკლობა, თავისი იდეალებისა და მომავლის მტკიცე რწმენა, ნათელი საქმისათვის თავდადება ჩვენ საფუძველს გვაძლევს ვთქვათ მის მიმართ ის, რასაც გერცენი შემოღობში დეკაბრისტების შესახებ წერდა: „...განვითარდნენ 14 ლეკობრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რალაც-დეკემირები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში მობილნი.“<sup>1</sup>

ძმები გრუზინოეების საქმე ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს იმას, რომ დეკაბრისტების მოძრაობა არ იყო სხვისი თეორიებისა და იდეოლოგიის გამოვლინება, შემოტანილი 1813-14 წლებში რუსეთის არმიის დასავლეთ ევროპაში ლაშქრობის შედეგად. ეს რევოლუციური იდეები თვით რუსეთის სინამდვილეში არსებობდა.

---

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 11—12.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით.

\*

რედაქტორი ზ. ანჩაბაძე

გამომცემლობის რედაქტორი ე. ბათიაშვილი

ტექნიკური ნ. ჯაფარიძე

კორექტორი ც. შალამბერიძე

ზადაეცა წარმოებას 29.11.1956; ანაწილის ზომა  $5\frac{1}{2} \times 9$ ; ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 21.1.1957; ქაღალდის ზომა  $84 \times 108\frac{1}{32}$ ;  
ქაღალდის ფურცელი 1,815; საბეჭდი ფურცელი 6,23; საავტორო  
ფურცელი 5,3; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 5,4;  
შეკვეთა 1853; უე 01007; ტირაჟი 3000  
ფასი 1 მან. 80 კაპ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, წერეთლის ქ. 3/5.

ფასი 1 მან. 80 კპ.



ოთარ შალვოვიჩ გვინჩიძე

ИЗ ИСТОРИИ ОБЩЕСТВЕННОГО ДВИЖЕНИЯ  
В РОССИИ

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР  
Тбилиси — 1957